№. 20

PARIS

1936

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველ მხედართა

ორგანო

MKEDARI

REVUE MILITAIRE GÉORGIENNE

N° 20

პარიზ

1936

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მხედარ“-ში გამოქვეყნებულ წერილების შინაარსზე პასუხს აგებენ თვით ავტორები.

„მხედარი“-ს არა ჩვეულებრივი დაგვიანება გამოწვეულ იქმნა იმ გარემოებით, რომ სხვა და სხვა ევროპის სახელმწიფოების მიერ სადევიზო კონტროლმა ფულის გადაგზავნა რამდენიმე თვით შეაფერხა.

ამიერიდან ეს საკითხი მოგვარებულია და „მხედარი“ გამოვა, როგორც ჩვეულებრივ, ყოველ 3 - 4 თვეს.

რედაქცია.

+ გრიგოლ კიკიანი

8 დეკემბერს 1935 წ. ქ. პრაგაში გარდაიცვალა ქართულ სამხედრო სკოლის ყოფილი იუნკერი გრიგოლ კიკიანი.

იუნკერი გრიგოლ კიკიანი, შვილი სოლომონ კიკიანისა, იყო ქუთაისიდან, სადაც დამთავრებული ჰქონდა კლასიკური გიმნაზია.

1918—19 წწ. იმყოფება ქართულ ჯარის რიგებში, მხოლოდ 1919 წლის დამლევს შედის საქართველოს სამხედრო სკოლაში, რომლის რიგებში იმყოფება ემიგრაციაში გასვლის დღემდე.

როდესაც, 1920 წ. 2 მაისს, ღამე, ბოლშევიკების ტერორისტული ჯგუფი, ვლ. მახარაძის ხელმძღვანელობით, სამხედრო სკოლას ეცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, მაშინ იუნკ. კიკიანი, რომელიც მზვერავთა ჯგუფში თავის ნებით ცხადდება, იგზავნება წინ, სკოლის საყდრის მიმართულებით. აქ მთელი მზვერავთა ჯგუფი აწყდება ბოლშევიკებს და სწორედ მაშინ იუნკ. მაყაშვილთან ერთად (რომელიც სასიკვდილოდ იჭრება), იჭრება აგრეთვე მძიმედ მკლავში იუნკ. კიკიანი.

შემდეგში იუნკ. კიკიანი მონაწილეობას ღებულობს სამხედრო სკოლის ყველა გამოსვლებში, ტაბახმელის ბრძოლების ჩათვლით.

საქართველოს დაღუპვის შემდეგ სხვა თანამემამულეებთან ერთად იზიარებს ევაგრანტულ ბედ-ილბალს, გამოდის საზღვარგარეთ. სტამბოლში, ცუტა ხნის ყოფნის შემდეგ, ემგზავრება ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მიღებულ იქმნა პრაღის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში მთავრობის სტიპენდიანტად.

საუბედუროდ, მისმა ორგანიზმმა, მძიმე ჭრილობით დასნეულებულმა, ვერ აიტანა ჰავის ცვლილება; მას თანდათან აჩნდება ფილტვების ჭლექის ნიშნები. შემდეგში ეს ავადმყოფობა ყელზეც გადადის; იძულებული ხდება სწავლაზე ხელი აიღოს და ჯანმრთელობაზე იზრუნოს.

იუნკერ გრიგოლ კიკიანს მოვლის და ექიმობის მხრივ არაფერი დაჰკლებია მთელი თავის ავადმყოფობის განმავლობაში იგზავნებოდა ხოლმე სხვა და სხვა სანატორიუმებში რესპუბლიკის დაწესებულებათა ან და წითელი ჯვრის ხარჯზე.

განგებამ არ აღირსა მას ბედნიერება სამშობლოს მკერდზე მიძინებისა და პრაღის ერთ-ერთ საუკეთესო სანატორიუმში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სული დალია.

სამუდამოდ დაგვტოვა და ამით შეამცირა ქართველ მხედართა ისეც შემცირებული ოჯახი, მხოლოდ საქართველოს კი დააკლდა კიდევ ერთი პატიოსანი მამულიშვილი და მეომარი!

იუნკერი გრიგოლ კიკიანი დასაფლავებულ იქმნა ქ. პრაღაში 13 დეკემბერს 1935 წ., თანახმად მისი სურვილისა, საეკლესიო წესით. დასაფლავებას დაესწრენ ყველა ქართველები პრაღაში და მის ახლო-მახლო მცხოვრებნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

+ **არტილერიის კაპიტანი, იუნკერი**

შალვა ფურცელაძე

ამა წლის 15 მკათათვეს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქ. ოტვოცკში, სამხედრო საავადმყოფოში, ჩვენი საუკეთესო მეგობარი, არტილერიის კაპიტანი, იუნკერი შალვა ფურცელაძე.

კაპიტანი შალვა ფურცელაძე დაიბადა ქ. ტფილისში 1 მაისს 1899 წ. 1918 წელს ათავებს ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიას, სადაც ღებულობს სიმწიფის მოწმობას.

ამავე წელში, როგორც მოხალისე შედის პირველ მოხალისეთა ათასეულში, რომელიც ძთლად მოწაფე-სტუდენტებისაგან შესდგებოდა, და ამ ათასეულთან ერთად ღებულობს მონაწილეობას 1918 წლის სამხედრო მოქმედებებში აჯიყაბულ - ბაქოს მიმართულებით.

1919 წლის 15 ენკენისთვეს, როგორც ერთ-ერთი პირველთაგანი, რაინდულ გულის ძგერით აღფრთოვანებული, შედის პირველ

ქართულ სამხედრო სკოლაში და მონაწილეობას ღებულობს სკოლის ყველა ბრძოლებში და გამოსვლებში, რომელიც კი სკოლას დაეკისრა თითქმის ორი წლის მანძილზე; ტაბახმელის ველებზე, როგორც არტილერისტი, საუკეთესოდ აბარებს რაინდობის გამოცდას და მშობლიურ მიწაწყლის დატოვებამდე პირნათლად ასრულებს ქართველი მხედრის მოვალეობას. 1921 წლის დეკემბერს სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად შედის ვარშავის უნიტარულ სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც 1922 წელს ამთავრებს. ამავე წლის შემოდგომაზე გადადის ტორუნის საარტილერიო სასწავლებელში, რომელსაც 1924 წელს ამთავრებს უნცროს ლეიტენანტის ხარისხის მიღებით.

საარტილერიო სკოლის დამთავრების შემდეგ ამწესებენ მე-6 საარტილერიო პოლკში, ქ. კრაკოვში, სადაც თითქმის 12 წლის განმავლობაში ასრულებს სამსახურს უნცროს ოფიცრის თანამდებობიდან დაწყებული ბატარეის უფროსის მოვალეობამდე გათავებული. 1934 წელს წარჩინების სახით კაპიტნობის ხარისხს ღებულობს, მაგრამ საუბედუროდ ამავე წელში უჩნდება ყანყრატოს ჭლექის პირველი ნიშნები და თითქმის ორი წლის წვალება-ტანჯვის შემდეგ ემშვიდობება სამუდამოდ წუთისოფელს.

შალიკო ფურცელაძე თავისი პიროვნებით ანსახიერებდა ქართველი მხედრის საუკეთესო თვისებებს. თუ როგორი იყო შალიკო როგორც უფროსი და მეგობარი, დავრწმუნდით ყველა მისი დაკრძალვის დღეს, როდესაც ვხედავდით გულგატეხილ მეგობარ ოფიცრებს და ცხარე ცრემლებით ატირებულ პოლკის და ბატარეის ნაცვლებს.

საყვარელო და დაუვიწყარო მეგობარო, შალიკო!

შენმა სიკვდილმა შეამცირა ჩვენი ისეც პატარა მხედრული მწკრივები. გულგატეხილნი შენი მეგობრები დავტირით შენს გათხრილ საფლავს...

ჩვენო შალიკო! გულკეთილო ადამიანო, ჭეშმარიტო ქართველო, თავაზიანო, მდაბალო და დარბაისელო... შენი ვაჟკაცური პიროვნების ხსენება ღრმა ასოებით ჩაისახა სამუდამოდ ჩვენს მხედრულ გულში, სულში და ფიქრებში! დაგვტოვე ამ გაჭირვების დროს, როცა ჩვენ ყველა მხედრები ჩაბმულნი ვართ ჩვენი სამშობლოს გუთნის ჭაპანში; ერთ-აზროვნულად და ერთ-დროულად ვწევდით მაგ მძიმე ტვირთს! განა თუ დრო იყო განშორებისა ქართველი მხედრობის მამა-პაპური ოჯახის წარმომადგენელო?

უსამართლო სიკვდილო! რომ დაუსჯელად თარეშობ ქართველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა რიგებში, რომ ხარბად გვტაცებ საუკეთესო ვაჟკაცთ და ეხლაც უდროოდ გვართმევ ხელიდან ჩვენს ერთგულ მეგობარს, ერთ-ერთ საძირკველს ჩვენი შეუდრეკელი ნების და ძალისა და რომლის ოცნება იყო მხოლოდ და მხოლოდ საქართველო! შენმა სიკვდილმა გული გაგვიტეხა, დროებით წაგვაჩოქა და ღრმად ჩაგვაფიქრა... წავაგეთ ბრძოლა, ბრძოლა სიკვდილთან... მაგრამ როდის გატეხილა მხედრის გული ბრძოლის წაგებით?

შენ წახვედი, მაგრამ დარჩა ჩვენს შორის შენი გული, რომელიც მხოლოდ სამშობლოსათვის ძგერდა.

და თუ სიკვდილთან წავაგეთ, აი ეს მოვიგეთ, ეს დაგვრჩა — ეს შენი გული, გული ჭეშმარიტ ადამიანის და ვაჟკაცისა!

ხორცი მიწიერი მიწას მიჰბარდა, მწარე ხვედრით უცხოეთში.... სული შენი, ჩვენო შალიკო, ქართველ რაინდთა მწკრივებში ჩადგა! დაიძინე... დეე, მსუბუქი ძილი მოედოს შენს თვალებს და სიზმრად მხოლოდ თამარის საქართველოს ხედავდე... მაგრამ გეძინოს ჩვილად და ფრთხილად! რადგანაც გავალებთ, რომ თვალყური გვადევნო და გაიგებ რა გულ-გამფიცხებელ მხედრულ ცნობილ ყიჟინს დარაზმული ქართველი ერისა, რომელიც ერთსულოვნად და თავდადებულად ამოსდგომია სისხლით შეღებილ ჩვენს სამფეროვან ეროვნულ დროშას — მაშინ წამოდეგ, გასწორდი წელში და შენს თანამემამულე მხედრებს—მეგობრებს გადმოგვძახე შენის მშვენიერი ხმით: —

„ქართველო ხელი ხმალს იკარ, დრო დადგა გამარჯვებისა“!

სიტყვა

წარმოთქმული ბ. დრ. პროფ. გიორგი ნაკაშიძის მიერ კაპიტან **შალვა ფურცელაძის** დაკრძალვისას.

ძლივს ერთმა წელიწადმა განვლო, რაც აქ ცივს სამარეს მივაბარეთ საქართველოს მთების არწივთა საუკეთესო წარმომადგენელი ირაკლი ყაზბეგი — და აი ისევ ახლად გათხრილი საფლავის წინაშე ვდგევართ და მძიმე გრძნობით, თვალებზე ცრემლ-მორეული დავსცქერით ვიწრო კუბოში გამომწყვდეულ შალიკო ფურცელაძის სახეს.

და თუმც ვარშავაში გამეფებულა და ზეიმობს ჩვენი ტფილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის მცხუნვარება, ვერაფერი ვერ გაათბობს, ვერ გააცხოველებს გაცივებულს, ყინვად ქცეულს სხეულს ახალგაზრდა რაინდისას.

და ისე როგორც ყოველთვის ასეთს შემთხვევებში უნებლიედ იბადება და იჭრება ძძლვრეულ გრძნობა-გონების წინაშე მტანჯველი კითხვები: რატომ, რისთვის?! რატომ მოგვშორდა ასე უდროოდ ის, ვინც მთელის თვისი არსებით შეჰხაროდა სიცოცხლეს და ახალგაზდური აღტაცება – იმედებით განმსჭვალული დღითი-დღე მოელოდა თვის საყვარელ სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებას?! მაგრამ მიუწვდომელია ჩვენთვის გადაწყვეტილებანი განგებისა და გამოუცნობია მარადიული სიკვდილის საიდუმლოება. ხოლო სინამდვილეა ის, რო მწვავე ცრემლებით დავსტირით დღეს შალიკო ფურცელაძის კუბოს, სინამდვილეა ის, რო მოსწყდა, სამუდამოდ გამოეცალა ჩვენს წრეს საუკეთესო წარმომადგენელი იმ შევარდენთა გუნდისა, რომელთაც ტაბახმელას – ,,ოჯრის" მთებზე აამეტყველეს, გააცოცხლეს ლეგენდად ქცეული ქართველური გმირული ბრძოლის ტრადიციები და თვისი სისხლით ჩასწერეს საუკეთესო ფურცელი საქართველოს ახალ ისტორიაში.

ვერაგ მტრის გამო თვის სამშობლოს მოწყვეტილს წილად ხვდა შალიკო ფურცელაძეს პოლონეთის დიად მარშლის იოსებ პილსუდსკის მიერ შექმნილ ძლევამოსილ ჯარში სამსახური. აქ გატაცებით ეწაფება ის სამხედრო ხელოვნების თითქმის ყოველ დარგის საფუძვლიანად შესწავლას, რათა მომავალში შესძლოს უფრო კარგად ემსახუროს თავის ქვეყანას. დაუღალავი შრომა-მუყაითობით, გონების სიმკვირცხლე – შემოქმედებით და რაინდული ხასიათით ის იმსახურებს პოლონელ მხედართა და საზოგადოების უსაზღვრო პატივისცემას და სიყვარულს. დღეს ყველანი, აქ შეკრებილნი, მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორის გრძნობით, როგორის გულწრფელი გლოვა-ტირილით ემშვიდობება ჩვენს შალიკოს პოლონეთის მხედრობა და საზოგადოება.

და ამიტომაც შეუძლია მას თამამად ნათელი შუბლით წარსდგეს თვის მთავარსარდალ დიად მარშლის აჩრდილის წინაშე და უთხრას მას: „ქართველი ერის შვილმა, ჩემი სამშობლოს სიყვარულის უკურნებელ სენით დაავადებულმა მე გავამართლე შენი ნდობა და პოლონეთის ხალხის და მხედრობის წინაშე ღირსეულად მოვიხადე ქართველური ჩემი ვალი".

და ის, ვინც სიყრმიდანვე თვისი წამებული ქვეყნის განთავისუფლება-მკვდრეთით აღდგენაზე ოცნებობდა, ვინც მისთვის არავითარ მსხვერპლის გაღებას არ ერიდებოდა, ვინც თავდადებულ, ლეგენდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ გმირთა ქვეყნად აქცია მთელი პოლონეთი, ის სიყვარულით ჩაიკრავს მკერდში საქართველოს თავგანწირულს რაინდს და იქ მყოფს შალიკოს დედას მიულოცავს ასეთი შვილის გამოზრდას

ხოლო ჩვენ კი აქ დარჩენილნი ვამაყობთ შენით, საყვარელო ძმაო შალიკო, ვამაყობთ მით, რომ ქართველი ერის სახელი თვით უცხოეთშიაც ბრწყინვალე შარავანდედით შემოსე და კოჯრის მთაზე აფრიალებული ჩვენი დროშა საიკვდილამდე სასოება - სიყვარულით მაღლა ხელში ატარე.

დეე, საფლავი შენი ასე უდროოდ გათხრილი, სამუდამოდ დარჩეს პოლონეთში; დეე, იყვეს ის მომავალშიაც, როს აღსრულდება ოცნება შენი და ჩვენი და საქართველო მკვდრეთით აღსდგება, ნიშანი და მარადიული სიმბოლო ორ რაინდ, კეთილშობილ ხალხთა პოლონელ და ქართველთა გულწრფელ ძმობა-სიყვარულისა!

განისვენე მშვიდად და ნეტარებით, ძვირფასო შალიკო, პოლონეთის სტუმართ-მოყვარე მიწის წიაღში.

1921 წლის ომის თხუთმეტი წლის თავი

განვლილი ომები აღძრავენ ადამიანის გულსა და მეხსიერებაში მრავალ სურათებსა და გრძნობებს. ვინც ომში არა ყოფილა, ვერც კი წარმოიდგენს, რა ძალით იჭრებიან გონებაში მრავალი წვრილმანები ყველა ამ განცდათაგან. მოგონებანი ყოველთვის არ არიან სასიხარულონი; ეს ნორმალურიც არის: ომი ორივე მხარეს ვერ გაახარებს; ერთი თუ ლხინობს მის მოგონებისას, მეორე სწუხს და გლოვობს. 1921 წლის ომი და მისი მოგონებაც არ არის ჩვენთვის სასიხარულო. ომთან წავაგეთ სამშობლო და ჩვენი ერის თავისუფლება; საქართველო ერთხელ კიდევ ჩაუვარდა ხელში რუსეთს საჯიჯგნად. ძნელი და მწარეა ყველა ამის მოგონება. იარები გიახლდება კაცს სიმწარისაგან და უნებლიედ ეკითხები თავს, ღირს კი ყველა ამისი მოგონება? იქნებ გაჩუმება სჯობს? ხანო, ამბობენ, ადუმებს იარებს და საუკეთესოდ ჰკურნავს ძველ ჭრილობებს; იქნებ ჩვენთვისაც ესა სჯობს? მაგრამ ვერა! ვერ დავივიწყებთ **და არც უნდა დავივიწყოთ ჩვენი უბედურება.** ჩვენ ყველაფერი უნდა გავაცოცხლოთ მეხსიერებაში, დეე სიმწარემ აგვივსოს გული, დეე დავტანჯოთ სული, მაგრამ დავიწყება... არა! **თხუთმეტი წლის სირბეზე წამოგვეზარდა ახალგაზრდობა, უნდა გაიგონ მათ ჩვენი პირიდანვე ჩვენი უბე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურება; უნდა შეიცნონ მათ მარცხის მიზეზნი, მკვეთრად დაიხსომონ ესენი, მომავალში შეცდომათა ასაცილებლად. ახალ თაობებს ეს საკითხი უნდა დავუტოვოთ გაშუქებული და სრულიად გარკვეული. თუ ჩვენ ვერ დავუმკვიდრეთ სამშობლოს არსებობა, მომავალ თაობებს მაინც ავაცილოთ ჩვენ მიერ ჩადენილ შეცდომათა განმეორება. ამ მხრივ ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ!

15 წლის წინ, თებერვლის 11-ს, შემოეჭრა ჩვენს სამშობლოს წითელი ჯარი. ჩვენ ამას უსახსრო და მოუმზადებელნი დავხვდით.

სად იყო მიზეზი? იქნებ ცოცხალ ძალთა ან იარაღის მარაგა გვაკლდა, იქნებ თავდასხმა იყო მოულოდნელი? არც ერთს ამათგანს ადილი არა ჰქონია, მაგრამ გავყვეთ მოგონებებს.

არავის ჩვენთაგანს და არც მმართველ პარტიას არ უნდა დავიწყებოდა, რომ რუსეთი, წითელი იქნება ის თუ სხვა, თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ვერ უარჰყოფდა და პირველ შეძლებისათანავე ჩამოშორებულ ერების თავის წიაღში დაბრუნებას შეუდგებოდა. საამისო ნიშნებმა არც დაიგვიანეს. დამკვიდრდენ თუ არა ბოლშევიკები რუსეთში და დაამარცხეს რა დენიკინი, ეძგერენ პოლონეთს, ოღონდ იქ არ დახვდენ ჩვენ-ნაირი სამზადისით („მხედარი", ნომერი 19) და ომი წააგეს. დენიკინს მოჰყვა ყუბანი; ამას მთიელთა რესპუბლიკა, შემდეგ აზერბეიჯანი, სომხეთი და 1920 წელში საქართველოს დაკავების პირველი ცდა. ასეთ პირობებში უალაგოა მტკიცება, რომ 1921 წლის ომი საქართველოს მოულოდნელად დაატყდა თავს; ასეთი რამ გულუბრყვილობა იქნებოდა!

ვერც ის საბუთია მისაღები, რომ ვითომც აზრთა და მისწრაფებათა ნათესაობის გამო ბოლშევიკები მენშევიკურ საქართველოს დაინდობდენ; ბოლოს ბოლშევიკები ერთნაირად სპობდენ თავის ქვეყანაში მენშევიკებსაც და მონარქისტებსაც და ორივეს ერთნაირ სისხლის მორევში ახრჩობდენ. განა ასეთ პირობებში შეიძლებოდა ფიქრი, რომ რუსები ჩვენ მეგობრებად გადაიქცეოდენ! ვინც ვითარებას თვალყურს ადევნებდა, უნდა დაენახა, რომ ჩვენ წინ ამართული იყო **მუდმივი საფრთხე. რა უნდა გვეკეთებინა ასეთ პირობებში? — უნდა ვმზადებულიყავით! ვმზადებულიყავით საჩქაროდ და ძალის მთელი დაჭიმვით! მომზადება საჭირო გახდა მაშინ კი არა, როდესაც ბოლშევიკები მეზობლად გადაგვექცენ, არამედ უფრო ადრევე, ვიდრე ისინი ყუბანში მოკალათებას მოასწრებდენ.**

ბოლშევიკების კავკასიისაკენ პირველ ნაბიჯსავე ყველა კავკასიელები უნდა დავხვედროდით ჩრდილო კავკასიაში. თუ გავიხსენებთ ჩვენ იმდროინდელ ჩრდილო და სამხრეთ დასავლეთით მოსაზღვრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა ვითარებას, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენთვის, კავკასიელთათვის, საამისო პირობები მეტად ხელსაყრელი იყო.

ქედს იქით, ყუბანისა და თერგის ყაზახები ბოლშევიკებთან ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული იყვნენ. მათი ჩვენ თავდაცვაში მოხმარება, ამ მიზეზით, მეტად გაადვილებული იყო. ამას ჯარის რიცხვის აწევის გარდა, ექნებოდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც. ბოლშევიკები დაჰკარგავდენ კავკასიისაკენ საოპერაციო ბაზის წამოწევის ხაშუალებას. ბაზების რიგ-რიგით გადმოწევამ კი შემდეგში დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. ყუბანის ბაზამ დააკავებინათ მთიულეთი, ამან გააადვილა აზერბეიჯანისა და სასომხეთოს შემუსვრა; ყველამ ერთად კი საბოლოოდ ძირი გამოგვითხარა ჩვენ, თუ 1920 წელში ვერა, შემდეგში მაინც; ალყის შემორტყმით დაგვიმზადეს ერთდროული დარტყმა შავი ზღვის პირით, კავკასიის უღელტეხილით და სომხეთისა და აზერბეიჯანის მხრიდან. ამით უმწვერვალესობამდე დაიმტკიცეს გამარჯვების შანსები და ასეთ შემთხვევაშიაც კი, გეკერს ეჭვი აქვს ადვილ გამარჯვებაზე. ის თხოულობს ჯარების რიცხვის აწევასა და ოსმალეთის პოზიციის გამორკვევასაც. საკითხავია: რა უკარნახებდა მას ასეთ სიფრთხილეს? პასუხი ერთია: მისი აზრით, საქართველოს შეეძლო დიდი ჯარის გამოყვანა და ასეთივე წინააღმდეგობის გაწევა. ვნახოთ ახლა, რა დასკვნების გამოტანა შეგვეძლო ოსმალეთის ჩვენდამი განწყობილებიდან. — ოსმალეთი დიდმა ომმა გამოსუტა და შეასუსტა. დაშლილი ჯარი ქემალ ფაშის რეორგანიზაციას განიცდიდა; ზავის პირობები ამ უკანასკნელმა არ მიიღო და საჩქაროდ ომისათვის ემზადებოდა (ბერძნებთან, რომელთაც ინგლისელები ეხმარებოდენ); ოსმალებს ამ დროს რუსებთან არა აკავშირებდა რა; კავკასია რომ ერთად ყოფილიყო, თურქები ჩვენ მტრებად არ გადაიქცეოდენ.

პროფესორ ზ. ავალიშვილის ცნობილი წიგნიდან ვგებულობთ, რომ იმდროინდელი ოსმალეთის განწყობილება კავკასიის ერებისადმი დადებითი იყო.

ოსმალების ასეთი განწყობილება თავისთავად ნათელია. მათთვის ბევრად უმჯობესია თავისუფალი კავკასიის მეზობლობა, ვიდრე მუდამ მტრულად და აგრესიულად განწყობილი რუსეთისა. როგორც ვხედავთ, ვითარება მეტად ხელსაყრელი იყო ჩვენს მეზობლებთან კავშირის მისაღწევად, ოღონდ საუბედუროდ, ამით ჩვენ არ გვისარგებლია. უნდა გამოვტყდეთ გულახდილად, რომ კავკასიელებმა თვითონ დავუმზადეთ ჩვენს თავს სამარე; ბოლშევიკებმა მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ჩაგვასვენეს შიგ!

დავანებოთ თავი გარეშე პირობებს. თვით ჩვენ რა გავაკეთეთ და როგორ ვემზადებოდით „ყოფნა-არ-ყოფნის“ საკითხის გადასაწყვეტად? **ვაკეთებდით ყველაფერს, რომ მტრისათვის, ჩვენივე მოსპობა გაგვეადვილებინა?** — ჩვენ დიპლომატიას არაფრით არ გაუადვილებია ჩვენი სახელმწიფოს მძიმე პირობები და მოკავშირეები და თანაგრძნობანი მას არ მოუპოვებია; საბჭედრო მომზადების მხრივაც ბევრი არაფერი გაკეთებულა. ჩვენ შეგვეძლო 65.000 ჯ. კაცის გამოყვანა, ბრძოლაში კი 15.000 კაციც არა გვყავდა. სამი წლის განმავლობაში ვერ შევძელით ნამდვილი რეგულიარული ჯარის შექმნა. გვყავდა ჯარი ორ სისტემაზე აგებული, ოღონდ არც ერთი არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული; ომის აუცილებლობის მიუხედავად, დავაგვიანეთ მობილიზაცია, რის გამო 12 კადრის ათასეული უმობილიზაციოდ შეებნენ ბრძოლაში; თავის დროზე დამთავრებული მობილიზაცია კი მოგვცემდა სრულ 48 რეგულიარულ ათასეულს. არც საომარ მასალათა გამოყენების მხრივ იყო უკეთესი მდგომარეობა. ზარბაზნების ნახევარი, **ყუმბარათ-მტყორცნები**, ხელის ყუმბარები და რამოდენიმე ასეული ტყვიამფრქვევი (გვარდიისა) და ტანკებიც კი, დამშვიდებით ელაგა საწყობებში. ევროპაში ამ მოწყობილობით ჯარის ვარგისობას აუმჯობესებენ; ჩვენში კი მათ ქარვასლების შემკობის როლი შეასრულებინეს (ნახეთ სამხ. მინ. ამხანაგ ღენ. ოდიშელიძის მოხსენება). ჯარზე საჭირო არც არის ყველაფრის მოყვანა, ესეც ღენ. ოდიშელიძისაგან ვიცით. **ჯარს არა ჰყავდა უფროსი; არ იყო დანიშნული არავინ, რომ ჯარის ვაწრთვნასა და ალზრდაზე ემუშავა; ჯარის ადმინისტრაციასა და მომარაგებასაც ერის კაცი განაგებდა; გაუგონარი შემთხვევაა, ჯარი ერთ დღესაც უუფროსოდ იყოს, არამც თუ სამი წლის განმავლობაში.** ჩვენი საზოგადოების ერთი წრე ამტკიცებდა ოდესღაც, რომ ომი წაგვაგებინა რუსეთთან შედარებით გადაჭარბებულმა სისუსტემ. — ასეთი რამის მტკიცება არის უსაფუძვლო. ჩვენ მთელი რუსეთი კი არ შეგვბრძოლებია, არამედ მისი მცირედი ნაწილი. ისტორიამ იცის, არა ერთი მაგალითი სუსტის ძლიერზე გამარჯვებისა. ამის დასტურია რუსეთ-იაპონიის ომი და თვით ჩვენი წარსულიდანაც არა ერთი მსგავსი მაგალითია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ისტორიას არ ახსოვს ოდესმე ჩვენ მტერზე ძლიერნი ვყოფილიყოთ რიცხობრივად. ჩვენს წინაპრებს არადროს არ უკითხავთ „რამდენია მტერი“? არამედ „სად არის ის“? რიცხვით 5—10-ჯერ ნაკლები უხვდებოდენ მას და იმარჯვებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გული გვეთუთქებოდა, როდესაც ვხედავდით, რომ ყოველ მხრივ შესაძლებლობა გვქონდა საუკეთესო ჯარის შექმნისა და ცხოვრებაში კი რაღაც გაუგებარი და დღევანდლამდე განუმარტავი რამ ხდებოდა. რომ ჩვენ კარგი ჯარის მოწყობა მართლაც შეგვეძლო. მაჩვენებელია ჩვენი სამხედრო სკოლის ათასეული; არავინ იფიქროს, რომ ამის მიღწევა შეეძლოთ მხოლოდ სკოლის ოფიცრებს. არა! სხვაობის მიზეზი **მუშაობის პირობათა დაყენებაშია. სკოლის პირველმა ხელმძღვანელმა და უფროსმა გენ. კვინიტაძემ მოახერხა სკოლის მუშაობისათვის სრულიად დამოუკიდებელი პირობები მოეპოვებინა; ჩვენ, ოფიცრობამ კი, მივაღწიეთ მას, რასაც მიაღწევდენ ბევრი სხვებიც, მსგავს პირობებში.** ჩვენი რეგულიარული ჯარი, გენ. კვინიტაძის ხელში რომ ყოფილიყო, ისეთივე გაწრთვნილი იქნებოდა, როგორც სკოლის ათასეული. რატომ არ მოხდა ეს ასე, ამას არ გამოვუდგებით აქ. — ეს პოლიტიკამდე მიგვიყვანდა, ჩვენ კი მხოლოდ სამხედრო დარგის შეხება გვინდა.

ომი წავაგეთ და მთელ ამ მძიმე მოგონებებში ერთი სხივია წყლულებს რომ გვიურვებს და გაყინულ სულს გვითბობს. ეს ჩვენი სამხედრო სკოლის სამაგალითო ომებია ტაბახმელაზე. თქვენ ახალგაზრდობავ! ჩემო თანამებრძოლნო, საერთო უბედურებაში ერთი ბედნიერება მაინც გქონდათ. ბედმა მოგანდოთ დაგემტკიცებინათ, რომ ქართველებს თავისი სამხედრო თვისებები არ დაუკარგავთ. ჩვენი სკოლის სახელი სამაგალითოდ გადავა ისტორიაში მომავალ თაობათათვის. დღევანდელი დღე და წარსულის მოგონება სხვა მოგონებათა შორის ჩვენი პირველი ქართული სკოლის პირველ უფროსს ღენ. კვინიტაძესაც მოგვაგონებს. ჩვენ გვმართებს მადლობა ვუთხრათ მას, რომ თავისი ბრძანებით საშუალება მოგვცა ტაბახმელის ომები გადაგვეტანა. მან მოგვანდო პოზიციის უმნიშვნელოვანესი წერტილი და ჩვენც გავაკეთეთ, რაც ჩვენს ხელთ იყო, მტერს ვძლევდით ყოველ დღე და დავტოვეთ პოზიცია მხოლოდ ბრძანებით. თქვენ, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, ღმერთი კიდევ მოგასწრებთ მტერთან შეხვედრას, ოღონდ არა ჯარისკაცებად, არამედ ხელმძღვანელებად და უფროსებად. ემზადეთ ამისათვის; საბედნიეროდ ამის პირობები გაქვთ.

ადამიანს ერთხელ რომ წაუცდება ფეხი და უბედურება ეწვევა, ხშირად უბრუნდება ხოლმე ამ საკითხს, იგონებს უბედურების ყველა ფაზებს და უნებლიედ ვარდება ოცნებაში. არდგენს კითხვებს: — რა იქნებოდა რომ ყოფილიყო ასე, ან ყოფილიყო ისე და სხვა. სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ახლა, როდესაც კიდევ ერთხელ მოვიგონეთ ჩვენი წარსული, მივეცით ოცნებას; აღგვეძრა მრავალი კითხვა. გამწარებული პატრიოტული გრძნობა ცდილობდა გამოენახა გადავლილი ამბებისათვის ისეთი ზომები, რომელთა მიღება უბედურებას აგვაცილებდა. ცხადია, ასეთი ოცნებები მომხდარ კატასტროფას ვეღარ შემოატრიალებენ, **მაგრამ ვააშუქებენ კი ჩვენ წარსულ შეცდომებს და შეიძლება ეს მომავლისათვის სასარგებლოც შეიქმნეს.** ამ მოსაზრებით გავუზიარებთ მკითხველსაც ჩვენს ოცნებებს. მთელი ჯარის მშენებლობას აღარ შევეხებით აქ, არც პოლიტიკურ მხარეს გავაშუქებთ, ოღონდ იმ ნაბიჯებს, რომლებიც გადადგმულ იქმნენ ომის რამოდენიმე თვის წინ.

როგორც ვიცით, 1920 წელში შემოდგომაზე ბრუნდება საზღვარ გარეთიდან ღენ. ოდიშელიძე და არდგენს საკითხს ჯარის უმაღლესი მმართველობის რეფორმის შესახებ (იხილეთ მისი მოხსენება).

აქედან იწყება ჩვენი ოცნება — წარმოვიდგინოთ რომ მოხდა შემდეგი: მთავრობა იბარებს უფროს გამოცდილ ოფიცრობას, ავალებს დაიმუშავონ ჯარის ადმინისტრატიულ დაწესებულებათა და უმაღლეს მმართველ ორგანოების გეგმა. პროექტი მუშავდება და მტკიცდება მთავრობის მიერ.

მიღებულია:

1) სამხედრო მინისტრად ერის კაცი — მთავრობის წევრი.

2) მასთან თანაშემწე — მხედარი, ევროპაში ამ თანამდებობისათვის მიღებულ უფლებებით აღჭურვილი.

3) ჯართა უფროსი — ინსპეკტორი (როგორც ევროპაში უწოდებენ) — ეს მომავალი მთავარსარდალი; მას ექვემდებარება ღენერალური შტაბი და მთელი ჯარი და, რასაკვირველია, გვარდიაც.

4) სამნეო დარგის უფროსი, ცხადია, მხედარი — მეთაურობს აგრეთვე ადმინისტრაციას და მომარაგებას. ექვემდებარება სამხედრო მინისტრის თანაშემწეს.

5) სამინისტროსთან არსებული „სამხედრო საბჭო" და „სამნეო კომიტეტი" გაუქმებულია.

6) არსდება „სახელმწიფოს თავდაცვის საბჭო" — მუდმივი და არა ისე, როგორც იყო ჩვენში, მხოლოდ ომის დროს. (შემადგენლობა — ევროპაში მიღებული წესით)*).

---

*) ჩამოთვლილი ზომები საზღვრავენ იმ ნორმალურ პირობებს, რომელზედაც ემყარება თავდაცვის ორგანიზაცია ყოველ განვითარებულ სახელმწიფოში. ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის „სამხედრო კომისია“ ამ დროიდან მოქმედებს ევროპაში მიღებული წესებისა და ტრადიციების მიხედვით.

წარმოვიდგინოთ, რომ ეს ოცნება მართლაც გატარდა ცხოვრებაში 1920 წელს და ვნახოთ, რანაირად განვითარდებოდენ შემდეგი მოვლენები.

სამხედრო მინისტრის ამხანაგად ინიშნება ღენ. ოდ—ძე; ჯართა უფროსად ღენერალი, რომელიც ყოველთვის უფროსობდა ჯარს ომებში — ღენ. კვ—ძე, მომარაგების უფროსად — ღენ. ა. გ.—ლი.

სამხედრო მინისტრის ამხანაგი და სამნეო დარგის უფროსი ახდენენ თავის დაწესებულებათა რეორგანიზაციას. ჯართა უფროსის მოთხოვნილებით, ნაწილებთან **არსდება სამობილიზაციო მასალათა საწყობები.**

სახელმწიფოს თავდაცვის საბჭო იღებს ზომათა მთელ რიგს ჯარის ყველა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ოქტომბერში, (როგორც ფაქტიურად იყო) ხმავდება ცნობები რუსეთის საქართველოში შემოჭრის გადაწყვეტილების შესახებ და აზერბეიჯანში მე-11 ლაშქრის მზადების შესახებ.

ნოემბრის პირველ რიცხვებში ირკვევა, რომ თავდასხმას ადგილი ექნება ქრისტეშობისთვის ნახევარში; საფრთხის სიახლოვის გამო უქმდება რეკრუტების წვევა, გარდა 1000 წერაკითხვის მცოდნისა (ნაცვალთა სკოლისათვის), ორდანახევარ თვეში ნაცვლებად გამოსაშვებად. სკოლა ღებულობს ბრძანებას იუნკრების დაჩქარებით ოფიცრებად გამოსაშვებად.

ჯართა უფროსს შეაქვს პროექტი სახელმწიფოს თავდაცვის საბჭოში, რომელიც პროექტს იხილავს და ამტკიცებს: 1) საზღვრების ტფილისთან სიახლოვის გამო, 1 დეკემბერს მოხდეს მე-2 ბრიგადის მობილიზაცია და დაყენდეს ის მუდმივ სამზადისში (ამნაირად მე-2 ბრიგადა ხდება დივიზიად, ჰყავს 12 ათასეული ხაზის და 4 სათადარიგო). 2) ცხადდება არმიის და გვარდიის ცხენოსანი პოლკების*)

---

*) სიტყვა „პოლკი“ მიღებული იყო ჩვენს წესდებებში 1917—21 წწ. განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაარსდა ქართულ წესდებათა შესამუშავებლად, ხსენებულ მცნებას შესაბამისი ქართული სიტყვა ვერ გამოუგონა.

„მხედრის“ წარსულ ნომრებში ამ საკითხს ვრცლად შევეხეთ, მაგრამ საუბედუროდ ქართულ ენის მცოდნეთა წრეებში გამოძახილი ვერ ვპოვეთ. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობილიზაცია; იძლევა ეს ერთად 12 ესკადრონს, რაც ეწყობა ერთ სამ პოლკიან დივიზიაში. ეს ორი დივიზია და ოთხი მუდმივი გვარდიის ათასეული ჯგუფდება შემდეგნაირად: —

მე-6 პოლკი, 1 გვარდ. ათასეული და ერთი ბატარეა ლაგოდეხში.

მე-5 და მე-10 პოლკები, 1 გვარდ. ათასეული ტფილისში.

მე-8 პოლკი მანგლისში.

ორი დანარჩენი გვარდ. ათასეული კოჯორში.

ცხენოსანი დივიზია: 1-ლი პოლკი ბელაქანში, მე-2 ტფილისში. გვარდიის პოლკი — ეკატერინეფელდში. საზღვრებზე რჩება მხოლოდ სადარაჯო რაზმები. იცემა ბრძანება ალაზნის და ფოილოს რკინისგზის ხიდების დასაცავად; მთელ დანარჩენ გვარდიას იწვევენ 10-დღიან მოსამზადებელ მეცადინობაზე; ინიშნება გვარდიაში მაღალი (სამხედრო) უფროსობა; ივსება ოფიცერთა რიცხვი; 450 ლუისის ტყვიამფრქვევიდან გვარდია აძლევს ნახევარს არმიას; წესრიგდება გვარდიის არტილერია; ინიშნებიან იქ გამოცდილი ოფიცრები; ჯავშნოსანი თვითმავალები და მატარებლები გადადიან ჯართა უფროსის განკარგულებაში. ყველა ეს, გარდა ცხენოსანი ჯარის მობილიზაციისა (მოითხოვს მეტ დროს), თავდება 10 დეკემბრისათვის.

3) წითელ ხიდთან და მარჯვნივ ქედზე მზადდება სანგრები; მეორე პოზიცია მზადდება იაღლუჯის ქედზე, მდინარე მტკვრიდან ყარსის რკინისგზის გადალმამდე; მესამე პოზიცია ეწყობა — სოღანლუღ—ტაბახმელა—კოჯორის ხაზზე. პოზიციები მზადდება აგრეთვე ლაგოდეხში, უღელტეხილებზე (დარიალის და მამისონის) და შავიზღვის ნაპირებზე; იღება დამატებითი ზომები აზერბეიჯანში და სომხეთში, მე-11 ლაშქრის დაგროვების და მზადების შესახებ, ცნობების საშოვნელად.

14 დეკემბერი მშვიდათ გადის; ცნობაა, რომ ოპერაციების დაწყება გადადებულია მოკლე ხნით. დეკემბერში იტალიიდან 10 ჰაეროპლანი ყუმბარების მსროლი მოდის; ფრენოსნები გამალებით სწავლობენ ყუმბარების სროლას. დეკემბრის ბოლოს, ვეკერის ცნობილ მოხსენებიდან ვგებულობთ მე-11 ლაშქრის შემადგენლობის დეტალებს.

—ახლა ეჭვი აღარ არის, რომ ომი უახლოესი დროის საქმეა.

მე-3 ბრიგადის მე-12 ათასეული ახალქალაქიდან გადმოდის ბორჯომში (საზღვრებიდან მოსაშორებლად); მის მაგიერ იგზავნება გვარდიის ათასეული; მფრინავი რაზმი გადაჰყავთ გორში; მთელი სამხედრო მოწყობილობა (იარაღი და მასალა) იზიდება გორშივე. იანვრის ბოლოში ვგებულობთ, რუსეთიდან აზერბეიჯანში რამოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე დივიზიის გადაზიდვის შესახებ. ეროვნული თავდაცვის საბჭო საჭიროდ სთვლის ჯარის და გვარდიის სრული მობილიზაცია გამოაცხადოს. თებერვლის პირველ რიცხვებში მთავრობა აცხადებს მობილიზაციას. ჯართა უფროსი (ინსპეკტორი) ინიშნება მათ მთავარსარდლად. აქ ვათავებ ოცნებას და ვნახოთ რა ძალებით დავხვდებით ომს.

რეგულიარული ჯარი: **3** ქვეითი დივიზია; **36** ხაზის და **12** სათადარიგო ათასეულით.

1 ცხენოსანი დივიზია **15** ესკადრონით (**3** ესკ. ტყვიამფრქვევით).

66 ზარბაზანი.

270 მძიმე და **225** მსუბუქი ტყვიამფრქვეველი.

6 სანაპირო და **1** სადარაჯო ათასეული.

1 საპიორთა ათასეული.

10 ჯავშნიანი თვითმავალი და **4** ჯავშნიანი მატარებელი.

ვვარდია: **23** ქვეითი ათასეული; **26** ზარბაზანი და **225** მსუბუქი ტყვიამფრქვეველი.

სულ ერთად: — **66** ათასეული (52,800 ხიშტი).

15 ცხენოსანი ესკადრონი (1620 ხმალი).

92 ზარბაზანი.

270 მძიმე და **450** მსუბუქი ტყვიამფრქვეველი.

1 საპიორთა ათასეული.

10 ჯავშნიანი თვითმავალი და **4** ჯავშნიანი მატარებელი.

10 აეროპლანი.

აქ საყურადღებოა, რომ ამ დროისათვის, მე-2 ქვეითი და ცხენოსანი დივიზიები, სრულად გაშილილ და გაწრთვნილია; გვარდია 10 დღის მეცადინობაზე ყოფნით ცოტა მაინც გაწვრთნილია; მათი მმართველობაც მოწესრიგებულია; სკოლა მობილიზაციისას უშვებს 180 ახალგაზრდა ოფიცერს და 1000-მდე ნაცვალს, რაც, ცხადია, სწევს ჯარის ვარგისობას. ბოლოს ჯარს ეყოლებოდა კიდევ 12 ათასეული (6,000 ხიშტი) დანაკლისის შესავსებად.

ამნაირად: ომის დასაწყისისათვის ჩვენი ჯარები სრულიად დამზადებულია და მთავარ სარდლას თავისუფლად შეუძლია ბრძოლის ასპარეზი მტრის ტერიტორიაზე გადაიტანოს და მოახვიოს თავისი ინიციატივა.

თუ „მხედრის“ წარსული ნომრებიდან მოვიგონებთ, რომ 1921 წლის ომში მებრძოლთა რიცხვმა ვერ გააცილა 12—13 ათასს (10,000 ტფლისთან და 3,000 შავიზღვის პირას), ვხედავთ, რომ ჩვენ ახლა ოთხჯერ ძლიერი ვიქნებოდით. და თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის ტფილისთან ბრძოლაში 7 დღის განმავლობაში არამც თუ შევაჩერეთ ბოლშევიკები, არამედ ვამარცხებდით კიდეც, მაშინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ **ჩემი „ოცნება“ რო სინამდვილედ ქცეულიყო, ბოლშევიკების ლაშქრის სრული მოსპობის და აზერბეიჯანის ტერიტორიის მე-11 ლაშქრისაგან გაწმენდის 100-პროტენციანი შანსები გვექნებოდა.**

ვიცი, ზოგიერთი იტყვის, რომ დასკვნა დამყარებულია „ოცნებაზე“; ეს მართალია, მაგრამ მკითხველი დაფიქრდეს: — ნუ თუ ამ „ოცნებაში“ მოყვანილი პირობები და ზომები შეუძლებელი იყო სინამდვილედ გვექცია? — იქნებიან ისეთებიც, რომელნიც იტყვიან: — თუ ასე ადვილი გასაკეთებელი იყო ყველაფერი ეს, მაშ რატომ არ გაკეთდა? ამაზე მოკლედ ვუპასუხებთ:

ჩემი „ოცნებების“ საქმედ საქცევად **ერთი პირობის მიღება იყო საჭირო: 1920 წლის შემოდგომამდე მაინც სამხედრო საქმე სრულიად უნდა გადაცემოდა მხედრობას იმ სახით, როგორც ეს აღვნიშნე „ოცნებაში“.**

ოცნება, რასაკვირველია, ოცნებად რჩება და დღეს აღსრულებულის არა მომხდარად ქცევა აღარ შეგვიძლია, **მაგრამ დეე ყველამ ვაიგოს და კარგად შეიგნოს, რომ გადამწყვეტ ხანაში, როდესაც ჩვენი სახელმწიფოსათვის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი დადგა, ჩვენ გამოვდექით სუსტნი და მოუმზადებელნი, არა იმიტომ, რომ ჩვენ საამისო საშუალებანი არ მოგვეპოვებოდა, არამედ იმისთვის, რომ ჩვენში სამხედრო საქმე ერის კაცთა ხელში იყო. რა ხნიდანაც კი ჯარი არსებობს, არსებობენ ჯარის მოწყობის საფუძვლები და პრინციპები და ეს პრინციპები დღევანდლამდე უცვლელია. იარაღისა და ტექნიკის ცვლასთან იცვლება შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის სისტემაც, ბრძოლის წესი და ტაქტიკაც, მაგრამ პრინციპები უცვლელი რჩებიან. თუ ვისმეს ჰგონია, რომ რევოლუციის მონაპოვარის დასაცავად საჭიროა სამხედრო საქმეშიც რევოლუციის მოხდენა, იგი ძალიანა სცდება; სამხედრო საქმე, როგორც სხვა მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული ხელოვნებანი, მიდის საკუთარი გზით. ეს ჩვენ ვერ შევიგნეთ და დავიღუპეთ.**

ა. ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემიგრანტობის თხუთმეტი წლის თავზე

ემიგრანტობის მე-15 წლის თავზე ჟურნალი „მხედარი" მე-8 წელიწადს იწყებს თავისი არსებობისა. ერთგულად და გულმოდგინედ ემსახურებოდა თავის დარგში ეს ორგანო და მის ირგვლივ მოკრებილი მხედრობა ქართულ მხედრულ საჭიროებებს და საამისო ატმოსფერის გაჯანსაღებას.

უმთავრესად გვაინტერესებდა ამ ხანის განმავლობაში ნათელ გვეყო ყველასათვის: სახელმწიფოს ცხოვრებაში მხედრული დარგის მნიშვნელობა და ამით ჯერ ერთი, ფონი შეგვექმნა ქართულ მხედრულ საქმიანობისათვის ჩვენი ერის ბედის შეცვლის დასაჩქარებლად და მეორეც დაგვემზადებინა ყველაფერი, რომ ეგებისობის შემთხვევაში შესაძლებელი გამხდარიყო სამხედრო დარგის პირველ დღიდანვე სახელმწიფოებრივ მასშტაბში და მაქსიმალური შედეგებით წარმართვა. ემიგრანტობის 15 წელმა საქართველოს თავისუფლება ვერ დაუბრუნა და იძულებული ვართ ჩვენი ამ სახის მუშაობა მე-16 წელშიაც გადავიყოლოთ.

ვინც თვალყურს ადევნებს ქართულ ემიგრანტულ პრესას და საზოგადო აზრს, შეამჩნევდა, რომ ამ სახის ჩვენმა მუშაობამ უშედეგოდ არ ჩაიარა; ბევრია მიღწევები და დღევანდელი ამ მხრივ ვითარება ვერ დაედრება რვა წლის წინადროინდელს. თუ შედეგები სრული არ არის, ეს მხოლოდ იმას მიეწერება, რომ მუშაობა მოგვიხდა მეტად მძიმე პირობებში. დაბრკოლებებს დავხვდით იქ, სადაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო. ვფიქრობთ, ქართული საზოგადოების საღი გონება და 15 წლის გამოცდილება დაგვეხმარება ბოლოს ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვაში და ემიგრანტობის მე-16 წელში ქართულ მხედრულ საჭიროებათა მხრივ სრულ შედეგების მიღწევაში. საამისოდ კი, საჭიროდ მიგვაჩნია მთელი მხედრული დარგის ირგვლივ დაყრილი ბურუსი ერთხელ და საბოლოოდ გავფანტოთ, რომ ამით მერყეევთა და საქმის ნაკლებ უცოდინართა შეცდომაში შეყვანა შეუძლებელ ვყოთ. საქმის გასაგებად დავსვათ ჯერ საკითხი: — რა დარგია სამხედრო დარგი საერთოდ და აქვს თუ არა მას რაიმე საერთო საქართველოსთან.?

როდესაც ამ კითხვას ვსვამ, უნებლიედ მაგონდება 1920 წელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ქართველი მოღვაწის მიერ ნათქვამი სიტყვები: რომ 27 წლის თეორიული მუშაობის შემდეგ თავს ანებებს წერას და უდგება პრაქტიკულ საქმიანობას, ამ ხნის განმავლობაში ნათქვამ-ნაწერის ცხოვრებაში გასატარებლად. — არ გაუვლია ერთ წელსაც ამ სიტყვების თქმიდან, რომ მას პრაქტიკული საქმიანობა შეაწყვეტინეს და შეაწყვეტინეს მისთვის, რომ ამ საქმიანობისათვის გარანტია არ იყო შექმნილი ძლიერი ქართული ჯარის და ერში ეროვნული შეგნების შეტანის სახით.

ერს, რომელსაც სურვილი ჰქონია სუვერენული არსებობის და განვითარებისა, არ აღმართია არასოდეს იმდენი საფრთხე, რამდენიც დღეს.

ორი მოვლენაა ამის მიზეზი; ერთი — ეს წარმოების საშუალებათა უმწვერვალესი განვითარება; მეორე — პატარა ერების გვერდით დიდი სახელმწიფო ერთეულების არსებობის ფაქტი. დიდ ერთეულებს სჭირიათ თავის მრეწველობისათვის ნადლი მასალა, სჭირიათ ბაზარი, სჭირიათ აგრეთვე საკოლონიზაციო ადგილები მოსახლეობის სიმკვრივის შესამცირებლად. უიაფეს საშუალებას ყველა ამ პირობათა მოსაპოვებლად ძლიერის მიერ სუსტის ჩაყლაპვა წარმოადგენს. ეს ცხოვრების ძველი კანონი უხსოვარ დროთაგან უცვლელია იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ დღეს ტექნიკის და საომარ წესების გაუმჯობესების გამო, ძლიერი ისე ძლიერია, როგორც არასოდეს; და თუ სუსტს თავის გადარჩენა უნდა, ამავე მხრივ იმდენი უნარი, სურვილი და თავგანწირვა უნდა გამოიჩინოს, რომ საჭირო დროს არ შედრკეს. მდგომარეობას დამშვიდებით შეხვდეს და შეხლიდანაც გამარჯვებული გამოვიდეს. სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს: ომის დროს ტექნიკას დარი ტექნიკა დაუხვედროს, ძალას ძალა და დამყრობელობით სურვილს მორალური უპირატესობა. ნათქვამიდან უკვე სჩანს, რა საკითხიც ყოფილა სახელმწიფოსათვის სამხედრო საკითხი, მაგრამ გავყვეთ ბოლომდე. სუვერენულ ერის სამხედრო ძლიერებას განსაზღვრავს ამ ერის სამხედრო ორგანიზაცია. ეს კი სხვა არაფერია თუ ამ ერის ცოცხალ ძალთა და მატერიალურ საშუალებათა ომის საჭიროებათათვის გამზადება. რამდენად მაქსიმალურია ორივე ამ საშუალების გამოყენება ომის დროს, მით უკეთესია სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია და მით მეტია შანსები მისი გამარჯვებისაც. სამხედრო დარგი, რომ ყველა სახელმწიფოსათვის დღეს უმნიშვნელოვანესი დარგია, გვაჩვენებს ამას დღევანდელ სახელმწიფოთა შეიარაღების ჯირითი და ამ დარგის გადაძძიმებული და მუდამ მოზარდი ბიუჯეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო საკითხს ორგანიზაციის გარდა თვით ჯარის და ერის წრთვნა და ზრდაც ეკუთვნის. მეტყვით: ყველაფერი ეს მართალი და კარგია, ოღონდ ნორმალურ პირობებში; რომ საქართველომ დაჰკარგა სუვერენობა და ნორმალური ხანაც; რომ დაგვიანებულია მის არსებობის შესანარჩუნებლად ცოცხალ ძალთა და მატერიალურ საშულებათა ორგანიზაციაზე ლაპარაკი; რომ ზედმეტია გაწრთვნასა და აღზრდაზე ლაპარაკი.

დიახ! მაგრამ განა ჩვენ იმედი დავკარგეთ ჩვენი ერის სუვერენობის აღდგენისა? აღდგენისა და განმტკიცების საკითხში კი, სამხედრო დარგი პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობისაა. მე არ შევუდგები აქ ჩამოთვლას ყველა ეგებისობებისა, რომლებიც ჩვენ ერს დამოუკიდებელ არსებობამდე მიიყვანს; ვიტყვი მხოლოდ, რომ **ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეინარჩუნებს ის მოპოვებულ თავისუფლებას, თუ რომ მისი არსებობის პირველ დღიდანვე მაგრად არ ჩასჭიდა ხელი სამხედრო ორგანიზაციას და ერის მხედრულ დარაზმვას მორალურის და მატერიალური მხრივ.** საქართველოს სამ-წლიანმა არსებობამ და-1921 წლის სამხედრო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი ყოფილა. ჯარის მოწყობას (თუ ამისი სურვილი არსებობს) სჭირდებია დიდი მუშაობა. ეს დარგი, ისევე როგორც ყოველგვარი სპეციალობა, ვერ ითძენს ექსპრომტებს, ვერც მოუფიქრებელ საქმიანობას; ეს კი საჭიროებს საქმის ყოველ მხრივ და საფუძვლიან შესწავლას და საჭირო მასალის გულდასმით გადაღეჭვას. აი თუნდაც ერთი დარგი სამხედრო მუშაობიდან, რომელიც შესაძლებელია და საჭიროცაა ჩატარდეს ქართველი ემიგრანტების მიერ არსებულ პირობებში, თუ თვით დამოუკიდებლობის საკითხზე აღარაფერს ვიტყვით.

შესავალ მუშაობაზე დრო აღარ უნდა დაიკარგოს, თუ კი ეს დრო აქ ისედაც გვეკარგება.

მაგრამ იქნებ რომელიმე ქართველს დაეკარგა იმედი საქართველოს სუვერენობის ოდესმე აღდგენისაც და ყოველგვარი მხედრული სახის მუშაობას უალაგოდ სცნობს; ასეთებს ვურჩევთ გადაათვალიერონ ქართული ისტორია და იქ იპოვიან მაგალითებს თუ ათას წლიან არსებობის სიგრძეზე როგორ იბრძოდა არსებობისათვის და რამდენი უარესი პირობები გადაუტანია.

რამ გამოიყვანა ქართული ცხოვრების ასპარეზზე „მხედარი" და მის ირგვლივ მომუშავე მხედრობა? ნორმალურად სამხედრო დარგს განაგებს სამხედრო სამინისტრო, საამისო, საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღნიშნულ ჩარჩოებში. ერის თავდაცვის მომზადებაში მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობს უფრო მაღალი სამხედრო ინსტანციები და რამდენიმე სამინისტროს წარმომადგენელთაგან შემდგარი საბჭოები. მოკლედ, სამხედრო დარგს ხელმძღვანელობენ მაღლიდან დაბლა, ჰიერარქიული წესით. ესენი ზიდავენ პასუხისმგებლობას და ესენივე ეძებენ საშუალებებს თავის ხელქვეითთაგან უდიდესი საქმიანობის გამოჩენისა.

ჩვენ თავისუფლება დავკარგეთ, მაგრამ ამის შემდეგაც საქართველო კარგა ხანი იყო საზღვარგარეთ ცნობილი დიდი ომის დროინდელი ბელგიის პირობებში; გვთვლიდენ უცხო ძალის მიერ ძალით დაკავებულ სახელმწიფოდ; მთავრობას ერქვა მთავრობა და მისი წარმომადგენელნი სხვა და სხვა სახელმწიფოებში ჩვენი ერის წარმომადგენლობას ეწეოდენ; საქართველოც, ამ დროს უკვე გამოფხიზლებული, ფიზიკურად იბრძოდა და აჯანყებებს აწყობდა; ემიგრაციას თავის რიცხვში მხედრობაც ჰყავდა; ამათ მხედრული არსებობა და ცხოვრება არ შეეწყვიტათ. ასეთ პირობებში მხედრული საკითხების მაღლიდან წაძღოლა (ემიგრაციაშიც) აუცილებელი და საჭიროც იყო. საჭირო იყო ამ გზით მხედართ ერთიანობის შერჩენა, მათ შესაძლებლობათა განზომვა და საქართველოს საჭიროებისა და შექმნილ პირობებთან შეფარდებით ამუშავება.

ამ სახის მუშაობის მაგიერ მოწამენი გავხდით იმ ფაქტის, რომ ინიციატივა მხედრული სახის მუშაობისა დაბლიდან გაჩნდა. ოფიციალური და პასუხისმგებელი წრე ასეთ ინიციატივას უარყოფითად დაუხვდა.

ასეთ პირობებში სამხედრო დარგის სახსნელად სარბიელზე გამოდის მხედართა ახალი თაობა და მათი ორგანო „მხედარი". აი ასეთია მოკლედ ამ ორგანიზაციის წარმოშობის ისტორია. მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი პირობებიც და საქმის საშველი მალამოც.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში მხედართა ამ თაობას არ გაძნელებია ქართველი მხედრის მოვალეობის პოვნა*). **თუ არსად სჩანდა ქართული მხედრული საკითხის მომვლელი, მათ უნდა ეკისრათ ეს, და კიდეც იკისრეს. ოღონდ შვიდი წლის განმავლობაში მაინც ეცადენ პირობათა გაჯანსაღებასა და მხედრულ საქმიანობათათვის ნორმალური კალაპოტის აღდგენას, ოღონდ არამც თუ ამ მხრივ არაფერი შეიცვალა, არამედ ის დაბრკოლებები, რომელთაც წააწყ-**

---

*) რასაკვირველია, ძველ მხედრობის წარმომადგენელთა რჩეული ნაწილის ხელმძღვანელობით — სიმართლე მოითხოვს ეს აღინიშნოს. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამავე საკითხზე ჩვენი მხედრობის უფროსი თაობა, სხვა სახით და ფორმით გადაგველობა ჩვენც.

მხედრულ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ექცევა მოპირდაპირის თვისებათა შესწავლას; თუ სწორედ შეაფასე და განსჭვრიტე მისი მიზნები, საფრთხე აცილებულია; ეს თეზა ჩვენს პირობებშიაც გამოსადეგი შეიქმნა. ჩვენთვის, მხედართათვის მიზნებია სარჩულად მოქმედებათა და არა სიძნელენი მათ მიღწევისას.

სამხედრო საკითხი — ეროვნული საკითხია.

საუკუნოდ დაგვშორდა ის ხანა, როდესაც ამ ვალდებულებას ერის ერთი რომელიმე კასტა ასრულებდა. დღეს თავდაცვა მთელი ერის ფიზიკურ და მატერიალურ შესაძლებლობათა მონაწილეობას მოითხოვს. ომის დროს ამ მხრივ კი ერის მთელ შესაძლებლობათა მობილიზაცია ხდება და ვაი იმ ერს, რომელსაც საამისო ორგანიზაციული შნო დაკლდა; განკითხვის დღეს დამსახურებულ სასჯელს ვერ ასცდება. ომი თხოულობს მებრძოლებს, რაც მეტს გაიღებს ამ მხრივ ქვეყანა, მით მეტია შანსები მისი გამარჯვებისა. ომს სჭირია იარაღი და სამხედრო მრეწველობა; რამდენად მეტად არის ამ მხრივ დაყრდნობილი საკუთარ შესაძლებლობაზე, მით მეტია მისი წონა როგორც მეომარი პარტნიორისა. ომს სჭირია სურსათი; რაც მეტია შემძლეობა ამ მხრივ, მით მეტია გამძლეობა მისი ბედის ცვალებადობისა და ომის გახანგრძლივებისა. ომს სჭირია მისვლა-მოსვლათა საშუალებების ნაყოფიერი და შეწყობილი მუშაობა; ომს ჰყავს დაჭრილები მოსავლელად. მტერი არ დაინდობს იერიშებისაგან ზურგსაც; ხალხი ამასაც მზად უნდა დახვდეს შესაფერი სარდაფებითა და მოწყობილობებით. ომთან დაკავშირებულია დიდი და პატარა, ვინც საქმით არა, პირიდან გამოღებული ლუკმით მაინც. არ არის დღეს დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ზუსტად არ იყოს ომთან გადაჯაჭვული.

ომი ვერ ითმენს სამხედრო დარგში ვერავითარ ვიწრო მოკალათებულობას, ვერც პარტიულს, ვერც ჯგუფურს და ვერც სხვას ომის მოგება ან წაგება მთელი ერის საუკუნოებრივ ვითარების გადაწყვეტარა ერისათვის, მით უმეტეს ამ უკანასკნელისათვის. ერთ მხედრულ რუნველ ცხოვრებით სტკბება, ეს მტკიცება საერთოა დიდისა თუ პატარა ერისათვის, მით უმტეს ამ უკანასკნელისათვის. ერთ მხედრულ დარაზმულობით ძლიერი ერი, მთლიანი, პატარაც რომ იყოს, ადვილად ვადაიტანს ყოველგვარ ქარცეცხლს და მოკავშირეებსაც ასევე მოსძებნის, ვიდრე თუნდაც რიცხვით დიდი, მაგრამ დაშლილი და მოუწყობელი ორგანიზმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის ამგვარი გაგება რას აკისრებს ჩვენს მხედრებსა, საზოგადოებას და პოლიტკურ დაჯგუფებებს ერთმანეთთან დამოკიდებულებაში?

მხედრობა ხომ ის ნაწილია საზოგადოების, რომელიც უშუალოდ გულით და სისხლით გადიტანს შედეგს ერის მხედრულ დარაზმულობისას. მხედრობა ხომ ქარიშხალს მიშვერილი ყლორტია ხის, რომლის ძალა ეროვნულ ფესვების ფიზიკურ და მატერიალურ კვებისაგან გამომდინარეობს. აბა ხეს მოაცილეთ ფესვები ან ხე გასცარცვეთ ყლორტთაგან — იხეირებს ღა ხე? ასეა ერსა და ჯარის შორისაც და განა შეიძლება ხალხსა და ჯარს შორის ოდესღაც ხიდი ჩაიმტვრეს და კავშირი გასწყდეს? ასეა ყველა ერში, რომელთაც თავისი ინტერესი ესმით და ასევე უნდა იყოს საქართველოს მიმართაც ერი საკუთარი ინტერესის შეგნებით, თვითონვე უნდა სცდილობდეს ჯარის ვარგისობის მწვერვალამდე აყვანას. დღისით და ღამით მის სიმაღლის აწევასა და მასზე ზრუნვაში უნდა ატარებდეს. მხედრობას ერის განსაცდელისას სიცოცხლე მიაქვს სამსხვერპლოზე მისთვის უბედურების ასაცილებლად— სხვა არაფერი შედეგი ერისაა, ავიც და კარგიც. **აი ეს არის ერის მიერ ინტრესების სლად გაგება და ასეთ გაგებიდან უნდა გამომდინარობდეს მხედრების და დანარჩენ საზოგადოების ურთიერთობა. ეს ჩვენს სინამდვილეში შეჰქმნის იმავე პირობებს ნაყოფიერი მოქმედებისა, რომელსაც სახელმწიფოებში, ნორმალურად, სდარაჯობენ საამისო კანონები და ხელისუფლება**

არის თუ არა საამისო პირობები აქ, ემიგრაციაში? ემიგრაცია ზოგიერთი საეჭვო ზრახვების პირის თქმით, საქართველოს ბედ-ილბალისათვის უმნიშვნელო რამეა. „ემიგრაცია საქართველოს ვერ იხსნისო", ამბობენ ისინი და ამ საკითხზე შემდეგ ლაპარაკს საჭიროდ აღარ სცნობენ. ჯერ ერთი, ჩვენ საბუთები გვაქვს მთელი რიგი ქართულ ემიგრანტულ პრესის და მის ირგვლივ დაჯგუფებულ ხალხის მხრივ, რომ ქართველი ემიგრაცია მხედრული საკითხის, ეროვნული ფარგლებით გაგებისათვის, სრულიადაც დაკარგული არ არის და მეორე, საკითხი იმაში არ მდებარეობს, რომ ემიგრაცია უშუალო ხსნას მოუტანს საქართველოს; **საჭიროა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ხელის შემწყობ პირობების შექმნა და ამ მხრივ, მხედრულ დარგში, ემიგრაციას ფართო ასპარეზი აქვს სამოქმედოდ; არსებობენ მრავალი სიმპტომები, რომ სამხედრო მუშაობის წარმოების საჭიროება მოაზროვნე ემიგრანტულ წრეებში ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად ფეხს იკიდებს. ეს გარემოება გვაიმედებს,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მუშაობის თეორიულ სფეროდან პრაქტიკულზე გადასვლას დაბრკოლებები არ უნდა აღემართოს.

ქართველ ემიგრანტს არა ერთი უცხო სახელმწიფო შესცქერის; საქართველოს ვარგისობა უვარგისობაზე აზრის გამოტანა მისთვის ბევრად უფრო ადვილია ემიგრანტთა წრეების დაკვირვებით, ვიდრე ბოლშევიკურ საქართველოს პირში ბურთჩაჩრილ ქართველთა დაკვირვებით. შემდეგ ყოველი ქართველი ყოველ დღე თავისი სინიდისის წინაშე ანგარიშს უნდა აგებდეს ქართულ საჭიროებათა ყოველმხრივი გაგების და ამათთვის საკუთარ საქციელის შეფარდების მხრივ. უცხოელთა თვალი და საკუთარი სინიდისი — ეს ორი მოვლენაა ჩვენ საქმიანობას რომ უნდა სდარაჯობდენ

ჩვენ მხედრები ემიგრაციაში, ჩვენს მხედრულ მოვალეობებს ვდარაჯობთ და აქ კი, სხვა საქმეთა შორის, **დიდათ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ქართულ ემიგრანტობის მხედრულ საკითხთათვის მოპოება** იმ დებულებათა მიხედვით, რომლებიც ზევით მოვიყვანეთ და რომლისთვისაც სათანადო მუშაობას კარგა ხანია გულის-ყურით ვეკიდებით. **რას მოველით მხედრულ საკითხებისადმი ქართველი საზოგადოებისაგან?** ამ მხრივ ჩვენს საქმიანობას ხელს უშლის მეტად ქართულ საზოგადოების პოლიტიკური დაქსაქსვა. მაგრამ თუ კი დღევანდლამდე ქართულ საზოგადოების პოლიტიკური, თუნდაც ნაწილობრივი შეერთება არამც თუ ვერ მოხერხდა, არამედ პოლიტიკურ ჯგუფთა რიცხვი სისტემატიურად მატულობს, **საჭიროა მივახწიოთ ერთ აუცილებელ მინიმუმს — პოლიტიკურ ჯგუფთა ერთიან მიდგომას სამხედრო საკითხებისადმი, რადგანაც მხოლოდ ასეთ მიდგომით შესაძლებელ იქნება სამხედრო მუშაობის პრაქტიკულ დონეზე დაყენება.**

საჭიროა აგრეთვე, რომ საზოგადოებამ შეიგნოს, რო საქმის ასეთი დაყენება სჭირია არა მხედრობას და არა თვით ემიგრანტულ საზოგადოებას, არამედ საქართველოს.

ჩვენი მეტად მძიმე მდგომარეობა მოითხოვს ფიზიკურ კონცენტრაციას. საჭიროა აგრეთვე შეგნება, რომ **თუ საზოგადოების ამ საქმეს არა კისრულობენ საამისოდ მოწოდებულნი, საქმე უნდა იკისროს თვით საზოგადოებამ.**

ყოველგვარი უებარი მალამოც კი ჩვენი ერის განკურნებისათვის, თუნდაც ძლიერი ჯგუფის მიერ მოწოდებული, უსარგებლოდ იქცეოდა, თუ რომ ერს არსებობის დასაცავად ძლიერი ჯარი არ გააჩნია: რომ ეს ცხოვრებამ უკვე გვაჩვენა, მკითხველს მაგალითი მივეცი ამ წერილის თავშივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა კულტურულ ერებს არა ჰყავთ სხვა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფებანი, რომელთაც ერის და საზოგადოების უფლებრივ და ქონებრივ წარმატების გზები განსხვავებულად ესმით და ხშირად მწვავედაც კამათობენ ამის ირგვლივ, ოღონდ სდგება თუ არა საკითხი სახელმწიფოს თავდაცვისა, ჯართა ვარგისობის აწევისა, სამხედრო ბიუჯეტისა, ერთმანეთს ეცილებიან უკეთესი გამოსავალის ძიებაში და სამხედრო საჭიროებათა გულისყურით მოპყრობაში.

ვიმეორებთ, რომ საქართველოს აღდგენის ინტერესებს და საამისოდ ხელშემწყობ პირობათა შექმნას ეწინააღმდეგება ფაქტი რიცხოვან პოლიტიკურ ჯგუფთა არსებობისა, მაგრამ ეს მოვლენაც ბოლოს და ბოლოს ასატანი და მისაღები ვახდება, თუ კი სხვა და სხვა ჯგუფები სამხედრო დარგს ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზომით მიუდგებიან. ჩვენ ვერ დავდგებით პოლიტიკურ ჯგუფთა შორის მედიატორის როლში, ამის სურვილი არა გვაქვს, **ოღონდ სამხედრო საკითხთა გაგებაში თანაბარი საზომის მიღების და ამ დარგში ეროვნულ შესაძლებლობათა გაერთიანების მხრივ, ჩვენ დაბრკოლებას ვერა ვხედავთ და ეს არის ჩვენ მოქმედების ერთ მნიშვნელოვან მიზანთაგანი. ემიგრანტული პრესის უმრავლესობაში და ქართულ საზოგადოებაში, საბედნიეროდ, ჩვენ დღითი დღე ვხედავთ მეტ მაგალითებს სამხედრო საკითხთან ამავე საზომით მიდგომისა.**

ცხადია გამოწვეულია ეს არა მხოლოდ ჩვენს სურვილსა და მუშაობისაგან, არამედ და უფრო მეტად ქართველთ მიერ თავის ათას წლიან ეროვნული სახელმწიფოებრივი ტრადიციების შეგნებიდან; ეს უდიდესი საჭიროებაა დღევანდელი სახელმწიფოსი და ამის შენგნება შეუძლებელია დაჰკლებოდა იმ ეროვნების შვილს, რომელსაც ამდენი ხანი უარსებია. ეს სამარცხვინო იქნებოდა იმ ერთა წინაშე მაინც, რომელთაც ამ მხრივ სრულ გაგებისათვის მიუღწევიათ, ცხოვრების სარბიელზე სულ მოკლე ხანში გამოსვლის მიუხედავადაც.

ვათავებთ რა ამ საკითხზე, გვინდა იმედი გამოვსთქვათ, **რომ სამხედრო საკითხისადმი სწორი მიდგომის სხივი, რომელიც დღეს მთელს ემიგრანტობაში მცირედის გამოკლებით არსებობს, კოწიწად გადიქცევა ქართულ შემძლეობათა ფიზიკურ გაერთიანებისათვის; ამას კი , როგორც ითქვა, პრაქტიკულიც და ეფექტიური მნიშვნელობაც აქვს ჩვენსა და სხვათათვისაც.**

საქართველო იყო, მხედრულ გაერთიანების ხანაში დარაჯად რომ ედგა საკუთარ და მთელი კავკასიის და ახლო მდებარე ერთა მშვიდობიან განვითარებას. **ემიგრანტობის მე-16 წელმა საამისო პრა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტიკულ შედეგებთან უნდა მიგვიყვანოს, შემდეგი საქმიანობის ნაყოფიერი წარმოებისათვის.

მხედრის შინაარსი ყველა ზემო მოყვანილ დებულებებთან სრულ თანხმობაშია და დამნახავი ხედავს, თუ ამის გამო ქართული საზოგადოების მოთხოვნილებას იგი რანაირად აკმაყოფილებს.

უმთავრესი საფეხური, რომლის წყარო ის წრეებია, რომელთ სამხედრო დარგში ნაცვლად ხელმძღვანელობით როლის გაწევისა უყურადღებობა დაგვანახეს, იყო: ჩვენ მიერ ჩვენს ჟურნალში სამ-წლიანი არსებობის სამხედრო საკითხთა შეხება. არც ერთი საბუთი ამ მტკიცების დასადასტურებლად მათ მიერ მოყვანილი, მისაღები ვერ იქმნა; პირიქით ყოველი ამგვარი რამ ვერავითარ ლოღიკას ვერ უძლებს და პირველ შეხებისასვე ბურთივით ჰქრება. მათი თქმით, თურმე წარსული შეცდომები ყველასათვის ცნობილი ყოფილა და მათი მეხსიერებაში განახლება უალაგო ალიაქოთს ჰქმნის? როდის და ვისთვის ყოფილა წარსული შეცდომები ნაცნობი? ვინ გამოიყვანა ამ შეცდომებიდან პრაქტიკული დასკვნები? სად არის ამის შედეგები? როდის იყო, რომ სახელმწიფოებრივი მაშტაბიდან ხელი ამ დარგს და ვიწრო ზრახვებს მოშორებით ერთი ნაბიჯიც რომ გადიდგა? საქმეც აქ არის რომ ეს, არც საქართველოში, არც აქ ემიგრაციაში, უცხოეთში 15 წლის თავამდის არ გაკეთდა და ამისათვის ისე რომ, **არსებულ პირობების გასაჯანსაღებლად, წარსული შეცდომების შესწავლა გვჭიროდა. რა ირკვევა თუნდაც 1921 წლის ომის გარჩევიდან? რომ ომი და სახელმწიფო წაგებულ იქნა სამხედრო დარგის აბუჩად აგდების და მოუწყობლობის გამო და რომ მაშ, დროა სამხედრო დარგს სათანადო ყურადღება მიექცეს და ამ მტკიცების ყველ ქართველის მიერ უპოლემიკო აღიარება** მოხდეს! **აღიარება და თანხმობა თავის დაქნევასა და დაყაბულებაში კი არა მდგომარეობს, არამედ ამ თანხმობიდან გამომდინარე საქმიანობაში.**

სჩანს წინაუკმო ზრახვებია სწორედ ამ საქმიანობისადმი, რომ უკვე ამუშავებულთ, პირში ბურთის ჩაჩრის სურვილით გვხვდებიან. **დროა ქართველ საზოგადოებამ ვისიმე დაუხმარებლივ თვითონ ჩაიხედოს მხედრული საკითხის ვითარებაში და მონახოს ამ მზრივ სიმართლე და საბუთიც ჩვენ მიერ აღებული გზის და მეთოდების დასადასტურებლად, დროა მონახოს აგრეთვე საკუთარ თავში გამბედაობაც სიმართლის მხარეზე დასადგომად.**

ზოგიერთების თქმით, ძველზე ლპარაკი, ბალხის შეცდომების და ნაკლის გამოსარკვევად — ეს ერის, ისედაც ძძიმე პირობებში მყოფ, იარების გადაღარჯვლას უდრის. გარეგნულად ვითომც ლოღიკური,

ეს აზრიც პირველების კვერს აცხობს; რადგან სიჩუმე უმოქმედობაა და უმოქმედობას არავის სმენია როდისმე რამე საქმე წაეწიოს. ბოლოს ნუ თუ უმჯობესია, რომ დღევანდელ ქართულ მხედრულ ნაკლებსა და საჭიროებებზე ისტორიული მეთოდის მაგიერ სხვა მეთოდი მოვნახოთ: როდესაც გული და გრძნობა შელახულია, ძნელი სათქმელია სად მივიდოდით ამ შემთხვევაში და იქნებოდა თუ არა ეს ახალი საშუალება უფრო ლმობიერი? ამისთვის არის, რომ არსებული გზიდან ჩვენი ვადაყვანის სურვილები უშედეგოდ რჩება და დარჩება, ვიდრე ქართულ მხედრულ საკითხს მტკიცედ და საბოლოოდ არ გავამარჯვებინებთ ყველა იმათ გულში, ვინც საქართველოსთვის ჯერ საბლოოდ არ დაკარგულა.

ქართველი საზოგადოების მხრივ კი, გვრწამს, ემიგრანტობის მე-16 წელში, ჩვენსა და სხვათა მიერ საგრძნობლად მომზადებულ ნიადაგზე გადიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები მხედრულ საკითხში მთელი ქართველი საზოგადოების ერთიანებისა და ამით პრაქტიკულ და ეფექტიურ შედეგების გასამრავლებლად.

ბოლოს აღვნიშნავთ. რომ უნაყოფოდ შეეცდება ვინმე ყველა ზემო ნათქვამის ირგვლივ კამათი გაგვიმართოს! საკამათო აქ ჩვენთვის არაფერია. კამათის მსურველთა ზრახვანი ჩვენთვის ნათელია და ასეთებს კი ანგარიში არ გაეწევა.

ნ. მა — ლი

სახელმწიფოს თავდაცვის საქმე

ვუდგებით რა აღნიშნულ თემას, აზრათა გვაქვს ავუსახოთ მკითხველს სურათი. რომელიც ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგს ახასიათებს ევროპის სახელმწიფოებში. განვიხილავთ თავდაცვის მოწყობის საშუალებებსა და მეთოდებს, ხალხის შეიარაღებულ ძალთა ორ-

---

— *) ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო იძულებული ვართ მთელი მასალა რამოდენიმე ნაწილად გავყოთ; ეს ცხადია, წერილის ფასს დასცემს. მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვიშოვეთ. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციას, ტეხნიკურ მიღწევათა ამ დარგისათვის გამოყენებას და საერთოდ თავდაცვის საშუალებათა განვითარების გზებს. საკითხს შეეხებით შორიდან, რომ ნათელი ვყოთ, თუ ტექნიკისა და კულტურის წინსვლას, როგორ მისდევდა თან თავდაცვის საშუალებათა განვითარებაც. განსაკუთრებული გულისყურით შევჩერდებით ევროპის ეხლანდელ შეიარაღებასა და სამხედრო მოწყობილობის განხილვაზე და მათს **ჩვენს პირობებში ვამოყენებაზე.** საქმეს, ვეცდებით, მივუდგეთ ისე, რომ სამხედრო დარგის სრულიად უცოდინართათვისაც თვალსაჩინო გავხადოთ სახელმწიფოს თავდაცვის საქმე; გვინდა ერის-კაცულმა ნაწილმაც ჩვენი საზოგადოებისა გაიცნოს ეს საკითხი; ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ დღეს თავდაცვის საქმე მარტო მხედრობას კი არ აწევს თავზე, არამედ უნებურად სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას, დედაკაცებ-ბავშვებიანად.

ა. თავდაცვის საჭიროება.

უპირველესად ყოვლისა უნდა გავარკვიოთ: საჭირო კია საერთოდ სახელმწიფო თავდაცვაზე ფიქრი? არსებობს-ღა საშიშროება ერთი სახელმწიფოს მეორეზე დაცემის? იქნებ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით შესაძლებელია ომის აცილება?

უკანასკნელმა ომმა, თავისი საზარელი მსვლელობით, ცოცხალი ძალებისა და მასალათა წარმოუდგენელი ზემუსვრით და იმ მძიმე ეკონომიური შედეგებით, რომელთაგან კაცობრიობა ომის მე-17 წელსაც ვერ განთავისუფლებულა, ხალხთა ფსიქიკაში დასტოვა ისეთი ღრმა კვალი, რომ ყოველ მხრიდან მუდმივი პაციფიზმისაკენ ლტოლვა გაჩნდა. ალაპარაკდენ იმაზე, თუ რა საშუალებით აიცილონ მომავლისათვის კონფლიქტების იარაღის საშუალებით გადაწყვეტის ჩვეულება. გააჩინა ამან ერთა ლიგა, ადამიანის უფლებათა ლიგა, ეროვნული უმცირესობათ უფლებების აღიარება, ჰაგის ტრიბუნალი, სამხედრო ფლოტის მშენებლობის შეზღუდვა, და საერთო განიარაღების საკითხის აღძვრა; სახელმწიფონი მოჰყვენ თითო-თითოდ უაგრესიობის პაქტების შეკვრას, სადავო საკითხების ტრიბუნალებისათვის გადაცემის პირობების დადებას და სხვა მზგავსს პაციფისტურ სამოთხიდან, ლიტერატურა და ყოველდღიური პრესაც ამავე ჰანგით ამეტყველდენ; გეგონებოდათ ეხლა კი იპოვა კაცობრიობამ საშუალება სამხედრო კატაკლიზმების ასაცილებლადო. ომის დაბოლოების პირველ წლებში მართლაც ახერხებდენ კომპრომისებზე და დათმობებზე წასვლას, მაგრამ რამდენად დაშორდენ ომს და დავიწყებას მისცეს წარსული მსხვერპლები, იმდენად დაუბრუნდენ პირვანდელ ურთიერთობას და საკუთარ ინტერესის სხვისაზე მაღლა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენებას. უკვე მცირე ხნის წემდეგ შერიგებულ მხარეებს თვით ზავიც კი არ მიაჩნდათ ერთნაირად სამართლიანად. დაისვენეს და სული მოითქვეს თუ არა, დამარცხებულთ მოიწადინეს დაკისრებულ ვალდებულებათა მოშორება (კონტრიბუცია და სხვა შეზღუდვანი). დაიბადა შურის ძიების აზრი, ახალგაზრდობა, რომელსაც არ ენახა ომის საშიშროებანი, ადვილად აჰყვა ბელადებს. ერთა ლიგაში გახშირდა შეუთანხმებლობის მაგალითები. ზოგმა მიატოვეს კიდეც ის. ხალხმა დაკარგა ლიგისადმი ნდობა, მისი ავტორიტეტი დაეცა, შეუთანხმებლობა გრძელდებოდა და ომის ხელ ახალ შესაძლებლობის ფაქტმა დაბადა საჭიროება თავდაცვაზე ზრუნვისაც, საკუთარ ძალთა ორგანიზაციისა და მოკავშირეთა ძებნის სახით. იტალიამ კიდეც გვაჩვენა, რომ ძლიერსა და მომზადებულს შეუძლია არა მხოლოდ ანგარიში არ გაუწიოს ლიგას, არამედ მისი მუქარაც უყურადღებოდ დასტოვოს. ამან კი ყველას თვალები აუხილა და დაანახვა, რომ ომი არამც თუ მხოლოდ აფრიკაში, ევროპაშიაც შესაძლებელი ყოფილა. ბეჭდვით ორგანოებმა და მწერლობამ იცვალა ტონი, ერებმა იწყეს მოსალოდნელ ომებისათვის ხელსაყრელ პირობათა მომზადება. გამოირკვა, რომ პაციფიზმის აგიტატორებად გამარჯვებული ერები ყოფილან, რომლებმაც, ომის მოგებით, მიახწიეს თავის მიზნებს, დიდი დავლაც შეიძინეს და ახლა ყვირიან: „ძირს ომი, გაუმარჯოს მუდმივ მშვიდობიანობას“.

დღეს დამარცხებულნი სრულიადაც არ ფიქრობენ დადებულ ბორკილების ტარებას და მის დამამსხვრევ საშუალებას ეძებენ. არც გამარჯვებულთა ჯგუფშია ყველა კმაყოფილი. იაპონია და იტალია მათ შორის პირველნი არიან. მათ არ მიუღიათ საკმარისი და საჭიროებებთან შეფარდებული დაკმაყოფილება; სცდილობენ კიდეც იარაღით ხელში თვითონ მოიპოვონ ის, რაც მათთვის სხვამ დაიშურა. პაციფისტები ამბობენ, რომ თვით ომისთვის მზადება, მუდმივი მშვიდობიანობის უარყოფაა და კონფლიქტთა იარაღით გადაჭრის ფსიქოლოგიას აბრუნებსო. იქნებ ეს ასეც არის, მაგრამ უძლურნი არიან ისინი გვაჩვენონ საამისოდ სხვა რაიმე თილისმა და ამის გამო მთელი მათი ლაპარაკი დემაგოგიის ღირსებისაა.

ცხოვრება ყოველი ადამიანისა და ყოველი ხალხისა, თვით-არსებობის ბრძოლას წარმოადგენს; ამის გამოც ვერც მოვსპობთ მას, ვიდრე არსებობს კაცობრიობა და ვერც მოისპობა მილიტარული მეთოდი ბრძოლისა ე. ი. ომი.

მრავალი საკითხია ხალხების ცხოვრებაში, რომელთ გადაჭრა მხოლოდ ძალას შეუძლია. თუნდ ივივე იაპონია და იტალეთი; დიდი

ხანია ორივეს მიწის სინაკლულე ახრჩობს; როგორ ეშველოს ამ საკითხს? ვერავითარი ლიგა მიწას მათ ვერ მისცემს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძალდაუტანებლად ასეთს არავინ იძლევა. ასეთ პირობებში ერთი გამოსავალია: საკუთარი ბედის სასწორზე დადება და ბრძოლა იარაღით ხელში, საკუთარი პასუხისმგებლობით. იტყვის ზოგიერთი: „ერთა ლიგა ხომ ამ საკითხში ახლა ხმა-შეწყობით მოქმედებს და რადიკალურ ზომებსაც იღებსო"; ასეთ გულუბრყვილო ადამიანს უნდა ვუთხრათ, რომ ამ საკითხში ერთა ლიგა კი არა, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს ძლიერება მოქმედებს, ისიც საკუთარი მიზნებისა და ინტერესებისათვის. განა ჩვენ ერს კი არ ჰქონდა უფლება ლიგის მხრივ დახმარება და თანაგრძნობა გამოეწვია; განა ჩვენ, ან სიძველისა და ან კულტურისა და ქრისტიანობისადმი დამსახურებით ჩამოუვარდებოდით ვისმეს? ამოიღო კი ვინმემ ხმა ან გვიშველა?

უნდა დავასკვნათ ამნაირად, რომ **ბრძოლები ერთა შორის არ გათავებულა და ომიც მუდამ მოსალოდნელია. სუსტი, ძლიერი მეზობლისაგან, მუდამ საფრთხის მოლოდინში უნდა იყოს;** ნეიტრალიტეტის აღიარებასა და დიპლომატიურ მოქმედებას, თუ ზურგში არ ეყოლა საგრძნობი ძალა, თავდასხმის შემთხვევაში, ვერაფრათ ვერ გამოადგება სახელმწიფოს. **ამ შემთხვევაში აღარ ხელმძღვანელობენ არც სიმართლით, არც სინიდისით — ძალა სჭრის საკითხს.**

დიდი ომის დროს მაგალითად, გერმანელებს არ მორიდებიათ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა, თუმცა ამის პირობა სხვებთან ერთად დადებული მათაც ჰქონდათ.**მივდივართ ამნაირად დასკვნამდე, რომ სახელმწიფოსათვის თავდაცვა აუცილებელია და მისი ჩატარება კი, მხოლოდ ძლიერ შეიარაღებულ ძალას შეუძლია.**

ბ. თავდაცვის განვითარება.

ქონების თავდაცვის საჭიროება ადამიანს თან აჰყვა პირველი ნაბიჯებიდანვე. დასაწყისში ივი თვითონვე სდარაჯობდა საკუთარ ავლადიდებას. ოჯახის, გვარეულობის და სახელმწიფოს შექმნისას ეს მოვალეობა გადადის მოსახლეობის მთელ მამაკაცურ ნაწილზე; ჩვენში ვეძახით ამას: „ქუდზე კაცი", სხვაგან: „ერთი ყველასათვის — ყველა ერთისათვის". იმ-დროინდელი ბრძოლის პრიმიტიული იარაღები არა თხოულობდენ მებრძოლთა გაწრთვნას. ჰასაკში მოსული მამაკაცი იარაღს ხმარობდა ისევე, როგორც ბარს ან წალდს და ყველაც თანაბრად მონაწილეობდა ომში. ამის მზგავს პირობებს დღესაც ვხედავთ აფრიკის ველურ ხალხებში. იარაღის გაუმჯობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებამ და ბრძოლის საშუალებათა გამრავლებამ დაჰბადა მებრძოლთა ორგანიზაციისა და წრთვნის საჭიროება. გჩნდა ამ გზით ჯარი. ჯერ ე. წ. **მოხალისეთა**. ამ სისტემას დიდი ნაკლი ჰქონდა. სახელმწიფომ არასდროს არ იცოდა მის დაძახილზე რამდენი ჯარი შეიკრიბებოდა; ყველაფერი დამოკიდებული იყო ერის შინაგანი ცხოვრებისა, მცხოვრებთ ოჯახური პირობებისა და გუნებიდანაც. შეიქმნა ბოლოს **მუდმივი ჯარი**, გამოჩენილ სამხედრო გენიოსებისა და სახელმწიფოს მმართველთა მიერ. პირველად ასეთი ჯარი დაქირავებული იყო უცხოელთა შორის. ამათ ჯარისკაცობა ხელობად ჰქონდათ გადაქცეული. ჩვენში გვახსოვს რომ ამნაირი ჯარიდან, დავით აღმაშენებელმა, 40.000 შეიარაღებული კაცი შესძინა საქართველოს.

შორი დროიდანვე ცნობილია ომის საჭიროებისათვის ცხოველების გამოყენება: ცხენების, სპილოების, აქლემების და სხვათა სახით. მსროლელ იარაღის გამოგონებამ და გაუმჯობესებამ წარმოშვა ჯართა სხვა და სხვა დარგები. რაც შეეხება ცხენოსან ჯარს, ის თავიდანვე დღევანდელი ფორმით არ წარმომდგარა. ცხენებს ჯერ მხოლოდ მოძრაობისათვის იყენებდენ და ბრძოლისათვის კი ქვეითდებოდენ; მუდმივი ჯარი შემდეგში სდგება დაქირავებულ საკუთარ მოქალაქეთაგანაც; უფრო გვიან შემოიღეს სავალდებულო სამსახურ. ბეგარა; ახლა მოქალაქეები მსახურობენ ჯარში სამშობლოსადმი მოვალეობის ძალით. მთელი ერის ძლიერებას წარმოადგენდა მხოლოდ მუდმივი ჯარი, რომელიც არსებობდა განსაზღვრულ რიცხვის მიხედვით და მუდამ მზად იყო ლაშქრობისათვის; სჭირდებოდა მხოლოდ ცოტაოდენი ურმები. მობილიზაცია და ჯარის შევსება არ იყო მიღებული იმ დროს. მთელი დანარჩენი ერის მოსახლეობა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ომში და განაგრძობდა ჩვეულებრივ ცხოვრებას. ომები ამ ხანებში ძლიერ ხშირად ერთი შეხლით სწყდებოდენ; არც შევსებისა და არც ახალი ნაწილების წამოყენების საშუალება არ იყო. ჯარის შექმნის ამნაირ სისტემამ მოაღწია ნაპოლეონის დრომდე. ნაპოლეონის ეპოქამ გამოიწვია მრავალ რიცხოვან ჯარების საჭიროება, რომელთა შენახვა, ზავის დროს, მეტისმეტად ძვირად უჯდებოდა ქვეყნებს. ამ ნაკლმა აიძულა კაცის გონება ჯარის ორგანიზაციის უკეთესი სახეები გამოეგონებინა. ეს მეთოდი გახლდათ **კადრთა სისტემა**. ეს სისტემა საშუალებას იძლევა საჭირო ჟამს. მობილიზაციის წყალობით, ჯარის რიცხვის საჭირო დონემდე აყვანისა. გაჩნდა ის მე19 საუკუნის დასაწყისში და მოაღწია სხვა და სხვა სახით დიდ ომამდე. მის გვერდით აქა-იქ ჩარჩა მილიციური სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტემაც. ამნაირად, ომის წინ სახელმწიფოთა თავდაცვა დაეყრდნო კადრების სისტემით მოწყობილ შეიარაღებულ ძალებზე, ამ სისტემითაც მიიღეს მათ ომი*).

8. 1914 წელი.

ომის დასაწყისშივე გამოირკვა, რომ **ერთა მიერ მიღებული თავდაცვის ფუძეები,** სრულიადაც არ შეესაბამებიან წამოჭრილ მოთხოვნილებებს. ძალთა დაჭიმვის ჯირითში პირველ დღეებშივე საჭირო შეიქმნა ახალი ერთეულების შექმნა; ისეთების, რომელთათვის არც კადრის და არც მასალათა არავითარი თადარიგი არ დამზადებულა. მასალათა და მსხვერპლის მუდმივ შევსების საჭიროებამ ნათელი ჰყო რომ **ფუძეები და სისტემა, რომელზედაც ეყრდნობოდა აქამდე თავდაცვის საქმე, ცხოვრებამ ულმობელად დაამარცხა.** გამოირკვა, რომ ცოტაა დამზადებული იარაღი, ცოტაა საბრძოლო მასალა, ტანსაცმელი, მოკაზმულობა და საერთოდ ყველაფერი, რაც ახლად შედგენილ ერთეულებს ესაჭიროებოდათ; ომის წინა-დროინდელი უფანტასტიურესი ვარაუდები წვეთი აღმოჩნდა ზღვაში. **იარაღი და სასროლი მასალა ვამოილია ომის პირველ თვეებშივე.**

ახლად გამოგონილ იარაღებმა, საომარ მანქანებმა, სხვა და სხვა ტეხნიკურ დამხმარ მასალებმა და ახლად შემოღებულ ბრძოლის მეთოდებმა — მიწასა, ჰაერში და ზღვაში, მოითხოვეს მთელი რიგი ისეთი მასალები, რომლებიც ომის წინ სრულებით არ კეთდებოდენ. საჭირო გახდა სპეციალური ქარხნების, სახელოსნოების დაარსება და ახალი სახელოსნო იარაღის შექმნა. ძველი ქარხნები დახარჯულ მასალის შევსებასაც ვერ ასდიოდენ; საჭირო გახდა კერძო ქარხნების და სახელოსნოების, სამხედრო სახის წარმოებაზე გადაყვანა; ამან დაბადა გადაჭარბებული საჭიროება სპეციალისტებისა: ინჟენრების, ტეხნიკოსების და სათანადო მოხელე-მუშებისა. ამ ახალი ორგანიზაციის განვითარებამ თანდათანობით მიიზიდა ხალხის ყველა ფენები, არც ერთი შრომის პროფესია მის გარედ არ დარჩენილა და თვით სახელმწიფოც თავდაცვისათვის აამუშავა; ახლა მთელი ერის მეურნეობა ჯარისათვის ენერგიის წყაროდ გარდაიქცა.

ჯარის გამრავლებისა და მრეწველობის განვითარების გარდა, საჭირო გახდა მრავალ სამხედრო სახის ზურგის დაწესებულებათა

---

*) იარაღისა და ტექნიკურ საშუალებათა განვითარებაზე ლაპარაკი გვექნება ცალკე. (ავტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამუშავება. შეიქმნა უამრავი რიცხვი მრავალფეროვან კომიტეტებისა, საზოგადოებებისა და დამხმარე ორგანიზაციებისა.

წარმოუდგენელ ზომამდე გაზრდილმა ჯარმა და ახლად დაარსებულ დაწესებულებებმა მოითხოვეს მთელი რიგი **დამხმარე პერსონალისა.** საჭირო გახდა საავადმყოფოების გამრავლება; ომის წინ არსებულ საავადმყოფოთა რიცხვი ომში დაჭრილ და ავადმყოფთა ერთ მეათედსაც ვერ იტევდა. მოიწვიეს კერძო ექიმები, ფერშლები, მოწყალების დები; მათი რიცხვიც საკმარისი არ გამოდგა, — გაიხსნა საამისო კურსები: ექიმების, ფერშლების, ფარმაცევტების და სხვა. ამ გარემოებამ მიიზიდა დიდი ნაწილი ქალებისაც; ძველი რამოდენიმე კილომეტრიანი ფრონტის ზურგის სიღრმე, მთელ სახელმწიფოს სივრცეზე გავრცელდა; მთელი მისი მოსახლეობა ომის ქარცეცხლში მოაქცია. ზემომოყვანილ განხილვიდან გამომდინარეობს დასკვნა: — **ომმა ჩაითრია თავის მორევში მთელი ერის მოსახლეობა ქალ-ბავშებიანად. კაცობრიობის ცხოვრებაში პირველად ომის სიმძიმე და თავდაცვის საქმე დააწვა მთელ ხალხს.**

დ. რამ წარმოშვა ომის დროს მეურნეობის მობილიზაცია?

თავდაცვისა და ომის ძველის წესებით წარმოებისას, სრულებით საჭირო არ იყო მეურნეობის მობილიზაცია. კმაროდა საჭირო ოდენობის მასალის თადარიგის დაგროვება და ცოცხალ ძალთა მობილიზაციის გეგმა. დიდი ომის წინა ომებმა, როგორც რუსეთ-იაპონიისა და ბალკანეთისამ, საამისო გამოცდილება ვერ მოიტანა. მებრძოლთა რიცხვი იქ არ გადასცდა 300.000 ხიშტს. ფაქტია, რომ არამც თუ არც ერთ სახელმწიფოს, არამედ არც რომელიმე ნიჭიერ სამხედრო სპეციალისტს არ წარმოუდგენია ომის წინ ის, რაც მოხდა და რა საჭიროებებიც დაიბადა ომის პირველ თვეებში.

1914 წლის სექტემბრის ნახევარში, **მარნის** ბრძოლის შემდეგ, ორივე მხარე რომ შეჩერდა, გამოირკვა, რომ სახელმწიფოები, მატერიალურის მხრივ, ომისათვის სრულიადაც მომზადებულნი არ იყვენ. აღმოჩნდა, რომ ორივე მოპირდაპირის შეჩერება გამოწვეულია იარაღისა და სამხედრო მასალათა გამოლევით, რომ ომის მოძრავი სახით განგრძობა სავსებით გააქრობს ნარჩენებსაც და მხარეებმა იძულებით საკუთარი თავი მოდუნებულად სცნეს. ამ მოვლენაზე უნდა შევჩერდეთ.

საკითხავია: როგორ მოხდა, რომ ომის დაწყებიდან თვე ნახევარის ბოლომდე სამხედრო თადარიგი გამოილია? ომის წინ არა ერთი სამხედრო მწერალის წერილი წაგვიკითხავს. ყველანი თანხმობით ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებენ, რომ მომავალი ომი ევროპაში არ იქნება ხანგრძლივი, რომ მომავალი ომი სულ დიდი ოთხ თვეს გასტანსო. დასკვნებს ესენი ამყარებდენ შემდეგზე: ევროპის ჯარები მოწყობილია ერთნაირად; მობილიზაციის გეგმები ითვალისწინებენ ყველაფერს; სათადარიგო მასალა მომზადებულია; მიმოსვლათა მშვენიერი საშუალებები, რკინისგზები და სხვა იძლევიან ჯარის ჩქარი კონცენტრაციის დამთავრების გარანტიას; ყველაფერი ეს მიიყვანს დასაწყისშივე დიდი მასების შეხვედრამდე, მოხდება მებრძოლთა გადამწყვეტი შეხლა; ავტომატიური ტყვიამფრქვეველები, შორს-მსროლი ზარბაზნები და გაუმჯობესებული ტექნიკური საშუალებები კი, ამ მასაში მოახდენენ ისეთ განადგურებას, რომ ერთ-ერთი მხარეთაგანი, თუ სრულიად არ მოისპობა, იმდენად მაინც დასუსტდება, რომ წინააღმდეგობის განგრძობას ველარ შესძლებს და ომიც დამთავრდება აი, როგორ მსჯელობდენ ომის წინა-დროინდელი სამხედრო მწერლები. ხომ ცნობილია მაგალითად, რომ გერმანელებს აზრად ჰქონდათ ფრანგებთან ომის რამოდენიმე კვირაში დამთავრება, რომ შემდეგი შეტრიალებით რუსეთი დაემარცხებინათ და ომიც გაეთავებინათ. **„ყველა სახელმწიფოს თადარიგი ექვსი თვის ანგარიშს არ აღემატებოდა“**-ო, (ასე განაცხადა სასამართლოში რუსეთის სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა). ომის პირველმა დღეებმავე ომის მთელი წინა-დროინდელი ანგარიში გააბათილა; ის, რაც დაეგროვებინათ ექვსი თვისათვის, დაიხარჯა ორ თვეში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გაკვეთილის მიუხედავად, არც ერთ სახელმწიფოს, არც დღეს ძალუძს მშვიდობიანობის დროს დაიგროვოს მთელი ომისათვის საკმარი მასალები. ჯერ ერთი ომისათვის, რომ წინდაწინ ვერავინ გადასწყვეტს, თუ რამდენ ხანს გასტანს ომი და მეორეც იმიტომ რომ სამხედრო მასალის ზედმეტი დაგროვება სახიფათოა; მიზეზი იმაშია, რომ ტყვიაწამალი და ყუმბარები დაძველებასთან ქიმიურ ცვალებადობასაც განიცდის და ასეთებმა კი იციან თავისით აფეთქება. ყველამ მრავალი ვიცით მაგალითები სამხედრო მასალათა თვით-აფეთქებისა. გამოდის, რომ სამხედრო მასალის იმ ოდენობის თადარიგი უნდა გაიწიოს, რომ მისი განახლება ჩვეულებრივი დახარჯვის მეთოდით შეიძლებოდეს; წინაუკმოდ, ზედმეტი უნდა განადგურდეს. მასალათა და იარაღთა ზედმეტი თადარიგი უალაგოა სხვა მიზეზის გამოც: ტექნიკის ჩქარი განვითარების გამო; ის, რაც დღეს ბრძოლის საუკეთესო საშუალებად არის ცნობილი, ხვალ დაჰკარგავს მნიშვნელობას უკეთესის გამოგონების გამო. აი რატომ არის, რომ გადაჭარბებული თადარიგიანობაც არ ვარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუბრუნდებით რა დიდი ომის გამოცდილებებს მასალათა ჩქარი გამოლევის შესახებ, უნდა ვსთქვათ, რომ ეს საკითხი გამოაშკარავდა ომის პირველი პერიოდის დამთავრებისას. და ეს ერთნაირად დაემართათ, როგორც ფრანგებს, ისე ინგლისელებს, გერმანელებს და რუსებსაც; და ეს როგორც სასროლ მასალის ისე საერთოდ სამხედრო მასალის მხრივ; სხვა და სხვა ნაკლულოვანება იგრძნეს არა მხოლოდ ფრონტზე მყოფმა ერთეულებმა; არამედ მისთვის მომუშავე ზურგმაც.

ჯარის რიცხვის აწევა მივიდა ისეთ გიგანტურ ზომამდე, რომ ეს უკვე აღარ იყო ჩვეულებრივი კადრების გაშლა, არამედ სრულიად ახალი, რამოდენიმე მილიონიანი, ჯარის შექმნა. რამოდენა მასალა დასჭირდა ამ ახალ მოწყობილობას, წარმოვიდგინოთ თუნდაც იმით, რომ რუსეთს, მშვიდობიანობის დროს, ჰყავდა 800. — 900.000 ჯ.-კაცი; ომის დროს უნდა გაშლილიყო ეს 3—4 მილიონათ; სინამდვილეში კი რუსეთმა თოფ-ქვეშ დააყენა ომის განმავლობაში 18 მილიონი ჯარისკაცი. მზგავს პირობებშივე, მასალათა სიცოტავის გამო, ჩაცვივდენ ყველა სხვა მებრძოლის სახელმწიფოებიც. კრიზისი ომის პირველ დღეებშივე დაიბადა. მდგომარეობა გამოუვალს ჰგავდა და მხოლოდ ახლა შეიგნეს, რომ **თანამედროვე ომები შეუძლებელია წარმოებულ იქმნას ძველი წესით გაწეულ ანგარიშითა და მომზადებით.** ნათელი გახდა, რომ ჯარს ესაჭიროება **მთელი ეროვნული მეურნეობის და სახელმწიფო აპარატის წახმარება;** ე. ი. საჭიროა ომის დროის წარმოების საქმეში ჩათრეულ იქმნას ერის მეურნეობა და შრომის ყოველი მხარე. ამნაირად აუცილებელი გახდა: **„სახელმწიფოს მეურნეობის მობილიზაცია“.** ოღონდ რაკი ომის წინვე საამისოდ არავითარი ზომები მიღებული არ იყო, მეურნეობის მობილიზაცია არც ისე ადვილი გამოდგა. საფრანგეთმა ამ მხრივ სიძნელეების გადალახვას ორი წელიწადი მოანდომა. მხოლოდ ამ ხნის შემდეგ ჯარები აღარაფრის ნაკლს არ განიცდიდენ.

მზგავსივე მდგომარეობა იყო სხვა მოკავშირეებთანაც. სიძნელეების უჩქარესი დაძლევა მოახერხეს იმ ერებმა, რომელთ მრეწველობა თავიდანვე მაღალ საფეხურზე იდგა, მაგ. გერმანეთმა. უარეს პირობებში ჩავარდა რუსეთი. მოკავშირეებს საკუთარი თავის გარდა ზურგზე დააწვათ მისი მომარაგებაც.

შეიძლება ჩვენი ემიგრანტობიდან, საქმის უცოდინარობის გამო, ვინმემ გაიკვირვოს, რომ ამ საკითხს საფრანგეთმა ორი წელიწადი მოანდომა! ეს გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ მშვიდობიანობის დროს სამხედრო მასალა (იარაღი, ტყვია-წამალი, ტანსაცმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა) მზადდებოდა სპეციალურ ქარხნებში. საერო ცხოვრება ამ ნივთებს არა თხოულობს და ამიტომ საამისო წარმოება კერძო ქარხნებში არ არსებობდა. არ იყო იქ არც მოწყობილობა, არც სათანადო ინჟენრები და ტეხნიკოსები. საჭირო გახდა ყველა ამათი შეძენა, ხშირად ქარხნების სრული გადაკეთება ან ახლად აშენება. ინგლისში ამ გზით მუშების მთელი ქალაქები გაჩნდა, და აი სწორედ მთელ ამ მუშაობასაც დასჭირდა ორი წელი.

რუსეთმა ომის ბოლომდე ვერ მოახერხა ამ მხრივ სიძნელეების დაძლევა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: **სამეურნეო მობილიზაციას სჭირია სახელმწიფო აპარატისა და შრომის ყველა დარგების მშვიდობიანობისასვე სათანადო მომზადება.**

2. სახელმწიფოს თავდაცვის ახალი პრინციპები.

უკანასკნელმა ომმა გამოიწვია უარყოფა სახელმწიფოს თავდაცვათა ძველი წესებისა. თავდაცვისათვის მომზადების ძველი გეგმა გამოუსადეგარი შეიქმნა. აშკარა გახდა, რომ მარტო ცოცხალ ძალთა კადრული სისტემის ყოლა არ კმარებულა; ეს ჯ.-კ. რიცხვს მხოლოდ 2—3-ჯერ ამრავლებს. ომი დიდხანს გრძელდება ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამო. ზარალი იმდენად გადიდდა, რომ ხშირად საჭირო ხდებოდა განადგურებულ დივიზიების ხელახლა შედგენა და ამავე დროს სრულებით ახალი ჯარის შექმნა. ჯართა რიცხვი აღწევს წარმოუდგენელ რიცხვებს. მასალათა ვარაუდის სულ გადაჭარბებული გეგმები წვეთი აღმოჩნდა ზღვაში. ომის საკითხში ჩაება მთელი ხალხი ქალებიანად, შრომისა და წარმოების ყველა დარგებით. გაჩნდა პრინციპი **„მთელი ხალხი თოფ ქვეშ“, „ყველანი და ყველაფერი ომისათვის“.** ვისაც ომის დროს თავის გადარჩენა უნდა მშვიდობიანობისასვე უნდა მოაწყოს **ხალხიც და მეურნეობაც,** და ყველა ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ცოცხალ ძალისა, მატერიალურ სიმდიდრის და ხალხის ენერგიის, მთლიანად ომისა და გამარჯვების საქმისათვის მოხმარება.

3. სახელმწიფოს თავდაცვის გეგმა

რომ თავდაცვის ახალი ლოზუნგი: **„მთელი ხალხი თოფ ქვეშ“** მობილიზაციის დროს სისრულეში იქნეს მოყვანილი, საჭიროა მშვიდობიანობის დროსვე შესაფერი ზომების მიღება.

ამისათვის კი, როგორც ძველად ამზადებდენ მხოლოდ ჯარის საომრად გადაყვანას, ისე დღეს საჭიროა მომზადება, იმავე საომრად გადასაყვანად, მთელი სახელმწიფოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველად მუშავდებოდა შეიარაღებულ ძალთა მობილიზაციის გეგმა და ზოგიერთი ზომები, დღეს კი საჭიროა მუშავდებოდეს სახელმწიფოს მობილიზაციის გეგმა და ბევრი სხვა ზომები.

მობილიზაციის გეგმა შეიცავს ყველა იმ ზომებს, რომელთ საშუალებით სახელმწიფოს მშვიდობიანი ცხოვრება, რაც შეიძლება ჩქარა, შეუფარდდება სამხედრო მოთხოვნილებებს.

მობილიზაციის ნაყოფიერებისათვის არა კმარა დაიწეროს გეგმები; საჭიროა ამისათვის თვით ხალხის სათანადო მომზადება მომავალ გარდამწყვეტ მომენტისათვის და მთელი მისი ქონების ისეთი აღრიცხვა და მოწყობა, რომ, მობილიზაციის პირველ დღიდანვე, ჯარის ყველა მოთხოვნილება დაუყონებლივ დაკმაყოფილებულ იქმნას.

ამ მომზადებისათვის მთავრობას უფლება ეძლევა აღრიცხვაზე იყოლიოს არა მარტო ჯარში გასაწვევი ჯარის კაცები, არამედ მთელი მცხოვრებლები და მათი მატერიალური შესაძლებლობა.

III. ვინ ამზადებს სახელმწიფოს თავდაცვის გეგმას

ყოველ სახელმწიფოში თავდაცვის საქმის განსაგებელად არსებობს კოლეგიალური ორგანო. სხვა და სხვა ალაგას ეს ორგანო, სხვა და სხვა სახელს ატარებს. ჩვენ ვუწოდებთ მას „ეროვნული თავდაცვის საბჭოს". თუმცა ეს ორგანო მხოლოდ ბჭობითი ორგანოა, მაგრამ უკვე მისი შემადგენლობა გვიჩვენებს მის მნიშვნელობას. თავდაცვის საბჭოს თავჯდომარეობს სახელმწიფოს მეთაური, მის თანაშემწედ და საქმის ფაქტიურ გამგედ არის **მომავალი მთავარსარდალი**, ამას ზოგგან, მშვიდობიანობის დროს, ეწოდება ღენერალური ინსპეკტორი. საბჭოში შედიან შემდეგ სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები, მთავარი შტაბის უფროსი და მაღალი თანამდებობის ამა თუ იმ სპეციალობის სამხედრო პირები. სხვა მინისტრების მონაწილეობა სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვადასხვანაირია. ყოველ შემთხვევაში მათ ყოველთვის იწვევენ ბჭობაზე, როდესაც საკითხი მათ სამინისტროებს ეხება. თავდაცვის ყველა სამხედრო სახის პროექტის ინიციატორად სამხედრო სამინისტროა. იქ ღენ. ინსპექტორის ხელმძღვანელობით, მთავარ შტაბის უფროსის უშუალო მუშაობით სდგება ყველა პროექტები და გეგმები, რომლებიც შემდეგ იგზავნებიან განსახილველად თავდაცვის საბჭოში; აქ საბოლოოდ მიღების შემდეგ ეძლევა ის მთავრობას დასამტკიცებლად. ამნაირად უკვე დამტკიცებული თავდაცვის გეგმა ნაწილ-ნაწილად ეძლევა დაინტერესებულ სამინისტროებს, რომლებიც თავის მხრივ ვალდებულნი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი ზომა იხმარონ და შესაფერი მუშაობა გასწიონ, რომ გეგმა მობილიზაციის ხანაში აღსასრულები გახადონ. თავდაცვის საბჭოს აქვს უფლება ამ მომზადებას თვალყური ადევნოს.

ზ. სახელმწიფოს თანამედროვე მომზადება ომისათვის.

სახელმწიფოს მმართველები ცხადია ძველადაც ფიქრობდენ და სცდილობდენ მომავალ ომისათვის მზადებაზე, ოღონდ მაშინ ეს საქმე არ შეადგენდა ერის ცხოვრების უმთავრეს საკითხს. ყველამ იცოდა და ყველას აკმაყოფილებდა ის ფაქტი, რომ ამ საკითხს პატრონობს სამხედრო სამინისტრო და რომ ის ამ დარგის ვითარებაზე პასუხს აგებს. ასეთ პირობებში, სამხედრო საქმისათვის მუშაობაში, არამც თუ მშვიდობიანობის დროს, არამედ ომის დროსაც კი ერის მეტად მცირე ნაწილი იყო ჩაბმული. არც ომისთვის მომზადებას და არც მის წარმოებას იმ დროს არა სჭირდებოდა არც დიდი ცოცხალი ძალა და არც დიდი საომარი მასალა. სამხედრო საკითხი არავითარ ურთიერთობაში არ იყო მაშინ ერის ცხოვრების დანარჩენ გამოხატულებასთან. ჯარი სრულებით მოწყვეტილი იყო ხალხს; შეღლიც კი არსებობდა მხედრობასა და სახელმწიფოს დანარჩენ მცხოვრებთ შორის. მხედრებს უყურებდენ, როგორც დაქირავებულ დარაჯებს საზღვრებისა. სახელმწიფო ანვითარებდა თავის მრეწველობას, ვაჭრობას, სწავლა-განათლებას; აუმჯობესებდა მოსახლეთა ყოფა-ცხოვრებას და ყველა ამას არავითარი კავშირი არ ჰქონია სამხედრო საქმესთან. ერთი სიტყვით, ეს მაშინდელი ვითარება შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ: ერთის მხრივ იყო სამხედრო დარგი, მეორეს მხრივ ერის ცხოვრების ყველა სხვა გამოხატულება; ამ ორ მოვლენათა შორის არც საერთო გზა და არც რაიმე საერთო არა ყოფილარა. დღეს ამ ურთიერთობაში გადატრიალება მოხდა; სამხედრო დარგი ყველა სხვა საკითხების თავზე წამოტივტივდა და დააწვა ყველა მოქალაქეთა ზურგს. დღეს ჯარი ნაქირავები ზედნადები კი არა, იგივე შეიარაღებული ერია; ჯარს პატივს სცემენ და უყვართ. სამხედრო დარგი ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მთელ ყოფა-ცხოვრებაზე, მრეწველობაზე, სწავლა-განათლებაზე, კერძო ცხოვრებაზე და სახელმწიფოს და პირად ქონებაზე. დღეს ყველა ეს სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს ემსახურება. სახელმწიფოს სტრუქტურამ განიცადა რეორგანიზაცია; დღეს ყველაფერი სამხედრო დარგის საჭიროებას შეუფარდდა, ყველაფერი და ყველანი, ქალების გამოუკლებლივ, სახელმწიფოს თავდაცვას ემსახურებიან; ერის ქონება ეწყობა ისე, რომ ომისათვის გამოსაყენებელი შეიქმნეს. ქვევით ვნახავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სამხედრო საქმე შეიჭრა სკოლაშიაც, საერთო ლიტერატურაშიც და ბავშთა ზრდის საქმეშიც. ხალხს დაედო მრავალი ახალი ვალდებულებანი; კერძო ცხოვრება საამისო ჩარჩოებში მოთავსდა; ქალსა და ბავშებსაც (14 წლიადან) გამოენახათ შესაფერი სამხედრო ვალდებულებანი; უფრო უმცროსი კი ოჯახშივე გადიან სათანადო სამხედრო მზადებას. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მოხდა მთლიანი მილიტარიზაცია სახელმწიფო აპარატისა, ხალხისა და მისი ცხოვრების ყოველი დარგის, როგორც ფიზიკურის, ისე აზროვნულ-ფსიქიურის მხრივ.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ „სახელმწიფოს თავდაცვის გეგმა" შეიცავს „შეიარაღებულ ძალთა მობილიზაციის" და „სამეურნეო მობილიზაციის გეგმებს" და ამათთან დაკავშირებულ სხვა მრავალ საჭირო ზომებს. პირველ მობილიზაციას ამზადებს სამხედრო სამინისტრო; მეორეს და დამატებით ზომებს სახელმწიფო აპარატი. ცოცხალ ძალთა მობილიზაციის მომზადების საკითხს განვიხილავთ ქვევით და მას გადავაბამთ ჯარის ორგანიზაციისა და ყველა იმის აწერას, რაც გადაბმულია ჯარზე; ახლა კი შევეხოთ სამეურნეო მზადებას. ეს მზადება დაკავშირებულია სახელმწიფოს თავდაცვის გეგმასთან, რომელიც თავის მხრივ შეიცავს აღნუსხვას და განხილვას ყველა იმისა, რაც დასახულ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია.

გეგმა წარმოადგენს თეორიას, თვით მომზადება კი მდგომარეობს იმაში, რომ ამ გეგმიანობას, სახელმწიფოს მშვიდობიან დროის ცხოვრება შეუფარდდეს ისე, რომ ხალხი, მისი ქონება და ერის მთელი შემძლეობა ომის დროს გამოყენებული იქმნეს. უკვე ვიცით, თუ რა ხდებოდა 1914 წელში, ვიცით რა სიძნელეები აღმოჩნდა მოულოდნელად წამოჭრილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის; ვიცით როგორ და რა მიზეზით შეიქმნა საჭირო სამეურნეო მობილიზაციის შემოღება და როგორ ჩაითრია ომმა მთელი ხალხი მისი საქმიანობით. ომის წინადროინდელი, ამ საკითხებისადმი მიდგომა. წამოჭრილ საჭიროებათა ამუშავებისათვის, შეუფერებელი აღმოჩნდა; საჭირო გახდა სახელმწიფოს თავდაცვის სხვანაირი გეგმა და ამასთან შეფარდებით თვით სახელმწიფოს ცხოვრების რეორგანიზაცია. რა ცვლილება უნდა მოხდეს? **1) სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია; 2) სამეურნეო მოქმედების გარდაქმნა; 3) სახელმწიფო და კერძო ქონების აღრიცხვა და მოწყობა; 4) ერის განვითარების საერთო ზომების შეთანხმება მომავალ მოთხვნილებებთან; 5) ხალხის მომზადება იმ მძიმე როლის ასატანად, რომელსაც აკისრებენ მას ახალი მოთხოვნილებანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომში მონაწილე სახელმწიფოებმა, ომის დროსვე ნელ-ნელა მოახდინეს სახელმწიფოს სრული შესაფერი რეორგანიზაცია; ომის შემდეგ კი შეეცადენ მიღებულ გამოცდილების შენარჩუნებას და სახელმწიფოს ცხოვრების ომის საჭიროებასთან კიდევ უფრო დაკავშირებას. საკითხის უფრო უკეთეს გამოსარკვევად მოვყვეთ თავიდან.

პირველი სამი მუხლი, რომლებიც ეხებიან სამეურნეო ნაწილს, განვიხილოთ ერთად. **სამეურნეო დახმარების საკითხი** სამხედრო საქმეში ახალია და მეტად რთულიც.

მოვიგონოთ მოკლედ, რა სჭირია სახელდობრ მასალათა მხრივ ჯარსა და მისთვის მომუშავე დაწესებულებებს? იარაღი, სამხედრო მანქანები, სათანადო სასროლო და ამფეთქი მასალები, ტანთსაცმელი, საცვალი, ლითონის მუზარადები, ჯ.-კაცთა მოკაზმულობა, საარტილერიო და საინჟენერო ქონება, შესაბმელი მოწყობილობა და უნაგირები, რადიო, ტელეგრაფ - ტელეფონის მოწყობილობა, საჭვრეტი და საზომი იარაღები, ჯარისა და ცხენების საკვები, მიმოსვლის სხვა და სხვა საშუალება, სასანიტარო მოწყობილობა და წამლები, ბენზინი და ნავთი, ცხენები და სხვა საქონელი და ბევრი კიდევ სხვა. უნებურად ისმება საკითხი, რამდენი დაგვჭირდება ყველა ამ მასალიდან? ეს საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ჯარი იქნება მომავალ ომში და რა ხასიათის ომი მოელის სახელმწიფოს — პოზიციური, მოძრავი, თუ კიდევ რამე სხვანაირი; ამის წინამეტყველობა კი გენიოსსაც არ შეუძლია. დღეს ანგარიშში უკანასკნელ ომის გამოცდილებას ემყარებიან, მომავალი ომი კი, ცხადია, ბევრ ახალს იტყვის, როგორც საჭირო მასალათა, ისე საბრძოლო იარაღის მხრივ. ვხედავთ, მაგალითად, როგორი გიგანტიური ნაბიჯებით მიდის წინ ფრენოსნობა, ჯავშნოსანი იარაღები, მოტორიზაცია, ზარბაზნების შორსმსროლელობა — ვის შეუძლია სთქვას, რას მოასწავებს ყველა ეს მომავლისათვის? შეგვიძლია კი, დარწმუნებული ვიყოთ, რომ უკვე ახლაც სხვა და სხვა სახელმწიფოებს არა აქვთ მომზადებული მასობრივ ვნების საშუალებები ქიმიურ და სხვა სრულყოფილ იარაღთა სახით, რომლებიც გათვალისწინებულია არა მხოლოდ მებრძოლ ჯართა საწინააღმდეგოდ, არამედ მთელ მოსახლეობის წინააღმდეგაც? ახლა ხომ ომს აწარმოებს მთელი ხალხი? ხალხი მონაწილეობს ჯართან ზურგის დაწესებულებებში, **ხალხი ის ენერგიაა, რომელიც ამოძრავებს ჩაქუჩს — ჯარს;** და განა მტერი შეებრძოლება მხოლოდ ჩაქუჩს, და არ ეცდება გაანადგუროს თვით წყარო, რომელიც მას ამოძრავებს? ამაში ეჭვი ჩვენ არავის გვეპარება, რომ ეს ასეც მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე სახელმწიფოს, ტექნიკურ და ქიმიურ მრეწველობის მხრივ განვითარებულს, არა აქვს იმედი მოპირდაპირესთან ომი მოიგოს ველზე შეხვედრით და ამის გამო ამაგრებს თავის საზღვრებს, აგროვებს იქ ჯერ არ-წასულ მოწყობილობას; ვსთქვათ, მომაკვდინებელ შუქ-მფრქვევ მანქანებს, რითაც აჩერებს მტრის ჯარს, და ამავე დროს შორს მსროლ ზარბაზნების, რაკეტების, აეროპლანების და კიდევ ვინ იცის რის დახმარებით, ახრჩობს მოსახლეობას ჰაეროგვარებითა, შხამებითა და ბაცილებით..... განა ასეთი მოქმედება მომავალ შეხვედრაში შეუძლებელია?

ზოგიერთები იფიქრებენ: ფანტაზიაო! აკრძალულია და კონფერენციები სდარაჯობენო! ამაზე ვუპასუხებთ, რომ ეს თავის ნაცარში მალვაა. დღეს ყველაფერს ღია თვალებით უნდა ვუყუროთ. ნება მოგვეცით კიდევ დავსძინოთ მტკიცედ, რომ დღეს ყველაფერი შესაძლებელია! უფრო უკეთ ვიტყვით: თუ კი რომელიმე სახელმწიფოს აქვს საშუალება გამარჯვებისა, თუნდაც არა-კეთილშობილი საშუალებებით, ვალდებულია ეს საშუალებები იხმაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დარჩება წესრიგში კეთილშობილებასთან, მაგრამ ერის ინტერესებს უღალატებს. ნუ განცვიფრდები მკითხველო, ნურც შეგვადარებ ბარბაროსებთან — ასეთია კანონი დღევანდელი ომის, ერის ყოფნა-არ-ყოფნისთვის; საშუალებათა არჩევას აზრი აღარ აქვს! ვინ არის მართლაც ე. წ. მშვიდობიანი მოსახლეობა? განა დღეს ასეთი მოსახლეობა არსებობს? ნაწილი ხალხისა სამხედრო ტანთსაცმელში გამოწყობილი იბრძვის; ნაწილი კი ზის ზურგში, უმზადებს ამ პირველთ იარაღს, ტყვია-წამალს, მანქანებს და მთელ სამხედრო მოწყობილობას. საკითხავია, რატომ უნდა ჩაითვალოს მტრად მხოლოდ ის, ვინც იარაღით ხელში წინ აგვემართა და განა ისინი, ვინც მათ იარაღს ხელში აწვდიან, და ვისი მეოხებით ჯარი იბრძვის, მტერი არ არის? **დღეს მთელი ხალხები ებრძვიან ერთმანეთს და არა მისი პატარა ნაწილები, ჯარად წოდებული და სამხედრო სამოსელში გამოწყობილი; ებრძვიან ერთმანეთს არა მხოლოდ იარაღით, არამედ ჭკუით, შრომით და მთელი ერის ენერგიითაც.** რა ხდებოდა უკანასკნელ ომში? გერმანეთმა იხმარა ჰაერგვარები, ლუპავდა სავაჭრო ხომალდებს და სხვა. და რა? მტერმაც იგივე ჰაერგვარი იხმარა ოღონდ თუ სავაჭრო ხომალდები არ დაღუპა, მხოლოდ იმისათვის, რომ ესეთები გერმანეთს ზღვაში არა ჰყავდა. რიღათი აგო გერმანეთმა ამაზე პასუხი? არაფრით! და აბა გაემარჯვა გერგანეთს სწორედ ამ საშუალებათა წყალობით, (როგორც დღეს ირკვევა აღარც ბევრი აკლდა ასეთ შედეგს; მოკავშირეები უკანასკნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სულით ფეთქავდენ)*) ისტორია შარავანდედით შემოსავდა გერმანეთს. თანახმანი ვართ, რომ ჩვენ საუკუნეში ომმა მწვავე და შეუბრალებელი ხასიათი მიიღო, მაგრამ ეს მისთვის კი არა, რომ ხალხმა კეთილშობილება დაჰკარგა, არამედ იმიტომ, რომ აქეთკენ სწევს მას თანამედროვე გამოგონებათა და მეცნიერების წინსვლა.

გაზეთებში ხშირად შეხვდებით შემდეგი შინაარსის, თითქოს უმნიშვნელო ცნობებს: **სამეურნეო** სახის მწარმოებელ (ვითომც) ამა და ამ ქარხანაში მოხდა აფეთქება (?). სხვა კიდევ, რომ აფეთქებას ადგილი ჰქონდა **ბენგალის ცეცხლის** ქარხანაში (?). რომ აფეთქდა საბავშო რევოლვერ „პუგაჩის" პატრონების ქარხანა. შემდეგ ვგებულობთ, რომ სადღაც ძველ საწყობში გამსკდარა ძველი ბოთლი და აქედან გამოსულ გაზს მოუწამლავს მოსახლეობა; აქვე დასამშვიდებლად დამატებულია, რომ ეს ბოთლი ომის დროიდან **შემთხვევით გადარჩენილა ამ საწყობში (?)** და სხვა და სხვა. ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: „ნეტარ არიან მორწმუნენი"! ჩვენ კი ცოტა სხვას ვფიქრობთ. ამას წინად წავიკითხეთ კიდევ ცნობა, რომ ლივერპულის სახელმწიფო ლაბორატორიიდან მოუპარავთ ერთი სითხით სავსე ბოთლი. აღმოჩნდა, რომ ეს სითხე უსაშინელესი შხამი ყოფილა, სულ უკანასკნელად ერთი ინგლისელი პროფესორის მიერ გამოგონილი; 5.000 სტერლინგის საჩუქარი აღუთქვეს მომპარავს, ნაქურდალის დაბრუნებისათვის. ცხადია ბოთლი არც დააბრუნეს და არც დააბრუნებენ, რადგან, სჩანს, მოიპარა შპიონმა, რომლებიც განსაკუთრებული ხალისით ნადირობენ ასეთ გამოგონებებზე.

არ ვებმებით წინასწარმეტყველებაში, ოღონდ ვადევნებთ რა თვალყურს ლიტერატურას, თუ რა ხდება ქვეყნიერებაზე, შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ მომავალი ომი არამც თუ იქნება ულმობელი, არამედ საშუალებათა შერჩევასაც არ მოერიდებიან, ყველაფერს გამოიყენებენ, რასაც კი ადამიანის გონება შეჰქმნის. დავუბრუნდეთ ახლა ისევ სახელმწიფოს ომისათვის მზადების საკითხს.

როგორც ვნახეთ, მომზადების ვარაუდის საკითხი ძლიერ რთულია, ოღონდ მომზადება, ასე თუ ისე, აუცილებელია. სახელმწიფო-

---

*) ამერიკის ომში შებმის წინ, ჩამოვიდა ლონდონში მათი მთავარი ადმირალი; ინგლისის ადმირალმა მას უთხრა: „თუ ჩვენ, ამ ორ თვეში ვერ შევაჩერეთ გერმანეთის წყალქვეშა ნავების მუშაობა, ჩვენ დავიღუპებით"-ო. რამ გადაარჩინა მოკავშირეები, ამას ავწერთ შემდეგში.

ები ახლა ადგანან იმ აზრს, რომ მზადება საჭიროა უკიდურესი ეგე-ბისობისათვის ე. ი. გაწეულ უნდა იქნას მომზადების მაქსიმუმი, შე-საძლებელ და, ვსთქვათ, შეუძლებელ პირობებისათვისაც. ამისთვის მომზადების საკითხში სახელმიწფო აპარატს აწვება მეტად ძნელი მოვალეობა; ამის გასაადვილებლად მას ეძლევა მთელ მოსახლეო-ბაზე ფართო უფლებები. დღეს მთავრობა იძულებულია აწარმოოს აღრიცხვა მთელი მოსახლეობისა ქალ-ბავშვებიანად და ქონებით.

ძველად ცოცხალ ძალთა აღრიცხვის მხრივ საკმარი იყო ჰასაკისა და ფიზიკური ვ[illegible]ვისობის სახეში მიღება და ესეც მხოლოდ ახალ-წვეულთა მიმართ; დღეს სახელმწიფო თვალყურს ადევნებს ყველას, სქესისა და ხნოვანების განურჩევლად; სახეში ღებულობს, ვინ რას აკეთებს, რა ხელობა აქვს, რა მრეწველობას, სახელოსნოს, სტამბას, წისქვილს და სხვას ამუშავებს; სახლში მუშაობს ის, თუ სახელოს-ნოში; აქვს თუ არა რაიმე საწარმოო იარაღი და მანქანები; ყველა-ფერი სახეშია მიღებული და ეს ისე მამაკაცის, როგორც ქალის მი-მართ. ინუსხება მათი პროფესია, მიუხედავად იმისა, ფიზიკურია ის, თუ გონებრივი; სწერენ ცხოველებს, გადაზიდვ-გადმოზიდვის და მი-მოსვლის საშუალებებს; ველოსიპედებსაც კი; იწერება ყველა სახის **საწყობები** და მარაგი სასმელ-საჭმელის, ხეტყის, ნახშირის, მინერა-ლური ნივთეულობის და სხვა.

ამ ზომის ცნობათა სტატისტიკის შესაგროვებლად საჭიროა სა-თანადო აპარატი. სამინისტროების ნორმალური დაწესებულებანი უძლურნი არიან მთელი ეს მუშაობა ჩაატარონ; ამისათვის ახლა გა-მოყოფილი არიან ყველა სამინისტროში ცალკე დაწესებულებანი, რომელთაც უნდა, თავიანთ სამინისტროს ფარგლებში, მოამზადონ ყველაფერი ის, რაც მომავალ ომს დასჭირდება. ესეთი დაწესებულე-ბანი მხოლოდ ცენტრებში კი არ არიან, არამედ გაფანტულია სახელ-მწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ამ დაწესებულებებში მსახურებენ სა-მხედრო დარგის სპეციალისტები, ბევრ სახელმწიფოებში ღენერა-ლური შტაბის ოფიცრებიც კი. ასეთი, სამხედრო სახის ორგანოები, არსებობენ არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საერო სამოქალაქო დაწესებულებებშიაც. ახლანდელ დროში იშვიათი არაა მოვლენა, რომ მმართველობაში შეჰყავთ მინისტრებად სამხედრო პირები; ცხა-დია, ასეთი პირები ჯარიდან დათხოვნილი არიან და, უმაღლეს სა-მხედრო განათლების გარდა, აქვთ სათანადო საერო ცენზიც. საერ-თოდ საგრძნობი მილიტარიზაციაა მოხდენილი ყველგან, არა მარტო მაღალ საფეხურებზე, არამედ საერთოდ სახელმწიფოს მოხელეთა წრეშიც. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, რომ პოლიციაშიაც, მაღალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხურებზე მსახურებენ ოფიცრები, და მთელ პოლიციის უფროსად, თითქმის ყველა ქვეყნებში, მაღალი ხარისხის სამხედრო პირები არიან. ამნაირად მოწყობილი ორგანოების საშუალებით ამზადებენ სამინისტროები სახელმწიფოს ძალა-ქონებას მომავალი ომისათვის.

ამნაირად, სახელმწიფოს აღრიცხვაზე ჰყავს ერის მთელი ქონება და ყოველ წუთს მისთვის ცნობილია, რა აქვს სახლში და სად იმყოფება ეს ქონება, ან სად არიან საჭირო სპეციალისტები. ცნობების მოგროვებით და აღნუსხვით არა სრულდება საქმის ამოწურვა. თუ მკითხველი მოიგონებს ომისათვის ზემო-ჩამოთვლილ მოწყობილობას და მასალას, ადვილად მიხვდება, რომ ამათთაგან მრავალი, მოსახლეობის ხმარებაში არ მოიპოვება; მეორეს მხრივ ვიცით ისიც, რომ უაზროა და შეუძლებელი ამ სახის მასალის, მთელი ომისათვის, საჭირო ოდენობით წინასწარ დამზადება (მიზეზი აღვნიშნეთ ზევით). აი აქ არის სამეურნეო მომზადების დარგში, ყველაზე დიდი სიძნელე. საჭირო ხდება სამხედრო და საერო მრეწველობის მუშაობის ისე მოწყობა, რომ **სამხედრომ** ომის დროს თავისი წარმოება უმაღლეს წერტილამდე აიყვანოს, **საერომ კი** შესძლოს სამხედრო მრეწველობაზე გადასვლა. ამისათვის საჭიროა სათანადო ზომების მიღება. სამხედრო მრეწველობას უმზადებენ მშვიდობიანობისასვე საამისოდ საჭირო მანქანებს; ყოველ კერძო ქარხანას და სახელოსნოს კი, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, ატყობინებენ, თუ რის დამუშავებაზე გადავლენ მობილიზაციის პირველ დღიდანვე, რომ ამით საშუალება მიეცეთ მათ მოემზადონ სამხედრო ხასიათის დავალებების შესასრულებლად.

თუ კი რომელიმე მოქალაქეს სურს გააშენოს ახალი ქარხანა, სახელოსნო, დიდი გარაჟი ან სხვა რომელიმე საწარმოო ობიექტი, უნდა მიიღოს მთავრობის პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოო ობიექტის დანიშნულებას ომიანობის დროს. რომ სამშვიდობო მრეწველობიდან სამხედროზე გადასვლა სწრაფად და უმტკივნეულოდ მოხდეს და სახელმწიფომ შეინარჩუნოს კერძო საჭიროებათა დაკმაყოფილების უნარი, ყოველი ქვეყანა ადგენს **სამეურნეო მობილიზაციის გეგმას, რომელშიაც მთავარი ადგილი სამხედრო მრეწველობის მობილიზაციას უკავია.** სამხედრო მობილიზაციის საკითხს ჩვენ არ შევეხებით; ეს „მხედრის" მე-18 ნომერში ჩვენმა სპეციალისტმა, ბატონმა ბ. ქ-ძემ განიხილა; იქ ყველაფერი მშვენივრად დახასიათებულია და საკითხიც სრულიად ამოწურულია; ჩვენ დასამატებელი აღარაფერი გვაქვს; დავუმატებთ მხოლოდ ორიოდე სიტყვას საერთო მომზადების დარგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუშაობაში დიდ მონაწილეობას იღებენ: ფინანსთა, შინაგან. ვაჭრობა-მრეწველობის, გარეშე საქმეთა, შრომის და გზათა მინისტრები.

ფინანსთა მინისტრი — ცდილობს, რომ სახელმწიფომ არ განიცადოს ფულის სინაკლულე ომის დროს; თუ შეუძლია ჰქმნის ომის ფონდს; ეძებს იმავე შემთხვევისათვის გარეშე კრედიტებს, ან სდებს ხელშეკრულებებს მასალათა ნისიად შესყიდვისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი — უმთავრესი მომქმედია სახელმწიფო მეურნეობის მომზადებაში. მის ხელშია მთელი ერის მოსახლეობა, მისი უძრავ-მოძრავი ქონებით; მის სამინისტროში სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, მოსახლეობა ჯგუფდება სპეციალობებად. ქალების გამოუკლებლივ; აქვე ხდება ქონების სათანადო მოწყობა. მას ედება მოვალება მშვიდობიანობის და წესრიგის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი პოლიცია, ყოველნაირი დარგის დარაჯები და ცეცხლთან მებრძოლი რაზმებიც გაწვეულ იქნებიან მობილიზაციის დროს ჯარში. ჯერ მშვიდობიანობის დროს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს შენობები, მრავალ უწყებების მოსათავსებლად, რომლებიც აუცილებლივ დაარსდებიან ომის დროს; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან შეთანხმებით უნდა უზრუნველ ჰყოს ომის დროს მთელი მოსახლეობა, გამოკვების და სხვა მოთხოვნილების მხრივ, არ დაუშვას სპეკულაცია; საერთოდ ზრუნავს, რომ კერძო ცხოვრება ნორმალურ პირობებს არ დაშორდეს; პროპაგანდის საშუალებით და სხვა ზომებით გაამაგროს ხალხის გული და პატრიოტული გრძნობა; უნდა ეცადოს სხვა და სხვა საჭირო დამხმარე ორგანიზაციები და საავადმყოფოები გახსნას; ფრონტის ზურგში, მაშველ სპეციალურ პერსონალის გამრავლებისათვის, დააარსოს კურსები, ლექციები და მოხსენებები. **საერთოდ მთელი მოსახლეობის ცხოვრება-მოქმედებას, ჯარისადმი დამხმარ მიმართულებით, გაუძღვეს.**

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — ცდილობს რა განავითაროს სახელმწიფოში აღებ-მიცემა, აგროვებს შემოტანის გზით ისეთ ნაწარმოებს და ნედლ მასალას, რომლებიც ადგილობრივ არ მოიპოვებიან; ცდილობს ომის დროს შექმნას მათი შემოტანის პირობები. ცდილობს მცხოვრებთა, ომის დროს, პირველ საჭიროების საგნებითა და სურსათით მომარაგებაზე.

გარეშე საქმეთა მინისტრი — ცდილობს სახელმწიფოს მოკავშირენი მოუპოვოს; საერთოდ კი შეჰქმნას ომისათვის ხელსაყრელი პირობები; გააადვილოს საზღვარგარეთიდან, ომის დროს, საჭირო მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შემოტანა, ფულის სესხის შოვნა და ერისათვის სასარგებლო პროპაგანდის მოწყობა საზღვარგარეთ.

შრომის მინისტრი — იღებს ზომებს ომის დროისათვის საჭირო სპეციალისტების და ტექნიკოსების გასამრავლებლად; ომის დაწყებისას ადგენს სხვა და სხვა ხელოსნების და მუშების რაზმებს.

მიმოსვლის (გზათა) **მინისტრი** — ცდილობს თავისი აზრები გზათა ქსელის და მიმოსვლის საშუალებათა განვითარების შესახებ შეუფარდოს ომიანობის დროის საჭიროებებს, რათა ამით ხელი შეუწყოს დაუბრკოლებლივ გადაზიდვას ჯარისა, საომარ მასალისა და სანოვაგისა, როგორც ჯარისათვის, ისე მთელი მოსახლეობისათვის.

აი სრულიად მოკლე აღწერა, თუ როგორ ემზადება სახელმწიფო სამეურნეო მობილიზაციის ნაყოფიერად ჩატარებისათვის

მეოთხე მუხლი სახელმწიფოს ომისათვის მომზადებისა ეხება ერის განვითარების საერთო ზომებს, სახელდობრ: გზების აშენება, ცხენის ჯოგების გაჩენა, სატრანსპორტო საშუალებათა გამრავლება, ფრენოსნობის, ტელეგრაფ-ტელეფონის და რადიოს განვითარება და სხვა. ყველა ეს ესაჭიროება, როგორც მშვიდობიან მცხოვრებთ, ისე ომის საჭიროებებს და ორივე ეს მოვლენა უნდა სახეში იქნეს მიღებული **მათი აშენება-შემოღებისას.** გზები წინადაც დიდ როლს თამაშობდენ ომის წარმოების საქმეში, დღეს კი, ჯარის მოტორიზაციის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს სახელმწიფო აპარატმა მომავალი ბრძოლის ასპარეზები გზების უფრო სქელი ქსელით უნდა დაჰფაროს, ვიდრე ტერიტორიის დანარჩენი ნაწილები. ომის წარმოებას სჭირია სტრატეგიული ხასიათის გზები, ცენტრიდან საზღვრებისაკენ და მის პარალელურად — ეს აადვილებს ჯარების გადაჯგუფებას; დიდი მნიშვნელობა აქვს ხიდებს სასოფლო გზებზედაც. ესენი ისეთი გამოანგარიშებით უნდა იყვნენ აგებული, რომ სამხედრო საჭიროების სიმძიმეს უძლებდეს: არტილერია, ტანკები, საბარგო ავტომობილები და სხვა (იტალიელების ჯარს მხოლოდ გზის უქონლობა უძნელებს მოქმედებას). მექანიკურ საშუალებათა შემოღებამ არ დაუკარგა მნიშვნელობა ცხენს, რომელიც საჭიროა ცხენოსან ჯარისათვის, არტილერიისათვის და სამხედრო ურმებისათვის. საჭიროა ორგვარი ცხენების მოშენება — ერთი გამძლე, სწრაფი და მსუბუქი, მეორე კი ლონიერი, შესაბმელი ტიპის ცხენები. ახლანდელ ომში იმდენი რამეა მისაზიდი, რომ სამხედრო ურმები (ნელ-მოძრავნი) ვერ აუდიან მოთხოვნილებას და აუცილებელია დამხმარე მოტორ-მატარებლების ტრანსპორტები, მსუბუქ და საბარგო ავტომობილები, მოტოციკლეტები და ველოსიპედებიც. წარსულ ომში ყვე-

ლა მექანიკურ მანქანების დამსახურება ცნობილია, ორ შემთხვევაში კი, გადამჭრელი როლი ითამაშეს სამხედრო ოპერაციების ბედ-იღბალში.

ვერდენს რკინისგზა არ ჰქონდა; გერმანელების მიერ ნახევრად რკალშემორტყმული, ერთი გზატკეცილი იყო ზურგთან დაკავშირებული; იმასაც დღისით მტრის არტილერიის ცეცხლი სცემდა. მდგომარეობა იყო კრიტიკული და საქმე 3.000 საბარგო ავტომობილმა გამოასწორა; მათ ღამით მოჰქონდათ ყველაფერი და ესეც რამდენიმეჯერ ერთი ღამის განმავლობაში. სწორედ ამან შეაძლებინა ფრანგებს ხალხის დანაკლისის შევსება და საჭირო მასალის მიწოდება. მეორე მაგალითი — **პარიზთან.** ფრანგების დამკვრელი ჯგუფი, რომელმაც გადამწყვეტი შეტევა მიიტანა გერმანელების მარჯვენა ფრთაზე, **მარნაზე ბრძოლისას,** გადაზიდული იყო პარიზის 15.000 ტაქსით. ამას წინად ცნობა იყო, რომ გერმანეთს ერთი მილიონი მოტოციკლი აქვსო! აბა წარმოიდგინეთ, რა შესაძლებლობას მისცემს მას ეს ფაქტი, ქვეითი ჯარის და მსუბუქ ტვირთთა გადასროლაში.

ფრენოსნობის მაღალ ხარისხზე დაყენება საშუალებას აძლევს ქვეყანას ომის საჭიროებისათვის ბევრი მფრენავების გაწრთვნას; ეს უმნიშვნელო არ არის, რადგან ომის დროს სამხედრო ავიაცია საგრძნობლად გაიზრდება და ბევრი მფრინავები დასჭირდება. ტელეგრაფს, ტელეფონს და რადიოსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარის საჭიროებისათვის. დღეს ათასეულიდან და მაღლა, ჯარებს განაგებენ ტელეფონების საშუალებით; უფრო დიდი ერთეულების უფროსები და ზურგი ხმარობს ტელეგრაფს და რადიოს. ეს უკანასკნელი მით არის უპირატესი, რომ არ თხოულობს მავთულის გაბმას. თუ რომ ეს დარგი სახელმწიფოში განვითარებულია, მას მშვიდობიან დროსვე აქვს საგრძნობი საამისო ქონება და გაწრთვნილი პერსონალი, რაც კავშირის საშუალებათა მობილიზაციისათვის უმნიშვნელო არ არის.

სამეურნეო დარგს, ჯარის ვითარებაზე ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საჭირო ხდება ამ მხრივ ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისას ანგარიშში მიღება იმ მოვლენის, თუ რამდენად ეს ნაბიჯი ეგუება ჯარის ინტერესებსაც. **რამდენად ბეჯითად და ფართოდ მომზადდება სამეურნეო მობილიზაცია, მით ადვილად გადიტანს ქვეყანა** , ომის დროს, ყველა მოულოდნელობასაც. სახელმწიფო უნდა მივიდეს იქამდე, რომ **გახდეს ყოველ მხრივ თვით-კმარი.**

დასასრულ კიდევ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ფაქტებზე, რომ სახელმწიფო აპარატმა უნდა შესძლოს, ომის დროს, შეუნარჩუნოს მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების პირობები, ვინაიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგი წყაროა მებრძოლთათვის, მათი ენერგიისა და მორალური სიძლიერისა.

რადგან ჩემი წერილი ერთიანად ვერ მოთავსდება ჟურნალში, ერთ მოვლენაზე ახლავე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, სახელდობრ, რომ ყალბი დასკვნის გამოტანით შეცდომაში არ შევიდეს.

შეიძლება ზემო-მოყვანილ აწერილობის მიხედვით ვინმემ დასკვნა გამოიტანოს, რომ ჩვენ, სამხედრო სპეციალისტები, მომავალ ომს ისე ხანგრძლივადვე წარმოვიდგენთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მსოფლიო ომის დროს. არა! ამას სრულიადაც არ ვფიქრობთ! პირიქით, დღევანდელი ომისთვის მზადება იმ სახით სწარმოებს, რომ **ომის დასაწყისშივე,** შესაძლებელი გახდეს **მთელი ძალების გამოყენება,** და რომ რამდენიმე დარტყმით, მოკლე ხანში, მიღწეულ იქმნეს სრული გამარჯვება. თუ სინამდვილე და მომავალი ამ სურვილებს გაამართლებენ — ეს სხვა საქმეა და ამაზე წინასწარმეტყველობა მეტად ძნელი საქმეა.

ა. ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რჩევა ომისა“ შესახებ

I

მხედრობა ერის ორგანიული ნაწილია და მთელი მისი არსებოთ მთელი თავისი სიგრძით ერის ცხოვრების და ღირსების უშუალო განსახიერებას წარმოადგენს. ერის ამაღლება, განვითარება, განდიდება; მისი დაავადება, დაცემა და დაკნინება - უშუალოდ, ლამის ავტომატიური სიზუსტით, იბეჭდება მისი მხედრობის ვარგისობაზე და ღირსებაზე. ამ მხრივ მხედრობა მიემგზავსება ბარომეტრს, რომელიც თავის სამშობლოს დაქვეითებას და დაცემას ავტომატიურად აღნიშნავს წაგებულ ბრძოლის ნაღვერდლებით, ხოლო ერის სულიერ წარმატებას და სიმაღლეს ბრძოლის ქარცეცხლით სცემს თავზე თავხედ მოწინააღმდეგეს. აი ამისთვისაა, რომ არას შემთხვევაში არ შეიძლება მხედრობის განყენებული განხილვა, როგორც რაიმე განსაკუთრებულ საზღვრებში ჩაკეტილი დარგისა. მხედრობის განხილვის დროს თავის თავად მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული მთელი მისი ერი, ამ ერის სულიერი და ნივთიერი ვარგისობა, სიმაღლე და მთელი მისი ისტორია. **ერის ცხოვრების რომელიმე სხვა დარგს არა სჭირია ესეთი ფართო ნიადაგი, მხედრობისათვის კი ეს აუცილებელია. საქართველოს მხედრობაც, ისევე როგორც ყველა ერთა მხედრობაც ამავე დებულებებს ემორჩილება და ამიტომ მის მომავალ განვითარების ბზა ბუნებრივად და შეუწყვეტლივ უნდა ებმოდეს ჩვენი ერის ისტორიულ გამოცდილებას და წარმოადგენდეს მის ორგანიულ გაგრძელებას. ამას ნათლადა ვხედავთ ჩვენ,უცხოეთში მყოფი მხედრები და ამისათვის მოვუხმობდით ყველას საქართველოს ისტორიისაკენ.** ამ მხრივ მხედრის თანამშრომელნი სიამოვნებით ვეგებებით ჩვენი ისტორიის ნიადაგზე აღძრულ კამათს „რჩევა ომის“ გარშემო.

მარაბდის ბრძოლის დაწვრილებით აღწერა სამხედრო თვალსაზრისით არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ის ცნობები, რომელთაც ამ ბრძოლის შესახებ იძლევა ჩვენი ისტორიული ლიტერატურა, სრულიად საკმარისია, რომ ერთი მთლიანი სურათი იქმნეს შედგენილი. მართალია, არ მოგვეპოვება თვით ბრძოლის მსვლელობის და განვითარების საათობრივი აღწერა, მაგრამ ამ ბრძოლის განსაკუთრებული ზედის გამო, როგორც უკვე აღვნიშნე, არსებული ცნობები სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია ამ ბრძოლაში დანთხეულ სისხლით მოპოებულ გამოცდილების სრულ გამოყენებისათვის.

მარაბდის ბრძოლა წარმოადგენს მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისის საქმეს. რას წარმოადგენს ამ დროს დასავლეთ ევროპის მხედრობა და რა სიმაღლეზე სდგას მისი ხელოვნების განვითარება?

ევროპის ამ ხანის მხედრობა ძლიერ დაბალ საფეხურზე სდგას. მას საერთოდ არ ესმის ბრძოლის დანიშნულება, რომლის მთავარი და ერთად ერთი მიზანი ეს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალების მოსპობაა, რაც თავის თავად უაპელაციოდ სწყვეტს მთელი ომის ბედს. აი ეს მიზანი არ ესმის ევროპის ამ დროის სარდლობას, იგი ყოველ მხრივ გაურბის ბრძოლის წარმოებას. მის სამხედრო დოქტრინაში მეფობს დებულება, რომ კარგი გენერალი ისეთ გამჭრიახობას გამოიჩენს, რომ თავის სიცოცხლეში არც ერთ ბრძოლას არ აწარმოებსო. და აი ამ ომის ბედის გადაწყვეტას ევროპის სარდლობა გაურბის გულმოდგინედ, მთელი თავისი გამჭრიახობის საშუალებით. გარდა ამისა თვით ბრძოლის ველზე ამ სარდლობამ არ იცის რამე მოძრავ მანევრის ხმარება. ორი ლაშქარი ერთი მეორეს ეხეთქება შუბლიდან; ერთი მეორეს უახლოვდებიან მაშინდელი იარაღის სროლის მანძილზე სიღრმეში მოწყობილ რამოდენიმე მწკრივით და აწარმოებენ ხანგრძლივ ცეცხლს. ბრძოლის მთელი სიმძიმე ცეცხლზეა დამყარებული და ეს იმ დროს, როდესაც თოფის გატენას რამოდენიმე წუთი სჭიროდა (ერთი რიგი ისროდა, იფანტებოდა და სხვა მწკრივებს ეფარებოდა თოფის გასატენად). ამ საერთო უხეშ სიმძიმის გამო ეს სარდლობა ვერც ცხენოსანი ჯარის გამოყენებას ახერხებს. არ იცის მან ჭენებითი იერიში და ცხენოსან ჯარს აბრძოლებს ცეცხლით თითქმის იმავე წესით როგორც ქვეითს. ამით ჰკარგავს იგი ცხენოსანი ჯარის უძლიერეს თვისებას, რომ მის ძალას წარმოადგენს მისი მასა გამრავლებული სიჩქარეზე. ასეთ პირობებში არავითარ მანევრზე არ შეიძლება ლაპარაკი. საერთოდ მანევრის მიზანი ბრძოლის გადატეხვა და მტრის მოსპობაა და იგი წარმოადგენს სარდლის ინდივიდუალურ ღირსების უტყუარ სურათს რასაკვირველია, იგი ვერ მოიპოვებდა ალაგს მაშინდელ ევროპის სარბიელზე, სადაც ბრძოლას უყურებდენ როგორც ერთგვარ ჟესტს და მას ისე აწარმოებდენ, რომ ღმერთმა დაიფაროს, რომ მას რამე გარდაწყვეტა მოეტანა. ყველა ამ დებულებებს თვით ევროპის სამხედრო განვითარებამ გადაუსვა ხაზი და თავიდან ბოლომდე უაზრო სიყალბეთა სცენა იგი. და თვით ცხოვრებამ უკარნახა მას სამხედრო განვითარების ნამდვილი გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას წარმოადგენს ამ დროს საქართველოს მხედრობა და რა კატეგორიებით მსჯელობს იგი? აი ამის სრულიად ამოწურულ პასუხს წარმოადგენს მარაბდის ბრძოლის წინ გამართული სამხედრო თათბირი. აღსანიშნავია, რომ ყველა სარდლები, ყოველ გვარ გამონაკლისის გარეშე, ერთხმად დაეძებენ ბრძოლას და არც ერთ მათგანს, არც ერთი წუთით არ მოსდის აზრი, რომ ამ ბრძოლის გათამაშებაში ინიციატივა მტერს დაუთმოს. ყველას სურვილია, რომ საკუთარი ინიციატივით მოახვიოს მოწინააღმდეგეს თავზე გარდამწყვეტი ბრძოლა და ამ ბრძოლაში გაანადგუროს იგი. არც ერთს არ მოსდის თავში იმდროს ევროპაში გაბატონებული დებულება, რომ რამე მანევრით აიცილონ ბრძოლა თავიდან და დაკმაყოფილდენ მხოლოდ ჟესტით. აქ ვერც ერთი მოწინააღმდეგე ჟესტით ვერ დაკმაყოფილდება და არც ერთი მათგანი ხელცარიელი არ გაბრუნდება. ამ ორ აზიურ ლაშქართ დაახლოვება უშედეგო განშორებით ვერას შემთხვევაში ვერ გათავდება. ეს აუცილებლივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით უნდა გათავდეს და მან ომის ბედი უნდა გადასწყვიტოს.

დღეს მხოლოდ გაკვრით შევეხები ზოგიერთ სარდლის აზრს და მის დასაბუთებას, ვინაიდან წარსულ ნომრებში ეს უკვე დიდის დაწვრილებით იქმნა გარჩეული. აქ მათ მე ცოტა სხვა მხრიდან მსურს შევეხო.

პირველი სარდალი, რომელმაც გამოსთქვა ის კონკრეტული აზრი, რომელიც საბოლოოდ იქმნა მიღებული — ეს ბარათა ბარათაშვილია, წინასპის უფროსი. იგი მოითხოვს დაუყონებლივ შეტევას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პიროვნება, როგორც წინასპის უფროსი, პირდაპირ საუცხოო ღირსების სარდალია. მისი შეხედულება და მის მიერ გამოთქმული აზრი ეს ბუნებრივი როლი და მოვალეობაა მოწინავე რაზმისა. დღეს ხანგრძლივი გამოცდილების შემდეგ ყველა სახელმწიფოს საველე წესდებები ერთხმად და გამოუკლებლივ მოითხოვენ, რომ მოწინავე ნაწილი ყოველთვის დაუყონებლივ მთელი თავისი ძალით პირდაპირ თავხედური გამბედაობით ეკვეთოს ხოლმე მოწინააღმდეგეს მის რიცხვობრივ უპირატესობის და მიუხედავად (ე. ი. მოითხოვენ ბრძოლას იმ სახით და დებულებათა თანახმად, რომელიც გამოსთქვა ბარათაშვილმა თათბირზე). წინასპის ერთად -ერთი მოვალეობა ისაა, რომ მოიპოვოს რაც კი შეიძლება ხელსაყრელი პირობები მთავარ ძალების ბრძოლაში შესასვლელად. მტრის დროებითი რიცხვობრივი უპირატესობა მისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. დღეს ეს ყველასათვის უტყუარი და ნათელი ჭეშმარიტებაა ამ საქმეში ბარათაშვილი ძლიერ დახელოვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მხედარია და, როგორცა სჩანს, მას ეს თავისი მოვალეობა არა ერთხელ შეუსრულებია სასახელოდ და ძლიერ ხშირად შეუქმნია მოწინააღმდეგისათვის ბანდალი. სხდომიდან სჩანს, რომ მას კარგი სახელი და ავტორიტეტი აქვს. ნაპოლეონის სარდლებში, ბარათაშვილისებრ მოწინავე ნაწილის ბრძოლაში სპეციალურად დახელოვნებული უფროსი, მარშალი ლანე იყო. ბარათაშვილის ეს მუდმივი განწესება ამ თანამდებობაზე, ქართული ჯარის განსაკუთრებული ორგანიზაციის შედეგი არის*).

შემდეგი კონკრეტული დასაბუთება შეტევის მოთხოვნილებისა ცხენოსანი ჯარის სარდლობას ეკუთვნის. მას საბრძოლელად ველზე ჩასვლა სურს. ესეც ბუნებრივი და უტყუარი აზრია. მას სურს იბრძოლოს ისეთ პირობებში, რომ მოახერხოს თავისი დარგის სრული და საუკეთესო გამოყენება. იგი დაეძებს საშუალებას და ცხენდა-ცხენ ბრძოლისას საკუთარი ინიციატივით იერიშების საწარმოებლად. აი ამ აზრის კონკრეტული დასაბუთებანი, რომელთაც გაიმარჯვეს საერთო კრებაზე.. ამის საწინააღმდეგო დასაბუთებული აზრი გამოსთქვა ბაადურ ციციშვილმა. იგი აღნიშნავს, რომ ძლიერ ცხელა, ქვეით ჯარს გაუჭირდება ველზე ბრძოლა, დამარცხდება და ამას კი ვერაფერი ველარ გამოასწორებსო. აი ის კონკრეტული და მხედველობაში მისაღები მოსაზრებით დასაბუთებული აზრნი, რომელნიც იქმნენ გამოთქმული ამ თათბირზე. აქ განზრახ არ ვეხები გამოთქმულ საერთო დებულებებს.

უნდა აღვნიშნო, რომ ყველა დამსწრე სარდალთაგანი თავის საფეხურზე საუცხოვო მხედრის ღირსებას იჩენს, რომ მთელი ეს კრებული პირველ ხარისხოვან მხედართა კრებულს წარმოადგენს, რომ მათ თანამედროვე ევროპაში ვერ მოვუნახავთ მათი თანაბარი ღირსების და განათლების სარდლებს. უნდა ხაზი გავუსვათ, რომ მარადის თათბირის აზროვნების დებულებებზე ევროპის სარდლობა მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ გადმოვიდა. სამხედრო ხელოვნების განვითარებამ ურყევლად და გამოუკლებლივ დაადასტურა ჩვენი სარდლობის მეჩვიდმეტე საუკუნის მოქმედებათა დებულებანი. ეს დებულებანი დღესაც ურყევლად მეფობენ მეოცე საუკუნის ტექნიკის მძვინვარების ბრძოლის ველზე. ჩვენ ვარჩევთ მეჩვიდმეტე საუკუნის ბრძოლას, მაგრამ ეს დებულებანი არც მაშინ იყვნენ ახალნი ჩვენი მხედრობისათვის.

---

*) იხილეთ „მხედარი“, მე-18 ნომერი; შ. ამირაჯიბის — „საქართველოს სადროშოები“. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უნდა დავაკვირდეთ ერთ გარემოებას: — საქართველოს ჯარის სათავეში სდგას საუცხოო სარდლობა. ამ ჯარის ვარგისობა და რიცხვობრივი მდგომარეობა, მოწინააღმდეგესთან შედარებით, სრულებითაც არ გამოიყურება უიმედოთ. ისტორიული წყაროები მას დაახლოვებით აღნიშნავენ როგორც 20.000 : 30.000, ზოგნი 15.000 : 25.000 ან 25.000 : 35.000. დაახლოვებით ყველანი ერთნაირი რიცხვით ზომავენ. ნათლად სჩანს, რომ აქ არა ჰქონდა ალაგი საქართველოსათვის ჩვეულებრივ შეფარდებას როგორც ასპინძის, კრწანისის, აზატ-ხანთან ან სხვა რომელიმე ბრძოლის დროს, სადაც საერთო შეფარდება უკეთეს შემთხვევაში გამოიყურებოდა ხოლმე როგორც 1 : 5 ან 1 : 6.

მიუხედავად ყველა ამისა, სპარსეთ-საქართველოს ეს ომი ჩვენ დამარცხებით დამთავრდა და კაცობრიობის ურთიერთობის ძველ უცვლელ მაქსიმის: „ვაი დამარცხებულთა" თანახმად, ჩვენი ერის ერთ-ერთ უდიდეს ტრაღედიის სახე მიიღო.

რამ მიიყვანა საქმე ამ მდგომარეობამდე და რად დამარცხდა ჩვენი ჯარი იმისდა მიუხედავად, რომ მას ძლიერ ბევრი შანსები ჰქონდა გამარჯვებისა. ამის მიზეზი თვით ბრძოლის ველზე არ უნდა ვეძიოთ. ეს ბრძოლა ჯერ ისევ ხმალ-უშიშვლებლივ, ბრძოლის დაწყების ერთი დღის წინ იქმნა განწირული და დამარცხებაზე განწესებული.

რას წარმოადგენს სამხედრო თათბირი უშუალოდ ბრძოლის წინ და რის მომასწავებელია იგი? ეს უკვე თავის თავად ტრაღედიის დასაწყისია. სამხედრო თათბირს აქვს თავისი მიზანი მხოლოდ ომის წარმოების განხილვაში და არა ბრძოლის გეგმის შემუშავებაში. მხედართა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირი ნიშნავს მთავარსარდალს, უსვამს მას ომის პოლიტიკურ მიზნებს და აღნიშნავს რა საშუალებებს, აძლევს მას განკარგულებაში. ბრძოლის წინ სამხედრო თათბირი მოხმობილი გეგმის შემუშავების მიზნით —ეს უკვე განსაცდელის ბუნებრივი დასაწყისია. ბრძოლა, ეს მთავარსარდლის ინდივიდუალური საქმეა, ეს მისი სულიერ თვისებათა ფოტოგრაფიული სურათია და მის დახმარების ერთად ერთი სახე ეს ისაა, რომ ყველამ მოიხმაროს მთელი თავისი ძალა და ღონე, რომ რაც შეიძლება მალე და კარგად განახორციელოს ბრძანების სახით გამოთქმული სურვილი მთავარსარდლისა. იქ, სადაც მთავარსარდალს არ ჰქონია პირადი აზრი და საკუთარი გარდაწყვეტილება, იქ მისთვის ვერავითარ თათბირს ვერ უშველია და ვერავითარ საშუალებას ვერ შეუვსია ჯარისათვის მისი მთავარსარდალის პირადი ნაკლულოვანებანი. ასეთი სარდალი დაუყონებლივ უნდა იქმნეს განთავისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული თავის თანამდებობიდან. რას მოასწავებს ბრძოლის წინ მოხმობილი სამხედრო თათბირი? ბრძოლის უშუალო მოლოდინში სამხედრო თათბირი ორ შემთხვევაში იკრიბება ხოლმე. პირველი — როდესაც მხედრობა ან ხელისუფლება არ ენდობა მთავარსარდალს და არა სწამს მისი სამხედრო ღირსებანი; მაშინ იკრიბება სამხედრო თათბირი და მთავარსარდალს აჩეჩებს ხელში რამე კოლექტიურ, წინააღმდეგობათა კომპრომისებით შეთითხნილ გეგმას. ეს ხშირად ხდებოდა. როდესაც ჯარის სათავეში დგებოდა რომელიმე სამხედრო, განათლებას მოკლებული, თეატრალურ ჟესტებზე აღზრდილი მეფე, ან მისი საგვარეულოს მოუმზადებელი წარმომადგენელი.

მეორე შემთხვევა ამ პირობებში თათბირის მოწვევისა — ეს მაშინ არის, როდესაც მთავარსარდალი დაბნეული სდგას ბრძოლის წინ; არა აქვს არავითარი გეგმა, და არ იცის: რა ჰქმნას. მაშინ იგი იწვევს სამხედრო თათბირს. აი ეს უპიროვნო კრებული საუცხოვო გამოსავალს წარმოადგენს ყოველ გვარ მოვლენების გადასაბრალებლად და პასუხისგების თავიდან მოსახსნელად. ისტორია გამოუნაკლისოდ და ურყევლად ცხადჰყოფს, რომ ჯერ - ჯერობით ვერავითარ თათბირს და ვერავითარ კოლექტიურ თხუზვას ვერავითარი ბრძოლა ვერ მოუგია და ვერც ერთი ჯარისათვის, რომელსაც კი დაჰკლებია მთავარსარდალის პიროვნება. ვერავითარ საბჭოს ვერ შეუვსია მისთვის ეს ნაკლი. ეს მოვლენა მხედრობის განვითარების ბუნების წესია და ამ წესს, რასაკვირველია, ვერ გაექცეოდა ვერც ჩვენი ხსენებული „რჩევა ომისა". რით აიხსნება ეს მოვლენა და რისთვის არის შეუძლებელი ჯარის კოლექტიური მართვა? ამაზე პასუხს მოგვცემს თვით სამხედრო თათბირის მსვლელობა და შემდეგ გათამაშებული ბრძოლის ბედი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ თათბირის მთელი შემადგენლობა წარმოადგენს ძლიერ მაღალი ღირსების მხედართა კრებულს. მათ რიცხვში იმყოფება თანამედროვე ხანის შეუდარებელი ღირსების სარდალი: — ყოფილი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე (დიდი მოურავის თანამდებობა ევროპის კანცლერის თანამდებობას უდრის). ეს პიროვნება განთქმულია მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და მის სასარდლო ღირსებას ურყევლად სცნობენ მაშინდელი სპარსეთი და ოსმალეთი. არა სცნობს მას მხოლოდ საკუთარი სამშობლო, თანახმად ჩვენი ძველი ანდაზისა, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. გავყვეთ ახლა თათბირის აზრთა განვითარების ხაზს და ვნახოთ რა დასკვნამდე მივიდა იგი.

მთავარსარდალის თანამდებობაზე ყველაზე სათანადო პირად უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩაითვალოს გიორგი სააკაძე. იგი ყველაზე უკეთ იცნობს სპარსეთის ჯარს, მის სარდლობას, მის ზნე-ჩვეულებას, და მოქმედებათა სახეს. იქნებ პირადათაც იცნობდა გამოლაშქრებულ სარდლობასაც და როგორც მთავარსარდალი არა ერთ ომშია გამოცდილი. მას საკუთარი კონკრეტული გეგმაც აქვს მოქმედებისა; სურს ჩასაფრდეს ტფილისის უკანასკნელ უღრან საფარში და აქ მოულოდნელობის დაცვით უკარნახოს მოწინააღმდეგეს ბრძოლა, როდესაც ეს სპარსელებისათვის, რაც კი შეიძლება, უხერხული და არა სასურველი იქნება; იქ, სადაც სპარსელები ვერ გამოიყენებენ ვერც თავის რიცხვობრივ უპირატესობას და ვერც თავის მრავალ ცხენოსან ჯარს; როდესაც მოწინააღმდეგე უგზოობის გამო ერთ ნაწლავად გაგრძელებულ სვლაში იქნება; სააკაძეს ეთანხმება და მხარს უჭერს მხოლოდ ბაადურ ციციშვილი და ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეითი ჯარი ველზე კარგად ვერ იბრძოლებსო; ესე იგი ზრუნავს მხოლოდ ქვეითი ჯარზე; მთელი დანარჩენი შემადგენლობა კრებისა ველზე ჩასვლის და მოწინააღმდეგეზე მიხტომის მომხრეა. ამ აზრს კონკრეტულად ასაბუთებენ მხოლოდ წინასპის უფროსი ბარათაშვილი და ცხენოსან ნაწილთა უფროსები. დანარჩენნი ასაბუთებენ მას მხოლოდ ადათით შეთვისებულ და მხედველობაში მიუღებელ საერთო დებულებებით. (რომელნიც, როგორც საერთო აღმზრდელობითი დებულებანი მართლაც საუცხოვონი არიან), როგორც მაგალითად: „შეყრილი ჯარით ცდა არ ვარგა“, იმარჯვებს ის, ვინც ინიციატივას იჩენს და მტერს თავს ესხმის და „ისე კი ყველაფერი ღმერთზე ჰკიდია“ და სხვა ამგვარი.

აქ ვხედავთ, რომ მთლიანი ბრძოლის და ომის ბედის გარდამწყვეტი კონკრეტული გეგმა მხოლოდ ერთ პიროვნებას მოეპოვება, — მხოლოდ გიორგი სააკაძეს. იგი მხედველობაში იღებს მთელ ლაშქარს და არა მის რომელიმე ნაწილს. მეორე მხრივ, როგორც სერიოზული, მაღალი ღირსების, კარგად გამოცდილი სარდალი, ინიციატივას ხედავს არა მხოლოდ მტრის ღობეზე მიხტომაში, როგორც სხვანი, არამედ იმაში, რომ მტერს უკარნახოს ბრძოლა იქ, სადაც ეს მისთვის ყველაზე უხერხული და არა სასურველია. ყველა დანარჩენი მხედრები კი გამოდიან მხოლოდ წვრილ, საკუთარი დარგის ვიწრო მოთხოვნილებათა თვალსაზრისით: ცხენოსანს ველზე ბრძოლა ურჩევნია, ქვეითს მაღლობებზე, მესამე თავის საფეხურის ინიციატივას მხოლოდ მტრის ღობეზე ხედავს, მეოთხე ყველაფერს ღმერთს მიანდობს, ოღონდ თვითონ დაესხას მოწინააღმდეგეს თავზე და სხვ. ამ მხედრებიდან ვერც ერთი ვერ იწევს ბრძოლის საერთო კოორდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციის სიმაღლემდე. ეს არ არის ნაკლი. ესენი საუცხოო მხედრები არიან, მაგრამ ბრძოლის ტეხნიკის საფეხურისა. ესენი ტაქტიკის წარმომადგენლები არიან და აქ არაფერი არ არის საკვირველი, რომ ყველა მათგანი მხოლოდ საკუთარი იარაღის ბრძოლის საუკეთესო პირობებზე ლაპარაკობს და ამის საბუთები მოჰყავს. ბრძოლის საერთო ჩარჩოებს მხოლოდ საკაძე ავლებს თვალს, იგი უკვე საოპერაციო საფეხურზე მსჯელობს. აი ამ ორი ბანაკის შუა სადავო და სამტკიცებელი არაფერია; აქ მხოლოდ ერთი მეორესადმი მორჩილების ურთიერთობა უნდა არსებობდეს. ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში აი სწორედ ამ მორჩილებას არა აქვს ადგილი. და არც შეიძლება, რომ ეს მორჩილება არსებობდეს, როდესაც სხვა და სხვა საფეხურის სარდლები თანაბარი ხმით არიან მოწვეულნი თათბირზე.

კი! ბარათაშვილი საუცხოო სარდალია. მაგრამ სარდალი დაბალ საფეხურისა, ჯარის წინასპისა. იგი საუცხოოდ მსჯელობს და ჰქადაგებს სრულ ჭეშმარიტებას, მაგრამ არა მთელი ლაშქრისა, არამედ ლაშქრის ამ განსაკუთრებულ ნაწილისა, მის საფეხურის სარდლობის თვალსაზრისისა. რა აქვს მას საკამათო საკაძესთან, რომელიც მსჯელობს მთავარსარდალის საფეხურზე და ფიქრობს მთელ ლაშქარზე, და არა მარტო წინასპაზე, რომელიც ჯარის მხოლოდ ერთი ნაწილთაგანია. საკაძეს ან ისეთი ნდობა უნდა ჰქონდეს, რომ კამათი არავის არ მიაჩნდეს საჭიროდ; ან ისეთი უფლება, რომ მან სურვილი უბრძანოს ბარათაშვილს და იგი თავის შესაფერის ადგილას ჩააყენოს. თათბირზე კი რას ვხედავთ? ამ ერთი ნაწილის უფროსს სარდალის თანაბარი ხმა აქვს და მისი აზრი უმრავლესობას მოსწონს; მოსწონს. ვინაიდან ეს უმრავლესობა მისივე საფეხურის მხედრებისაგან შესდგება და მისი სიტყვა გინდ არ ესმოდეთ, უკრიტიკოდ სჯერათ. სამხედრო თათბირზე ეს მუდამ ასე იქნება: უმრავლესობა მუდამ დაბალ საფეხურისა იქნება. აი როგორ იღებს აბსურდულ სახეს ამ საუცხოო სარდლების კრებული აზროვნება. ეს არ არის ამ მხედრების ნაკლი. ყველა ადამიანის გონებრივ ღირსებას სამხედრო იერარქიაში თავისი გარკვეული სიმაღლის საზღვარი აქვს. ძლიერ ხშირად შეიძლება მოხდეს, რომ საუცხოო პოლკის უფროსისათვის დივიზია უკვე ინტელექტუალურ შემძლებლობის საზღვარ ზევით იყოს და ამ საფეხურისათვის აღარ ვარგოდეს.

მერე რა სახეს იღებს თათბირი?

ნამდვილი მთავარსარდალის ღირსების პიროვნების კონკრეტული გეგმა და ხმა უმრავლესობისათვის გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა. ეს მუდამ ასე იქნება. ბრძოლის მთლიანი და კარგი გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გაგება და შეთვისება — ეს მხოლოდ ძლიერ განსაზღვრულ რიცხვის ერთეულების ხვედრია. ამიტომ, ვისაც კისერზე აწევს ბრძოლის პასუხისგება, მას უფლება უნდა ჰქონდეს თავისი განზრახვა უაპელაციო ბრძანების სახით უკარნახოს დანარჩენთ. დანარჩენებმა, როგორც ხელქვეითებმა, ურყევლად უნდა შეასრულონ ამ მთლიან გეგმის თავის ხვედრილი შემადგენელი ნაწილები. აქ მთავარსარდალს არა აქვს დრო და მოვალეობა, რომ ასაბუთებდეს თავის განზრახვებს. ეს ისტორიის მოვალეობაა.

აქაც ასე მოხდა. მთავარსარდლის განვითარებაზე მდგომ პიროვნების გეგმა ვერავინ ვერ გაიგო. მისი აზრის მომხრე მხოლოდ ციციშვილია და ისიც მხოლოდ მეორე-ხარისხოვანი საბუთით იცავს ამ აზრს. შეხედეთ ამ პირველ-ხარისხოვან მხედართა თათბირს, რა ტრაღიკულ სახეს იღებს და რას წარმოადგენს იგი საერთო ჯამში: — ერთს კვეთება სურს, მეორეს — დაცდა; საბოლოო დასკვნას ალბად ხმის უმრავლესობით მიიღებდენ, ან რომელიმე მეფე გადასწყვეტდა და ისიც ხმის უმრავლესობით, რომელიც თავის თავად დაბალ ხარისხის სარდალი უნდა ყოფილიყოს, თორემ სხვაფრივ თათბირი არც მას დასჭირდებოდა და სარდლობას თვითონვე აიღებდა ხელში. რასაკვირველია, ხმის უმრავლესობით მუდამ მხოლოდ დაბალ ღირსების, ყველასათვის ადვილად გასაგები გეგმა გავა, ვინაიდან ისეთ მაღალ ხარისხის სარდლები, როგორც გიორგი საკაძე იყო, რამოდენიმე საუკუნეში ერთი იბადება და მისი მოქმედება რომ ყველასათვის გასაგები იყოს, ეს არასდროს არ შეიძლება. ვისაც არ ესმის, მას რწმენა და მორჩილება უნდა ეყოს. ეს ასეც მოხდა. მოქმედებიდან სჩანს, რომ მიღებული იქმნა უმრავლესობის კოლექტიური გეგმა — ე. ი. სპარსელთათვის ბრძოლის შეთავაზება მათთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებში (მოწინააღმდეგისათვის, რომელსაც რიცხვობრივი უპირატესობა აქვს).

ვინ განაგებდა ბრძოლას? ამაზე ისტორია სდუმს. სხვა და სხვა წყაროები აღნიშნავენ მხოლოდ ერთ მოვლენას; ბრძოლა მსვლელობის დროს თავის გარდამტეხ წუთამდე მივიდა და ქართველთ ლაშქარს კატასტროფიული დამარცხება მოელოდა. მაშინ ყველამ ეთხმად მოსთხოვა საკაძეს, რომ მას მიეღო მთავარსარდლობა და ბრძოლა გაეგრძელებინა. საკაძემ მიიღო მთავარსარდლობა. ამის შემდეგ საკაძემ ქართველი ჯარი გაჟლეტიდან გადაარჩინა და მან ბრძოლის ველიც კი შეირჩინა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ველის ემბლემატიურ შერჩენას, როდესაც სახელმწიფოს შუაგულში შემოჭრილი მტერი არ არის უკუგდებული და დრო ამბო-

ხებულ, ჯერ ისევ შეუდეგებელ საქართველოს საწინააღმდეგოდ მუშაობს. საქართველომ ბრძოლა წააგო და ომი წააგო. დანარჩენი მსვლელობა ისტორიისა ყველამ ვიცით.

საიდან დაიწყო ამ უბედურობის თავი? **მიღებულ იქმნა დაბალი ხარისხის კოლექტიური გეგმა და არ იქმნა მოწესრიგებული მთავარსარდლობის საკითხი. ქართველი ჯარი განწესებული იქმნა უსარდლო ბრძოლაზე. უსარდლო ბ რძოლა დედამიწის ზურგზე ჯერ არავის არ მოუგია და მაინცდამაინც რაღა ჩვენ, ქართველებს უნდა მოგვეგო ასეთი ბრძოლა. აი იმ ბრძოლის ნორმალური ბედი, რომელიც სამხედრო თათბირით დაიწყო,** თუმცა ბრძოლის ბედზე ბჭობდენ საუცხოვო ღირსების მხედრები. აქ უნდა ვისაგრგებლო შემთხვევით და ხაზი გავუსვა მთავარსარდლობის ორგანიზაციის მნიშვნელობას. **ეს საკითხი თავიდანვე, ჯერ ისევ ომის წინ, უნდა იქმნეს ზუსტად ჩამოყალიბებული და ისეთ სახით, რომ ომის ბედის ფაქტიურ მმართველს და პასუხისმგებელს ჰქონდეს სრული თავისუფლება და საშუალება თავის მოქმედებათა მომზადების და განზრახვათა განხორციელების. თუ მთავარსარდლობის ორგანიზაცია კარგადაა შემუშავებული, ომის და ბრძოლის ბედი ჯერ კიდევ არ არის უეჭველად მოგებული, მაგრამ თუ ეს საკითხი მოუგვარებელია, მაშინ ომის წაგება უეჭველი აუცილებლობაა.**

რაც შეეხება საბრძოლო თათბირს, საინტერესოა: რისთვისაა, **რომ ბრძოლის წარმოება არ ეკუუბა კოლექტიურ ხელმძღვანელობას და უაპელაციოდ მოითხოვს ერთ პიროვნულ მმართველობას?**

რა არის ბრძოლა? ერი აყენებს ბრძოლის ველზე უდიდეს და უძლიერეს მანქანას, რომლის შექმნაც კი შეეძლო მის სულიერ და ნივთიერ შემძლებლობას, მის ღირებულებას. რამოდენიმე საათის შემდეგ ეს უდიდესი მანქანა მთელის ძალით და სიჩქარით სამკვდრო-სასიცოცხლო ჭდეევით უნდა შეებას მოწინააღმდეგეს ისეთივე, ან უფრო მძლავრ და სრულყოფილ მახინას. კიდევ რამოდენიმე საათის შემდეგ, რამოდენიმე ათეულ ან ასეულ წელთა სიგრძეზე გადაწყვეტილი იქნება ერის ბედი. დღეს ეს დრო ბრძოლისა უკვე საათობით აღარ განიზომება.

გადახედეთ ახლა აბობოქრებულ ზღვაზე გემის მართვის დებულებებს, ან გაქანებულ მატარებლის მართვის საკითხს და ადვილად დავინახავთ, **რომ ამ გვარ წუოებში, ერის ისეთ საბრძოლო კრებულის, როგორც ჯარია, კოლექტიური მართვა ყოვლად შეუძლებელია.** და განა ამის შემდეგ საკვირველია, რომ მარაბდის ბრძოლა, სა-

ქმის ასეთი დაყენების შემდეგ, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ალაგი, რომ უფრო უარესი მარცხით არ დამთავრდა?

რატომ თავიდანვე საკაძე არ იყო ამ ბრძოლის მთავარსარდალი? ეს სულ სხვა საკითხია. ან გინდაც, რომ ყოფილიყო მთავარსარდლად, განა მოახერხებდა ამ ბრძოლის მოგებას?, როდესაც მას თავის საკუთარი გეგმა და რწმენა ჩაუწიხლეს და გაუბათილეს, როდესაც მას თავზე შემოახვიეს სულ საწინააღმდეგო და დაბალ-ხარისხოვანი გეგმა, რომელიც მას არა სწამდა, რომელიც მოწინააღმდეგეს უტოვებდა ყოველგვარ უპირატესობას. განა შეუძლია სარდალს ბრძოლის თავის რწმენათა საწინააღმდეგო გეგმით მოგება? ეს ყოვლად შეუძლებელია. აი რისთვისაა, რომ ყველა სარდალი თავის საკუთარ გეგმით უნდა იბრძოდეს და ყველა ბრძოლა თავის ავტორის უშუალო ფოტოგრაფიას წარმოადგენს. ეს დებულება საუცხოოდ ესმოდა ნაპოლეონს. მის პირველ კონსულობის დროს, როდესაც მის ჩრდილოეთის ჯარის სარდალს არ ესმოდა მისი რჩევა მოქმედების სახისა, ნაპოლეონმა მას თავისუფალი ხელი დაუტოვა გერმანეთში სამოქმედოთ; თვითონ, კონსტიტუციის წინააღმდეგ, შეკრიბა ჯარი, (პირველ კონსულს არ ჰქონდა უფლება ჯარის პირადი სარდლობისა), გადალახა ალპები და ლომბარდიის ველებზე გადასწყვიტა ომის ბედი. თუმც შეუდარებელი ღირსების სარდალი იყო, მაინც არას შემთხვევაში არ გაბედა დამოუკიდებელ სარდლის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა. იგი რომ დაბალ ხარისხის მხედარი ყოფილიყო, ან არა სამხედრო პირი, ამ სპეციალისტის ინტელიგენციას ვერ გამოიჩენდა და გენერალ მოროს თავის გეგმას მოახვევდა თავზე. რასაკვირველია, უკანასკნელი ვერ შეიგნებდა ამ გეგმას და ომს წააგებდა.

რის გაკეთება შეეძლო ამის შემდეგ საკაძეს? მხოლოდ ჯარის ანარეკების გადარჩენა უაზრო ამოწყვეტიდან და მან ეს საუცხოოდ შეასრულა.

შეეძლოთ თუ არა ქართველებს ამ ბრძოლის მოგება? დღეს შეუძლებელია ამის გადაწყვეტით თქმა. შეგვიძლია ვსთქვათ მხოლოდ ერთი: ჩვენ სარდლობას ძლიერ ბევრი შანსები ჰქონდა ამ ბრძოლის მოგებისა. გარდა ამისა შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, როგორ უნდა მოქცეულიყო ჩვენი სარდლობა, რომ უაღრესად გამოეყენებინა მთელი თავისი მაშინდელი საშუალებანი და მიეღწია თავის შემძლებლობის უმაღლეს წერტილამდე.

ამისთვის საჭირო იყო, რომ მიეღოთ თავიდანვე მთავარსარდლად ის პიროვნება, რომლის საამისო ღირსებასაც საუცხოოდ გრძნობდენ ყველანი; რომლის სარდლობის ერთხმად მოთხოვნა არ ეთაკილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდათ, როდესაც უალრეს გასაჭირში ჩაცვივდენ; მაგრამ რომლის მთავარსარდლობა არ სურდათ, თუ კი ამპარტავნობის საშუალება ექნებოდათ — ეს დიდი მოურავი ვიორგი საკაძე იყო. შემდეგ მიეცათ ამ მთავარსარდლისათვის ნამდვილ მთავარსარდლის ნორმალური უფლებანი ე. ი. მოქმედების სრული თავისუფლება და შეუზღუდველობა*). რა სახეს მიიღებდა ამის შემდეგ მთელი მოქმედება? ამისათვის საკმარისია გადავხედოთ მთავარსარდლის იმ-დროინდელ შტაბის ნორმალურ მუშაობის სურათს. საკაძეს თავის განზრახვის განსახორციელებლად არავითარი ვაჭრობა და დასაბუთება აღარ დასჭირდებოდა. ამის შემდეგ მოიწვევდა იგი იმავე სარდლებს, მაგრამ არა სარჩევ - სათათბიროდ და გამარჯვების სათილისმო რეცეპტების საძიებლად, არამედ პირად საბრძანებლო განრიგებაზე. აქ მათ მთავარსარდალი იმავე ორი სიტყვით განუცხადებდა თავის სურვილს და აუხსნიდა მდებარეობას და მდგომარეობის ვითარებას. ამის შემდეგ ყველა ხელქვეით სარდალს აუხსნიდა მის პირად დანიშნულებას და ალაგს. რასაკვირველია, ამ პირად განწესების დროს მხედველობაში მიიღებდა ყველა სარდლის პირად ხასიათს და თვისებებს. მაგალითად, გულჩქარ წინასპის უფროს ბარათაშვილისთვის გამოჩნდებოდა მისი ტემპერამენტის შესაფერისი საძგერებელი ამოცანა, ხოლო ბაადურ ციციშვილისათვის სხვა რამე ამოცანა, რომელიც დინჯ და გრილ აუჩქარებლივ მოსაზრებას მოითხოვდა. შემდეგ შეეკითხებოდა ყველას, აქვთ მათ რამე შეკითხვა და სჭირია ვისმეს კიდევ რამე განმარტება თუ არა. ამ განრიგების გათავებისას შეეძლო ყველასთვის ადგილობრივ ჩაებარებინა, ამალის მიერ უკვე წინდაწინვე განმზადებული წერილობითი ბრძანებანი (ეს მაშინ ჯერ არ იყო მიღებული). შემდეგ უბრძანებდა, რომ ყველა თავ-თავის ალაგას წასულიყვენ ჯარის ახალ გადასაწყობად. მთელი ეს განრიგება არას შემთხვევაში არ გაგრძელდებოდა საათნახევარზე მეტი. მზის ჩასვლის წინ მთავარსარდალი, ჯერ ისევ დღის შუქზე, ცხენით ჩამოუვლიდა ახლად გადალაგებულ ჯარს, თვითონვე ადგილობრივ შეასწორებდა მცირე ნაკლებს, რომელნიც პრაქტიკულ გადაწყების დროს გამოჩნდებოდენ და პირადათ გასინჯავდა თავის გეგმის განხორციელების პირველი ნაწილის შესრულებას. ამის შემდეგ უკვე უახლოეს გათენებისას წეეძლო მტრის დახვედრა და ბრძოლის საკუთარი სურვილის თანახმად გათამაშება, ხოლო თვით ჯარს კიდევ ერთი ღამე ექ-

---

*) ამისთანავე მაგალითს ადგილი ჰქონდა სულ ახლო წარსულშიც, 1918—21 წწ. — ანალოგია სრულია! რედაქცია.

ნებოდა განკარგულებაში სრულ დასასვენებლად. აი ეს ნორმალური ვითარება საქმისა მისცემდა საშუალებას საქართველოს თავის სარდლობის და შეიარაღებულ ძალთა უდიდეს გამოყენებისა და შესაძლებელ უდიდეს შედეგის მიღწევისა

აქ მსურს სხვათა შორის შევეხო გიორგი სააკაძის პიროვნებას, რომლის გარშემოც ასე დიდი კამათი სწარმოებს. ზოგის აზრით იგი მამულის მოღალატეა, ზოგის აზრით — არა. ამაზე ძლიერ ბევრს მსჯელობს დღევანდელი საქართველოს პრესა, მაგრამ გარდამწყვეტი სიტყვის თქმა თითქმის შეუძლებელია. გიორგი სააკაძე, როგორც უკვე აღნიშნული იქმნა, ქართლის დიდი მოურავი იყო (ე ი. კანცლერი). ამ თანამდებობაზე კიდევ ერთი ტრაღედია განიცადა მეორე დიდმა ქართველმა, ლეონიძემ, რომელიც მოწინააღმდეგე იყო ერეკლეს რუსეთთან დაახლოვების პოლიტიკისა, მაგრამ თავის რწმენის წინააღმდეგ მეფის ბრძანება მორჩილად შეასრულა და გაატარა ცხოვრებაში. ამ თანამდებობაზე საკაძემ ცხადჰყო თავის ძლიერ მაღალი ღირსებანი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, ისე მხედრისა. ერი დიდი ნაბიჯებით მიიწევდა წინ და რამოდენიმე სამხედრო გამოცდაც ჩააბარა ისტორიას. მის მოურავობის დროს მოულოდნელად შემოიჭრენ საქართველოში ყირიმის თათრები, რომელნიც ხმელეთის გზით ბრუნდებოდენ ოსმალეთიდან სახლში. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ტერტერა მიდიოდა ცხენით, უეცრად წააწყდა თათრებს, გამოიქცა გორში შესატყობინებლად და გორელებმა ხიდი ჩაშალესო. ტერტერა ტერტერაა, მაგრამ ეს ისტორიული ფაქტია, რომ სააკაძემ ძლიერ ჩქარი მობილიზაცია მოახდინა, გვერდში გაიყოლა ახალგაზრდა მეფე და მტერი სასტიკად დაამარცხა. მიუხედავად პირადი ღირსებისა, სააკაძე თავის ჩამომავლობის გამო, ქართლის უმაღლეს წრეებს არ მიაჩნდათ თავის თანამდებობის სათანადო პირად, და მის საწინააღმდეგო ინტრიგებს აწყობდენ. მათ ამ ინტრიგებით საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ სააკაძე იძულებული იყო თავის სიცოცხლის გადასარჩენად, სახლიდან ღამე საცვლების-ამარა გაქცეულიყო და უცხოეთში გადახიზნულიყო. წავიდა სპარსეთში. ვინ იყო აქ ერის მოღალატე? ის ვინც სიცოცხლის გადასარჩენად უცხოეთში გადაიხვეწა, თუ ისინი, ვინც თავისი ინტრიგებით მამულს ასეთი ბურჯი გამოაცალეს? მერე რას აკეთებს ამის შემდეგ სააკაძე სპარსეთში, სადაც მან, როგორც საუცხოვო სარდალმა ძლიერ მალე გაითქვა სახელი? სპარსეთი ილაშქრებს საქართველოზე და მის ჯარში სხვათა შორის სააკაძეც იმყოფება. (ეს გალაშქრება მის სპარსეთში ხანგრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივი ყოფნის შემდეგ მოხდა). ამბობენ იგი სამშობლოზე შურის საძიებლად მოდიოდაო. ნუ თუ ეს მართალი იყო? როგორც მისი წარსული და შემდეგი ცხოვრება გვიჩვენებს, ასეთი ღირსების პიროვნება მთელ ერზე შურს არა დროს არ იყრიდა. და გინდ რომ კიდეც განეზრახა შურისძიება. ამას თავის პირად მტრებზე იყრიდა, რომელთაც საქართველოს თავისი საქციელით ისეთი ზიანი მიაყენეს, რომ მათი დასჯა, ერის წინაშე, არასდროს არ იქნებოდა დანაშაული. რა მიზნით იყო საკაძე სპარსეთის ჯარში? ალბად ეს სპარსეთის პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი; მაგრამ მის ამ ჯარში ყოფნამ ალბად არა ერთხელ შეანელა სპარსელების მძვინვარება და არა ერთი სოფელი გადაარჩინა გადაწვ-განიავებისაგან. რა იყო მისი საბოლოო მიზანი? მოვუსმინოთ იმ ზერელა ცნობებს, რომელსაც ყველასათვის ცნობილი ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ. საკაძე შახის წყალობაში იმყოფება და ძლიერ ხშირად იყო დიდათ და უხვად დასაჩუქრებული. იგი ტფილისის ახლო ნადირობს და ამ ნადირობის დროს შემთხვევით ხვდება შახის შიკრიკს. იგი სჩხრეკს შახის შიკრიკს. ამას ლოიალური ხელქვეითი არასდროს არ ჩაიდენს. ცხადია. რომ მას სხვა აზრი აქვს. ეს თავის თავად ცხადია, რომ თვით მეფის შიკრიკის გაჩხრეკის ფაქტი იმ დროს სასიკვდილო დანაშაული იყო. შიკრიკს შახის ბრძანება მოაქვს ყორჩიხანისათვის, რომ საკაძეს თავი გააგდებინოს. რას ნიშნავს ეს? შახი ბრძანებს, რომ თავი გააგდებინონ იმ პიროვნებას, რომელიც მას უყვარდა, რომელსაც იგი ენდობოდა და რომელიც მან არა ერთხელ დაასაჩუქრა. ეს თავის თავად ცხადია: — თეირანს აქვს უტყუარი ცნობები, რომ საკაძე გულში კიდევ საუცხოვო ქართველია, და იგი საქართველოსათვის მუშაობს. ე. ი ამზადებს საქართველოდან სპარსეთის ჯარის განდევნას. თეირანი არა სტყუვდება. ამ შიკრიკის დაჭერა აჯანყების ნიშნად იქცა. ამის უახლოეს დღეებშივე, ვიდრე ყორჩიხანი მეორე ბრძანებას მიიღებდა. სპარსეთის მთელი ჯარი მოსპობილი იქმნა. მგონი ყველა უვიცისათვისაც კი თავის თავად ცხადია, რომ ასეთ შეთქმულების მოწყობა ყოვლად შეუძლებელია ერთ ან ორ ღამეში, რომ ამ საქმეს დიდი ხანია აწყობდა, და რომ თეირანმა ეს ბოლოს და ბოლოს გაიგო. საკაძეს ეს საქმე იმდენად მომზადებული აქვს, რომ იგი არც შახის შიკრიკის გაჩხრეკას ერიდება. აქ აშკარად ცხადია, რომ მას უამისოდაც რუბიკონი უკვე გადალახულად მიაჩნია. სჩანს, საკაძის მუშაობა უკანასკნელ წუთებში გაცემული იქმნა მის რომელიმე მტრის მიერ. აი ამ ნიადაგზე ეს შიკრიკის დაჭერა აჯანყების დაწყების ნიშნად იქცა, ნიშნად უკვე მოწყობილი საქმის ამუშავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა. ამის შემდეგ აჯანყებას, რომ კიდევ ცოტა დაეგვიანებინა, თეირანი ახალი ბრძანებით სრულიად შეუძლებელ შეჰქმნიდა ქართველთა რამე მოძარობას. ამ საქმეს ერთ მხარემ ერთგვარი დევალუაცია უქმნა და მას გიორგი საკაძის სიცოცხლის გადარჩენა დაარქვა.

ფაქტები ცოტა სხვა გვარად გამოიყურებიან. საკაძემ გაანთავისუფლა საქართველო და მისცა მას საშუალება სპარსეთთან ველზე თანაბარ ბრძოლაში შეხვედრისა. ეს მარაბდა იყო, სადაც სპარსეთის ჯარმა ახლად დასდგა კარვები განთავისუფლებულ საქართველოს ხელმეორედ მორჩილებაში **მოსაყვანად.**

მაგრამ აქ საზოგადოება თავს ჯერ კიდევ მაგრად გრძნობს, ჯერ ბრძოლა არ არის წაგებული... საკაძეს არ აძლევენ მთავარსარდლობას და მისი მოქმედების თავისუფლებას, როგორც კი შეუძლიათ. ზღუდავენ. სდგას პიროვნება, რომელიც თავის თანამედროვე ხანის საუკეთესო სარდალია, და იძულებულია თავის თავმდაბალ და მორცხვად გამოთქმულ აზრის შემდეგ, სიჩუმით უგდოს ყური სხვათა უაზრო ბაასობას.

მეორე დღეს საქართველო თავგანწირულად იბრძოდა. მას სწყუროდა გამარჯვება და არსებობის უფლების მოპოვება. ჯარისკაცმა თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. (საერთოდ ჯარისკაცი თითქმის გამოუკლებლივ მუდამ და ყველგან ასრულებს თავის მოვალეობას). მოიგონეთ ხელრხეულიძეების სასახელო მაგალითი. თვით ჩამოთვლილი სარდლებიც საუცხოვოდ იბრძოდენ....

მაგრამ ბედით უკვე განწირული იყვნენ. ბრძოლა და საქართველოს არსებობა ჯერ ისევ წინა დღეს წააგეს მეფის კარავში... ქართლი კი გულის ძგერით ელოდა ამ დღის შედეგებს.

არა ბატონებო! ბრძოლის მოსაგებად არა კმარა მხოლოდ სიცოცხლის გამეტება. ამას ყაჩაღიც ახერხებს. აქ კიდევ სხვა თვისებები მოეთხოვებათ იმათ, ვინც ერის ბედს განაგებენ. აქ მეტი სახელმწიფოებრივი შეგნებაა საჭირო. აქ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბრძოლის მწარმოებელის როლი ჯერ კიდევ ომის წინ იწყება და სარდლობა ეს გირლისების კრებული არ გახლავს, რომ მოქმედება მხოლოდ ფარდის აწევის შემდეგ დაიწყოს...

ჩვენ ერს, რომელიც ბრძოლის ველზე საუცხოვო მეომრებს აყენებს, რაც მთელ მახლობელ აღმოსავლეთმა და დასავლეთმა იცის, რასაც ჩვენ მოწინააღმდეგეთა მთელი კრებული ერთხმად აღნიშნავს, აკლია ეი ეს სახელმწიფოებრივი შეგნება. ამისი შედეგი... საქართველოს შვილნი საუცხოვო ჯარის კაცნი არიან სხვათა ჯარში: მონგოლების, სპარსელების... რუსების. ბრძოლის ველზე საუცხოვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხოცებიან..... მაგრამ მათ სისხლს რაღაც დაწყველილი მოვლენა ჰფლანგავს და ანიავებს. ეს უმაღლესი სარდლობის დანიშნულების შეუგნებლობაა სახელმწ. აპარატის მიერ და მთ. სარდ.-ის უფლებათა შეკვეცაა. თვით საქართველოსთვის მათ სისხლს, ქართველი ჯარისკაცის სისხლს და მოკვეთილ თავების პირამიდებს ვერ მოაქვს ის სარგებლობა, როგორც ამას სხვები ჰკრეფდენ ქართველ მებრძოლთა ღირსებიდან. რაშია საქმე? ეს მგონი ჩვენი ეროვნული ნაკლია, რომელიც საუკუნეთა განმავლობიდან უკანასკნელ დღემდე მოვიყოლიეთ. **ჩვენი ერი ომს მხოლოდ ბრძოლის ველზე ხედავს და ისიც მხოლოდ გაჭირვების უკანასკნელ წუთებში. ამით სარდლობის როლი მუდამ შეუგნებელი რჩებოდა და მის მშვიდობიან დროის მომზადებანი თითქმის მუდამ შეუძლებელი ხდებოდა ხოლმე. ბოლოს ისეთი მდგომარეობა იქმნება, თითქოს ბრძოლა და ომი მთავარსარდლის პირად ჯამბაზურ თვალთმაქცობით უნდა იქმნეს მოგებული*). არა! ომი გაანცებული ბავშის ცელქობა არ გახლავს, მას დიდი და სერიოზული მომზადება სჭირია და შიგ მთელი ერის ვარგისობა უნდა იყოს ჩაქსოვილი და გამოყენებული და არა მარტო მის რომელიმე ნაწილისა.** საქმის ასე დაყენების შემთხვევაში ერი ისეთი მოუმზადებელი და შეუძლებელი სახით სდგება ბრძოლის ველზე, რომ მისი გადარჩენა მთავარსარდლის ვერავითარ ღირსებას ველარ შეუძლია. აი ამგვარი მაგალითებითაა სავსე ჩვენი ისტორია. მეფე ერეკლემ თითქმის ვერც ერთ ომში ვერ მოახერხა თავის სახელმწიფოს მთელი შემძლებლობის გამოყენება. ბევრჯერ ასახელა საქართველო თავისი პირადი ღირსებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ველარ მოხერხდა. ასპინძის ბრძოლის დროს, როდესაც იგი სულ რამოდენიმე ათასით ებრძოდა ოსმალეთის საუცხოვოდ შეიარაღებულ დიდ ჯარს, იგი მარტო ტოტლებენის მიერ არ იქმნა დატოვებული. ასევე მოიქცა ერთ-ერთი ბატონიშვილი თავის ნაწილით, რომელმაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო. ალამაჰმადხანის შემოსევის დროს, ის, ვინც ისტორიამ დაიყენა კრწანისის ველზე, სასახელოდ იბრძოდენ. მოწინააღმდეგის ტფილისში შემოჭრის შემდეგ ქალებიც კი იბრძოდენ და იხოცებოდენ საკუთარ კერაზე... მაგრამ მეფეს ყოველ მხრივ ხელს უშლიდენ ამ ომისათვის მომზადებაში და თვით მოწინააღმდეგის შემოჭრის შემდეგაც რამოდენიმე ბატონიშვილი არ დაიძრა ადგილიდან თავისი ჯარებით და ბრძოლის ველზე არ გამოცხადდენ. მოხუც ერეკლემ აქ

---

*) ანალოგიის სრულ სურათს წარმოვიდგენთ ნათლად, თუ მოვიგონებთ 1921 წლის წაგებულ ომს. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარსარდლის უდიდესი ტრაღედია განიცადა და ბრძოლის ველზე იგი თავიდანვე მხოლოდ განზრახ ჯარისკაცულ სიკვდილს დაეძებდა, მაგრამ ბედმა ესეც დაუზოგა და ბრძოლის ველიდან განსაკვირვებელ თავგამოდებით გამოიტაცეს იგი ამის წინ კი სააკაძის მაგალითი; იგი საქართველოს ერთ-ერთი წრისათვის სხვა და სხვა მოსაზრებებით მიუღებელი იყო და ამისათვის, როგორც მთავარსარდალი, ბრძოლის აბობოქრებულ ზვირთებში თითქმის ხელ-ფეხ-შეკრული ჩააგდეს იგი; შედეგები ყველასათვის ცნობილია და ამაზე ლაპარაკი დღეს აღარაა საჭირო; საჭიროა მხოლოდ ამ მოვლენის შეგნება და გაკვეთება: **სახელმწიფო ისე უნდა იღზრდებოდეს და მზადდებოდეს ჯერ ისევ მშვიდობიან დროს, რომ ომში მონაწილეობა მიიღოს და ბრძოლის ველზე გამოვიდეს მთელი ერი და არა მისი რომელიმე ნაწილი. ამ შეერთებული ერის მთავარსარდლის დანიშვნის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქმნეს მისი პირადი თვისებანი და სხვა არაფერი. ამ პიროვნებას უნდა მიეცეს საშუალება თავის საბრძოლო მანქანის ჯერ ისევ მშვიდობიან დროში გამზადებისა და მის გაცნობისა. ხელისუფლებამ თვითონაც უნდა კარგად გაიცნოს მომავალი თავისი მთავარსარდალი და აღზარდოს მისდამი რწმენა მთელი ერისა. ამ ნიადაგზედაა დღეს აგებული ყველა, სახელმწიფოებრივად განვითარებულ ერის თავდაცვის საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში იღუპება და ნიავდება მთელი ერის საქმე და არა მარტო იმ ჯგუფის, რომლის ინტერესებზედაც ზრუნავს სახელმწიფოს მმართველობა.** ამის ერთ-ერთ მაგალითს იძლევა სააკაძის პირადი ისტორია, როდესაც ქართლის არისტოკრატიამ, ჩამომავლობის გამო, იგი უღირსად სცნო დიდ-მოურავის თანამდებობაზე და აიძულა იგი გაქცეულიყო.

ვ. ნა — ლი

×

ზემოთ მოთავსებული წერილი უკვე დამუშავებული იყო, როდესაც პატივცემულ პროფესორ ზურაბ ავალიშვილმა გადმოგვცა არჩილ მეფის თხუზულებებიდან ამოღებული, ლექსად აწერილი "შარაბდის ომი", რითიც მან ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია. ამისთვის რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის პატივცემულ პროფესორს.

დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველები ლმობიერად შეხედავენ ჩვენ მდგომარეობას და მომაკვდინებელ დანაშაულად არ ჩაგვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლიან იმ გარემოებას, რომ ჩვენგან დამოუკიდებელ პირობების გამო, არ გვქონდა საშუალება, რო წინ და წინვე შეგვეგროვა და გადაგვემუშავა მთელი ნედლი მასალა, რომელიც მოიპოვებოდა ჩვენს ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ.

ამ მხრივ ჩვენ გვსურს, რომ ქართულ საზოგადოებამ გაიზიაროს ჩვენი მუაშობის მიზანი და ყოველმა ქართველმა, რომელიც კი გრძნობს თავის სათანადო შემძლებლობას, როგორც პატრიოტმა მონაწილეობა მიიღოს ჩვენს მუშაობაში და ამით წვლილი შეიტანოს სამხედრო ხელოვნების ჩვენ ეროვნულ სახის აღდგენის საქმეში... საჭიროა, რომ ყოველი შეგნებული ქართველი ამ საკითხს თავის პირად საქმეთა გრძნობდეს. აქ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ ხაზგასმით, რომ საზოგადოების საკუთარ ეროვნულ სამხედრო კერასთან თანამუშაობა მარტო ლიტერატურული მუშაობით არ განისაზღვრება. მთელი სამხედრო ვითარება და თვით მხედრობა, მთელ თავის მუშაობის ყოველ ნაბიჯზე მუდამ დარწმუნებული უნდა იყოს მთელ თავის ერის სიმპატიაში, თანაგრძნობაში და გულწრფელ თანამუშაობის სურვილში. გვჯერა, რომ ქართველ საზოგადოების გულში ეს რწმენა თანდათანობით უეჭველად მიაღწევს განვითარების სათანადო სიმაღლეს.

რედაქცია

„მარაბდის ომი"

1.

მაგრამ კიდევ ჩვენ შააბაზ არ დაგვიშვრა მტერობითა,
ამ ყოფაზედ ყორჩიბაში ჩვენ მოგვიხდა მოსწრობითა,
სრულ ერანი შეეყარა სოფლებიან მას ობითა,
გაუჩნდების აწ შუბებსა თუ არ გატყდეს დასობითა.

2.

ის მოვიდა ალგეთზედა, ჩვენ ამვედით ტაბახმელას,
მე გიამბობ, თუ მოისმენთ, ომის საქმეს საქებელას,
მოდი, დაჯექ, გაიგონე, ახლო გიდგამ მაღლა სელას
. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

დავასკუნეთ ომი ალგეთზედ, მივმართეთ გულით მაგართა.
კაცთა სამების უცნობთა, მაჰმადიანთა, აგართა,
ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა ხორც-სისხლსა, მისთა ამართა.
რისხვით მოგვხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა.

4.

ავიყარენით რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა,
დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა.
მხიარულ�d და თამამად, რას ჰქვიან დანასულობა,
აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ-გულობა.

5.

დღისით ჩავლიეთ ავი გზა, ღამე ჩავედით ვაკესა,
ცოტა ხანს შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამკესა,
კახნი ამბობდეს: „ვიაროთ, მიუხდეთ ფურებს მაკესა“,
რაზმი დავაწყვეთ, ვიარეთ, მეთოფემ ტალი დაკვესა.

6.

რა ღამეს ბნელსა ნათელმან მომართა, ამან დარიდა,
მზე რა ულრუბლოდ აღმოჰხდა ქვეყნად მოჰფინა დარი და.
ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ზნით ვინ შევადარი და,
არ სხვას ზნეობის დრო არის, ჟამი არს საომარი და.

7.

გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიდამ,
დავაწყევით ორთავ რაზმი, ჩვენ აქათ და მათ იქიდამ,
მათი იდგა თვალ უწდომი, სიმრავლე სჭირთ მათ გვარიდამ,
მაგრამ ვერც სულ დაგვალონა სიბევრისა ჩვენ არიდამ.

3.

მან თურე ასრე გააწყო მეთოფე თოფხანიანად,
ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად,
მას ქვეშ მუხლმჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დგიანად,
მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად.

9.

მივახლოვდით, კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა,
ჰგვანდა თუცა ჩამოვარდა ცა ქვეყანათ, ან დაიქცა,
მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენს წინ ღამედ გარდაიქცა.
ვირემ კუამლი არ განქარდა, მათკე ვერვინ ვერ გაიქცა.

10.

რა განქარდა თოფის კუამლი, შეუტივეთ ერთპირობით,
გულ-ᲗᲘრულად და ჯავრიანად ვინ ვის წინა წაუსწრობდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხოცდით, ვლეწდით, ჩამოვყრიდით, არ ცოცხალთა შევიპყ-
რობდით,
არ მოსწორდა შაბადახან სულ გაწყვეტას უპირობდით.

11.

გავაქციეთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ,
მათი ურდოსა გავაცილვეთ, მოსვლა ერთხან შევანანეთ,
უკან ჩვენს რაზმს თავრიზელთა უწყეს ცემა, დიდად მავნეთ,
გაგვიქციეს უკან ჯარი, დაიზახნეს: „გაათავნეთ“.

12.

ამასზედა თეიმურაზ, ვინ მუხრანსა პატრონობდა,
„მოკლეს“ — თურე დაიზახნეს, ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა,
გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა,
გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბდაბ-ნობდა“.

13.

ორისავე პაატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად,
ასრე ჯარსა წინ მიგვიძღვნენ, დაიჯერე უსაცილად,
გაათავეს თვისი თქმული, სადგომსვე თქვეს დაქადილად,
ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ სიკუდილად.

14.

ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს,. იტვირთოდეს,
მათ, გლახ თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს,
დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე მოისრო-
დეს,
სიცხისაგან ძალ წართმულნი ისარს ველარ მოისროდეს.

15.

კულავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრი,
ალათანგის სახლის კაცი შვიდი მოკუდა, კარგი ევრი,
სხვა ბაადურ ციციშვილი, კახი დავით, გულად სვერი,
კიდევ ბევრი კარგი მოყმე დამიკაფნეს, ვითა ტევრი.

16.

ჩოლოყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია,
სულ ვინ სთვლის აზნაურშვილთა, რაც მოკლეს საქებელია.
სხვა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელია,
ძლივ მორჩა ალავერდელი, გარდაგდეს ხარჭაშნელია.

17.

ათაბაგი ამირ-გუნ-ხანს იმ დღეს შეხვდა ერევნისას,
შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ხლმისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი თურე, ზედი ზედა შემოჰკრის და შესძახისას:
„ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვფიცავ ყაენისას".

18.

მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა
თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ მიდგა.
არ დამიშვრეს ხელი ცუდად, სანამ პირში სული მიდგა.

19.

ზურაბ ადრე დაგვიკოდეს, თურე სისხლმან შეაწუხეს,
იმისმა ძმამ დათუნამა და ავთანდილ დაიქუხეს,
რაზმი განვლეს, უკან ზდივეს მუნამდისი, სად დგა მუხეს,
ფრეწდეს მათსა საჭურველსა, ყოფილიყუნეს, ვითამ უზეს.

20.

თუ ჩემიც რა მოგახსენო, მგონ, არ ვიყავ უსუარი,
საკვეხურად თუ ჩამიგდოთ, ამად თქმისა მაქვს უარი,
არა ვთქუა და ისრე დარჩეს, აღარ იყოს მახსუარი,
რა უქნია თეიმურაზს, თქვან: „რად არ თქვა, ვით სავ არის"

21.

ამის მეტსა ვერას ვიტყვი, რაცა მქონდა საომარი,
თუ ყველა არ დამემტვრიოს, ვიქნებიმცა მეომარი
შუბი, ხმალი ლახტი გატყდა, მოვიხმარე კულა ხანჯარი,
სომეხადმცა ჩაგიგდივარ, მათებრ ვიყო მეომარი.

22.

მას დღეს მოკუდა ყიზილბაში ათოთხმეტი ათასიო,
ცხრა ათასი საქართველოს, ზურაბის ყმა ცხრაასიო,
მაშინდელთა დახოცილთა კაცო ვითა ვთქვა საფასიო,
ამოგვწყვიტეს, მაგრამ კიდევ მინდა ვინმე მიუსიო.

23.

რას ვაგრძელებ, დაგვიმარცხდა და ღვთის რისხვა მოგვევლინა,
არ დაბრუნდეს ღვთის ბრძანება ერთხელ თუ გამოავლინა,
მადლი მასვე, ადრეხანად კიდევ მათზედ გაგვევლინა,
აწ უყურე ქსანზედ მოსულთ, თუცა რაზომ გარდავლინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარაბდის ომი*)

მეფე არჩილის „რჩევა ომისამ“ ჩემ მიერ ჟურნალ „მხედარში“ მოთავსებულმა და ახსნილმა, ბუნებრივად ჩვენი სამხედრო წრეების ყურადღება მიიპყრო, რასაც მოჰყვა გენ. გ. კვინიტაძის და გენ. ალ. ჩხეიძის წერილები. ეს წერილები წარმოადგენენ ისტორიულ - კრიტიკულ განხილვას ტაბახმელაზედ მომხდარ რჩევას ომისას, გამოთქმულს აკადემიურს ჩარჩოში. ჩემი წერილის მიზანიც სწორედ ეს იყო. მაგრამ ამას ზედ დაერთო პოლემიკაც. მხედველობაში მაქვს ჩემი მეგობრის ბ. რ. გაბაშვილის ფართო წერილი ჟურნალ „სამშობლოს“ 16—17 ნომრებში, სადაც, სხვათა შორის, გამოთქმულია ის აზრი, ვითომც ზოგიერთი ჩემი ახსნა „თავისუფალი“ იყოს, ან განმარტებული „საკუთარის მოსაზრებით“. მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. რ. გაბაშვილს ნაჩვენები არა აქვს, თუ სახელდობრ, რომელი ადგილია „თავისუფლად“ ახსნილი, ან რომელი განმარტებაა „საკუთარი მოსაზრებით“ მოყვანილი. ამიტომ მე ყოველსავე საშუალებას მოკლებული ვარ, რომ ეს ადგილები შევასწორო.

არ მიმაჩნია სამართლიანად არც საყვედური იმის თაობაზედ, რომ მე არჩილის პოემის ამ აბზაცის გამო მთელი თხზულება არ დავსწერე, შემოწმებული ყველა საბუთებით და ყველა ქართული ქრონიკებით. ასეთი თხზულება ფრიად საჭირო და ჩემთვისაც დიდათ სასიამოვნო წასაკითხი იქნებოდა. მაგრამ მე არა ვარ სამხედრო მწერალი და ასეთ შრომას ჩემს თავზედ ვერ ვიდებდი. სამაგიეროდ, არჩილის ეს „რჩევა ომისა“ ძველ ქართულ სამხედრო აზროვნების ისეთი უნიკური ცნობაა, ისიც მხატვრულ ლიტერატურაში დაცული, რომ მე, როგორც ამ ლიტერატურის მიმდევარს, არ შემეძლო ეს ცნობა, ჩვენი სამხედრო წრეებისათვის არ გამეზიარებინა. ამან ნაყოფი გამოიღო და, როგორც ითქვა, სამხედრო წრეებში გამოძახილი ჰპოვა. ხოლო რაც შეეხება ჩვენი ძველი სამხედრო დოკუმენტების შესწავლას და ისტორიული ქრონიკების ჩხრეკას, მე მიმაჩნია, რომ ასეთი რამ უკვე

---

*) ზემოდ-მოყვანილი ლექსის „მარაბდის ომის“-ს ახსნა. რედაქც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომი საქმეა და ამისი უპრიანიც იმავე სამხედრო სპეციალისტების უნდა იყოს.

მე მგონია, რომ ჩემი პირველი წერილის ნაკლი სულ სხვა რამეა. ის გამოიხატება სახელდობრ იმაში, რომ მე მოვიყვანე მხოლოდ „რჩევა ომისა" და ვერ მოვიყვანე სურათი თვით „მარაბდის ომისა", რომელიც არჩილს არა ნაკლების ოსტატობით აქვს აწერილი. ჩემი წერილის მთავარი ნაკლი ეს არის. ეს აიხსნება მხოლოდ იმ სამწუხარო გარემოებით, რომ არჩილის პოემა მე ხელთ არა მქონდა, ხოლო განსვენებულ ს. გორგაძის ქრესტომატიაში კი, საიდგანაც მე არჩილის პოემის ეს ადგილი ამოვიღე, მხოლოდ ეს „რჩევა ომისა" არის დაბეჭდილი.

მას შემდეგ ჩემ ხელში ორმა სხვა კრებულმა გაიარა, გაცილებით შემდეგ გამოცემულმა. პირველია — ბ. ია ეკალაძის ქართული ანტოლოგიის მეორე წიგნი, მეორე — პრ. ა. შანიძის და სხვათა „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა", სადაც, სხვათა შორის, "არჩილიანის" ადგილებიც არის მოყვანილი, მაგრამ ისევე არა სრულად. თუ ს. გორგაძის ქრესტომატიაში „რჩევა ომისა" არის დაბეჭდილი და „მარაბდის ომი" არა, ბ. აკ. შანიძის და ბ. ია ეკალაძის ანტოლოგიაში მხოლოდ საკუთრივ „მარაბდის ომია" დაბეჭდილი და „რჩევა ომისა" — აღარა. მოკლედ, არჩილის პოემის ამ ადგილს სრულს და სავსეს, ჩვენს ქრესტომატიებში ბედი არა ჰქონდა. არჩილიანის ძველი გამოცემა კი, თუმცა ესეც არა სრული, ძნელი ხელმისაწვდომია.

ასეთია მოკლედ ჩემი პირველი წერილის ისტორია და ეს ძალაუნებურად უნდა მეთქვა ამ მეორე წერილში, რათა მართლა არავინ იფიქროს, რომ თვით „მარაბდის ომი"-ს ამბავის მოყვანა რაიმე მოსაზრებით განზრახ დავიდუმე.

ეხლა გადავიდეთ საკუთრივ მარაბდის ომის აღწერილობაზედ.

მკითხველს ვსთხოვ, ამ თავითვე ახსოვდეს, რო როგორც „რჩევა ომისას", ისე ამ „მარაბდის ომის" ამბავს, პოემის ავტორი — არჩილ მეფე თეიმურაზ პირველს ათქმევინებს, ამ ომის დამსწრეს და საზოგადოთ იმ დროინდელ ისტორიულ ამბების დიდ მონაწილეს. აგრეთვე ისიც, რომ პოემის ტექსტი მოყვანილია თანახმად ბ. აკ. შანიძის კრებულისა.

თეიზმურაზ ამბობს:

„დავასკვენთ ომი ალგეთზედ, მივმართეთ გულით მაგართა,
კაცთა სამების უცნობთა, მაჰმადიანთა, აგართა,
ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა ხორც-სისხლსა, მისთა ამართა,
რისხვით მოგვხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა".

„დავასკვენთ ომი“ ჰგულისხმობს ტაბახმელაზედ მიღებულ რჩევას „შებმისას“. „მივმართეთ გულით მაგართა“ — სპარსელებს. „კაცთა სამების უცნობთა“ — იმავე სპარსელებს, როგორც წმიდა სამების არა აღმსარებელთა. „ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა ხორც-სისხლსა“ ნიშნავს, რომ ომის წინ ქართული ჯარი ზიარებულა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მარაბდის ომში ათიათასამდე ქართველი მოკვდა, ხოლო ტექსტში არსად არ არის ნათქვამი, რომ ამ ბრძოლაში მთელი ქართული ჯარი ამოწყდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჯარი ოცი—ოცდაათი ათასისაგან მაინც შესდგებოდა. მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რა გულის აღმძვრელ სურათს წარმოადგენდა ამდენი კაცის ზიარება და რამდენი იყო ჯარში მღვდელი, რომლებიც შემდეგ მონაწილეობას თვით ომშიაც მიიღებდნენ. "მისთა ამართა“ — ანუ ქრისტეს ანაბართა. „იგ დაცემული აღმართა“ — სპარსელებზედ არის ნათქვამი.

„ავიყარენით, რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა,
დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა,
მხიარულად და თამამად, რას ქვიან დანასულობა,
აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ გულობა.

დღისით ჩავლიეთ ავი გზა, ღამე ჩავედით ვაკესა,
ცოტა ხანს შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამკესა,
კახნი ამბობდეს: „ვიაროთ, მიუხდეთ ფურებს მაკესა!“
რაზმი დავაწყვეთ, ვიარეთ, მეთოფემ ტალი დაკვესა.

რა ღამეს ბნელსა ნათელმან მომართა, ამან დარიდა,
მზე რა უღრუბლოდ აღმოხდა, ქვეყნად მოჰფინა დარი და
ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ზნით ვინ შევადარი და
არ სხვას ზნეობის დრო არის, ჟამი არს საომარი და.

ეს სამი ტაეპი ქართული ჯარის შემდეგ მოძრაობას გვიხატავს: ზიარებულან ჯერ კიდევ დღისით, ტაბახმელაზედ, ხოლო „აყრილან“ მზემ რომ გადიხარა, მაგრამ „მხიარულად და თამამად“. ტაბახმელას ცუდი დაღმართები მზის ჩასვლამდის ჩაუვლიათ, ღამე კი უკვე ვაკეში ყოფილან; აქ ცოტა ხანს შემოუცდიათ. მაგრამ არა იმდენი, რომ ყანები დაემკოთ (?), რომლებიც ომიანობის გამო უმკალი დარჩენ. რაზმები ამ ვაკეზედ და ამ ღამეს დაუწყვიათ და ღამიანად ისევ უვლიათ. მაგრამ შესაძლებელია, რომ ფრაზა: „არ თუ ყანები დამკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა“ — კითხვითი ნიშანს საჭიროებდეს. მაშინ აზრი სხვა იქნება. შეიძლება ქართველებს შიში ჰქონდათ, რომ ეს ყანები სპარსულ ჯარს თავისთვის არ მოემკო. საზოგადოთ ფრაზა არა მარტო ჩართული, არამედ ნართაულიც არის. დამაფიქრებელია ამავე ტაეპის მეორე ფრაზა: „მეთოფემ ტალი დაკვესა“. ეს როგორღაც არ უდგება ღამით მავალ ჯარის სიფრთხილეს. შესაძლებელია, რომ იგი ცოტა ნაადრევად არის ნათქვამი, გამოწვეული უფრო ლექსის საჭიროებით, როგორც მაგალითად სპარსელების „მაკეობაც“.

„გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიდამ,
დავაწყევით ორთავ რაზმი, ჩვენ აქათ და მათ იქიდამ,
მათი იდგა თვალ-უწდომი, სიმრავლე სჭირთ მათ გვარიდამ,
მაგრამ ვერც სულ დაგვაღონა სიბევრისა ჩვენ არიდამ“.

ტაეპი ადვილი მისახვედრია და გარემოებაც ნათელი. ქართულმა და სპარსელმა ჯარმა ერთმანეთი პირველად დაინახა. და იერიშისათვის დაეწყო. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ქართულმა ჯარმა სპარსელების სიმრავლე ღრმად განიცადა და ერთგვარი რიდი იგრძნო. მაგრამ ამის „არიდამ“ ანუ არიდებამ ის „სულ ვერ დააღონა“.

შემდეგი ტაეპი მართლა რომ ბრწყინვალეა აღწერილობის სიმოკლით და სრულობით.

„მან თურმე ასე გააწყო მეთოფე — თოფხანიანად.
ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად,
მას ქვეშ მუხლ-მჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დგიანად,
მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად!“

„მან“ — სპარსული ჯარის სარდალი ისა-ხან ყორჩიბაშია. "მეთოფე — თოფხანიანად“ — თოფიან ჯარს და არტილერიას ნიშნავს. „არაბიანად“, როგორც ეს ბ. შანიძის კრებულში დართული ლექსიკონი განმარტავს — ურმიანს ნიშნავს, ანუ ურემზედ დგმულ ზარბაზანს. ურემი არაბულად — არაბაა. განმარტება სავსებით მისაღებია. მაგრამ რადგან ქართულ ლაპარაკში და ძველ ქართულ მწერლობაშიც ეს სიტყვა იშვიათად იხმარება ან სულ არ იხმარება, შესაძლებელია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ „არაბიანად“ აქ ნიშნავს არა ურემს, არამედ არაბს; იმ აზრით, რომ სპარსელებს ზარბაზნებზედ არაბები ეყენათ. საზოგადოთ კი ამ ტაეპში მოცემული სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: — პირველ რიგში იყვნენ მუხლზედ მჯდომი მეთოფენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეში — ზარბაზნები, მესამეში — ზეზე მდგარი მეთობანი, მეოთხეში — ცხენოსნები და მეხუთეში — აქლემიანები.

ვირემ კვამლი არ განქარდა, მათვე ვერვინ ვერ გაიქცა.
მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენს წინ ღამედ გადაიქცა,
ჰგვანდა, თუცა ჩამოვარდა ცა ქვეყნად, ან დაიქცა,

რა განქარდა თოფის კვამლი, შევუტივეთ ერთპირობით,
გულ სრულად და ჯავრიანად ვინ ვის წინა წაუსწრობდით,
ვხოცდით, ვლეწდით, ჩამოვყრიდით, არ ცოცხალთა შევიპყრობდით,
არ მოსწროდა შაბადახან, სულ გაწყვეტას უპირობდით.

გავაქციევეთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ,
მათ ურდოსა გავაცილვეთ, მოსვლა ერთხან შევანანეთ,
უკან ჩვენს რაზმს თავრიზელთა უწყეს ცემა, დიდათ მავნეთ
გაგვიქციეს უკან ჯარი, დაიზახნეს „გაათავნეთ“.

ამასზედა „თეიმურაზ (ვინ მუხრანსა პატრონობდა)
მოკლეს“ თურე დაიზახეს, ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა,
გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა,
გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბდაბ-ნობდა“.

ამ ოთხ ტაეპში მოცემულია პირველი იერიში და მთავარი ბრძოლის ამბავი და დასახელებულია ის გარემოებანი, რომელთაც ქართული ჯარის პირველი გამარჯვება უკუღმა შეატრიალეს.

ჯერ ზოგიერთი სიტყვა და ბრძოლის ეპიზოდი ავხსნათ:

პირველი ტაეპი აგვიწერს იერიშის დასაწყისს. იგი დაიწყო სროლით ორივე ჯარის მხრით. აქ აღსანიშნავია, რომ ჯარები ერთმანეთს კი არ შეეტაკნენ, არამედ იერიშზედ მიდის ქართული ჯარი, სპარსული კი გამაგრებულ პოზიციაზედ სდგას. ქართველების ეს იერიში პირველ ხანში ზარბაზნისა და თოფის კვამლით არის შეჩერებული, მაგრამ გაგრძელებულია, „რა განქარდა თოფის კვამლი“. მაგრამ არც ერთი ტაეპიდან არა სჩანს, რომ ზარბაზანი ქართულ ჯარსაც ჰქონდა. მეორე ტაეპის მეორე სტრიქონის სიტყვა — „ჯავრიანად“ — ნახმარია არა „დარდიანის“ მნიშვნელობით, როგორც ეს დღეს იხმარება, არამედ გაჯავრებულის და მტერზედ გულმოსულის მნიშვნელობით. „გავაქციევეთ დიდი რაზმი“ ჰგულისხმობს სწორედ იმ მტკიცედ დალაგებულ სპარსული ჯარის მთავარ წყობას, რომლის სურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ჩვენ მიერ ერთ ზემო ტაეპში განვიხილეთ. ეს იყო სპარსული ჯარის მთავარი გამაგრებული ურდო. და ქართველებს სწორედ ეს ურდო აუკლიათ, დაუნგრევიათ, მოუსპიათ და გადასცილებიან კიდეც — „მათ ურდოსა გავაცილვეთ". ამის შემდეგ დამარცხებული სპარსული ჯარის მხოლოდ დევნა-ღა იყო საჭირო. მაგრამ ახალი გარემოებანი იჩენენ თავს. ეს გარემოება სამია: პირველია, რომ „მოუსწრია" შაბადა-ხანს და ის გამხდარა „აწ მოგანეთ". მეორე — ბრძოლის დროს ხმა დავარდნილა ("დაიზახნეს"), რომ მეფე თეიმურაზი მოჰკლესო! ნამდვილად მოკლული იყო თეიმურაზ მუხრან-ბატონი. მაგრამ ამ ხმამ განსაკუთრებით კახელობაში სასომიხდილობა შეიტანა და ჯარის ნაწილი „გამობრუნდეს". შეიძლება დავასახელოთ მეოთხე გარემოებაც, ჯერ არ მოყვანილ ტაეპიდან, რომელიც არჩილის ტექსტში ცოტა ქვემოდ არის მოთავსებული:

„ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთვოდეს,
მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს,"..

ამ სტრიქონებიდან სჩანს, რომ პირველში გამარჯვებულ ქართულ ქვეითობას სპარსული ურდოს „ალაფობისათვის" ანუ დავლისათვის მიუყვია ხელი და ომზედ ხელი აუღია.

თეიმურაზი ამ გარემოებას მწარე ირონიით ადარებს იმ ამბავს, როდესაც კარჩი კაი ხანზედ საბოლოოდ გამარჯვებულმა ქართველებმა სპარსელების ბანაკი აიკლეს მარტყოფში, რომლის ამბავი ჩემს პირველ წერილში არის მოთხრობილი. დასასრულ სიცხე! იმავე ტაეპში ნათქვამია:

დაგვიმარცხდა. გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე მოისროდეს,
სიცხისაგან ძალწართმულნი ისარს ვეღარ მოისროდეს.

ეხლა გამოსარკვევი გვრჩება, ვინ იყო ეს შაბადახანი, რომელმაც არჩილით ქართული გამარჯვების ბედი ასე შეატრიალა? არჩილის ეს შაბადა ხანი არის აზერბეიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი. მარი ბროსსე თავის „საქართველოს ისტორიაში", ნაწილი მეორე, თარგმანი ნ. ღოღობერიძისა, მოგვითხრობს:

„როგორც კი გაიგო შაჰ-აბასმა ქართლის აჯანყება და კახეთში მომხდარი ცვლილება, გაგზავნა თავი მოურავის შვილს პაატას, ხოლო ცოლი ზურაბისა (არაგვის ერისთავისა. შ. ა.) დააყენა მოახლედ თავის ჰარამ-ხანაში; ამას გარდა მან გაგზავნა ქართლში ურიცხვი ჯარით ისა-ხან ყორჩიბაში. ის დაბანაკდა მდინარე ალგეთის ნაპირად, რომელსაც ისკანდერ მუნჯი გუმიშლუს უწოდებს. ყორჩიბაშს ახლდნენ ერევნის ემირი გუნა-ხანი, ადერბეიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰ-ბენდე-ხანი"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რიგად გამოდის, რომ როგორც ერევნის ემირი გუნა-ხანი (არჩილი მას თავის პოემაში ამირ-გულხანად იხსენიებს), ისე აზერბეიჯანის (უნდა ვიგულისხმოთ სპარსეთის აზერბეიჯანი) ბუგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი ყორჩიბაშის ჯარში იმ თავითვე იყვნენ. ქართველებისათვის მისი გაჩენა ბრძოლის ველზედ მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ხოლო, შესაძლებელია, რომ ბრძოლის პირველ ხანაში ისა და მისი ჯარი მარაბდის ველიდან ცოტა მოშორებით იდგა. ამიტომ ანაზდეულ „მოსწრებაზედ" ლაპარაკი შეუძლებელია. ქართველებს მისი არსებობა უნდა სცოდნოდათ.

აღსანიშნავია სხვა გარემოებაც. არჩილის პოემაში მარაბდის ომის ბედის შემატრიალებელი შაბადახანი, ანუ შაჰ-ბენდე-ხანია. მაგრამ მარი ბროსხეს სიტყვით, ომს „მოუსწრო" და ომის ბედი შეატრიალა ემირმა გუნა-ხანმა. „ემირ გუნამ მოუსწრო ომს და, როცა მიხვდა სპარსების დამარცხებას, სწრაფად შემოუტია მარაბდის სერიდამ ქართველებს, რომელნიც სიცხისაგან დაქანცულნი, მალე გაბნეულ იქმნენ". (იხილეთ იქვე).

არჩილის დანარჩენი ტექსტი ეხება ომის ცალკე ეპიზოდებს და გმირთა შესხმას წარმოადგენს.

„ორისავე პაატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად,
ასრე ჯარსა წინ მიგვიძღვნენ, დაიჯერე უსაცილად,
გაათავეს თავის თქმული, სადგომსვე თქვეს დაქადილად,
ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ სიკვდილად.

„ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთვოდეს,
მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს,"..
დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე მოისროდეს,
სიცხისაგან ძალწართმულნი ისარს ვეღარ მოისროდეს.

კვლავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრი,
აღათანგის სახლის კაცი შვიდი მოკვდა, კარგი ევრი,
სხვა ბაადურ ციციშვილი, კახი დავით, გულად სვერი,
კიდევ ბევრი კარგი მოყმე დამიკაფნეს, ვითა ტევრი.

ჩოლოყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია,
სულ ვინ სთვლის აზნაურშვილთა, რაც მოკლეს საქებელია;
სხვა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელია,
ძლივ მორჩა ალავერდელი, გარდაგდეს ხარჭაშნელია.

ათაბაგი ამირ-გულხანს იმ დღეს შეხვდა ერევნისას,
შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქვენას ხმლისას,
სამი, თურე, ზედის-ზედა შემოჰკრის და შესძახისას:
„ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავსა ვფიცავ ყაენისას".

მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა,
თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ მიდგა,
არ დამიშვრეს ხელი ცუდად, სანამ პირში სული მიდგა".

„ძლივს მორჩა ალავერდელი, გადაგდეს ხარჭაშნელია" ჰგულისხმობს კახეთის ორ ეპისკოპოზს: ალავერდისას და ხარჭაშნისას. კახეთის ეპისკოპოზების როლი კახეთის ჯარში მე განმარტებული მაქვს ჩემს წერილში: „საქართველოს სამეფოს სადროშონი" (იხ. მხედარი, ნომ. 18). ვახუშტი ამბობს: "გიორგი პირველმა (1471 — 1492 შ. ა.) დაიპყრა სრულიად კახეთი, მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქიზიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, პანკისისა და სხვა.. და განჰყო ოთხს სადროშოდ და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკვიდრონ მთავართა.."

უკანას-წინა ტაეპში მე მგონია უნდა იყოს არა „ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავსა ვფიცავ ყაენისას", არამედ „ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვფიცავ ყაენისას"

მოურავის სიტყვებში „ანჩხაბერი" სახელს ნიშნავს, მაგრამ მდარეს, სრულიად ანტიპოდს კახაბერისას, რომელზედაც პოეტი დავით გურამიშვილი ამბობს:

„ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად".

შ. ამირაჯიბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რ ევა ომისა“ შესახებ

II

წასულ წერილებში განხილულ იქმნა საკითხი ბრძოლის მომზადებისა სარდლობის საფეხურზე და ამ სარდლობის აზროვნება. ლექსი „მარაბდის ომი“ იძლევა უკვე ცნობებს თვით ბრძოლის გათამაშების შესახებ. იგი ერთგვარ უშუალო პასუხს შეიცავს უკვე განხილულ ტაქტიკურ საკითხებისა; გარდა ამისა შემოაქვს სურათი თვით ბრძოლის წარმოების ტაქტიკურ სახისა. ჩვენთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პირველი საკითხი, სახელდობრ სარდლობის ორგანიზაცია, ბრძოლის წარმოების პასუხისმგებლობა და ამ სარდლობის განვითარების დონე, როგორც სპეციალისტების.

რაც შეეხება თვით ბრძოლის აღწერას, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი მოვლენა. არასდროს არ შეიძლება ბრძოლის შესწავლის დამყარება ერთ რაიმე წყაროზე. ბრძოლის აწერა იმის მიერ, ვინც ამ ბრძოლაში პირადათ იღებდა მონაწილეობას რამე დაბალ საფეხურზე, დამყარებული იქნება საკუთარ საბრძოლო განცდებზე და პირად შთაბეჭდილებებზე, რომლის მნიშვნელობაც შეზღუდული იქნება მხოლოდ ამ აწერის ავტორის პირადი ჰორიზონტით. ეს ცნობები საერთოდ მუდამ ცალმხრივი იქნებიან. ეს არ არის ფაქტების განზრახვითი დამახინჯება, ეს თითქმის ბუნებრივი მოვლენაა. ბრძოლის ბედის შესწავლისათვის საჭიროა ფაქტების მსვლელობის შესწავლა იმ სარდლის საფეხურზე, რომელიც თავის დანიშნულებით თვალს ავლებს მთელ ბრძოლის მსვლელობას. ამის შემდეგ საჭიროა მის აზროვნების კრიტიკა და გარკვევა შემსრულებელთა საფეხურის ფაქტების შედარებით. აქ მკვლეველმა დიდი სიფხიზლე და გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს, რომ კარგად შეაფასოს ამ უამრავ ცნობებიდან რომელია მხედველობაში მისაღები და რომელია მოკლებული საერთო მნიშვნელობას. ეს ბუნებრივი მოვლენაა, რომ ყველა მებრძოლისათვის საკუთარი გარდასავალი მის ცხოვრების უდიდეს მოვლენას წარმოადგენს და მისთვის ძნელი გასაგებია, რომ ამ ფაქტს ვინმემ უმნიშვნელო ეპიზოდი დაარქვას. აი ასეთივე შესწავლა სჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია ბრძოლის მწარმოებელთა მეორე მხარის მუშაობას*). რასაკვირველია, ასეთი სიზუსტით დღეს ჩვენ ვერც ერთი ჩვენი წარსულის ბრძოლის შესწავლა ვერ შეგვიძლია. ამისათვის უნდა დავკამაყოფილდეთ იმ ცნობებით, რომელნიც მოგვეპოვებიან და მათ საშუალებით ვეცადოთ მთლიან სურათის შედგენას.

მაშ როგორ გამოიყურება თვით ბრძოლის ტაქტიკური მსვლელობა? როგორც აწერიდან სჩანს, ქართველებმა ვერ მოახერხეს მოქმედების მოულოდნელი წარმოება ე. ი. დაჰკარგეს ის უპირატესობა, რომელიც უმცირეს ძალებს ანიჭებს გამარჯვებას რიცხვობრივ მძლავრ მოწინააღმდეგეზე. ორთავე ლაშქარი ერთი მეორეს მზის ამოსვლის შემდეგ შეხვდენ და სპარსელებმა მთელის წესიერებით მიიღეს საბრძოლა წყობილება. როგორც ლექსიდან სჩანს, სპარსელებმა თავისი ბანაკი ევროპაში მიღებული წესით მოამზადეს მოგვერიებისათვის: „ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად". ეს, იმ დროს ევროპაში კარგად ცნობილი, ჯაჭვით ერთი მეორეზე გადაბმულ საბარგულო ურმებით გამაგრებული ბანაკი გახლავს. იცავს მას ძლიერი არტილერია და ოთხ მწკრივად მოწყობილი მსროლელთა ნაწილები: პირველი დაჩოქილთა ხაზი, მეორე ზეზე მდგომთა, მათ უკან ცხენოსანთა და სულ უკან აქლემებზე მჯდომი მსროლელთა ხაზი. ეს აქლემებზე მჯდომი მსროლელნი ევროპიულ წყობის ერთგვარ შევსებას წარმოადგენენ ადგილობრივ განსაკუთრებულ საშუალებებით.

ასე მოწყობილ ჯარის ცეცხლმა, როგორც სჩანს, პირველად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ ჯარზე, მაგრამ უკანასკნელნი ბოლოს მაინც მძლავრად უტევენ მოწინააღმდეგეს, იმარჯვებენ კიდევაც და იპყრობენ მტრის ბანაკს. ქართულ ჯარის ერთი ნაწილი დავლის შეკრეფვასაც კი უდგება. ამ დროს ქართველთ ზურგში ჩნდება სპარსელების ერთი რაზმი (თავრიზელთა), რომელიც ამარცხებს და სპობს ქართველთა უკანა რაზმს და რაზმის უფროს თეიმურაზ მუხრანბატონის მოკვლა პანიკის დასაწყისად იქცევა. ამით თავდება მიზანშეწონილი მოსაზრებით წარმოებული ბრძოლა და იწყება მხოლოდ აბნეულ პიროვნებათა კონვულსიური აგონია სიცოცხლის შესარჩენად, ან მის, შეძლების დაგვარად, ძვირად გაყიდვი-

---

*) აი ამ სიძნელეთა კრებული, რომელთა გადალახვაც უხდება „მხედრის" რედაქციას საქართველოს უკანასკნელი ომის შესწავლის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის. ამას, მიუხედავად ბევრ მეომართა რაინდობისა, ბრძოლის ბედისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

რა გეგმით აწარმოებენ ამ ბრძოლას სპარსელები? საიდან აქვთ მათ მოგერიების ევროპიული წყება და რა ღირსებისაა ეს წყება?

როგორც სჩანს, სპარსელთა სარდლობა კარგად იცნობდა ქართველთა ჩვეულებას და საერთო მდგომარეობას. სპარსელები დარწმუნებული არიან, რომ ქართველები უეჭველად პირველნი ეძგერებიან მათ და დაესხმიან თავზე. ეს, ერთი მხრივ, თვით ქართველების ბუნებრივი თვისებაა; მეორეს მხრივ, ალბად სპარსელებმა კარგად იციან, რომ „საქართველოს შეყრილისა ყოვნა არ არს სამართალი", (ე. ი. საქართველო ვერ შესძლებს მოგროვებულ დიდი ჯარის ხანგრძლივად გაჩერებას. აქ არ არის დასავიწყარი 1920 წლის შემოდგომის მაგალითი, რუსეთის მიერ სამხედრო მოქმედებათა დაწყების დროის შერჩევისა). ამისათვის სპარსელების სარდლობა ემზადება ბრძოლის მოგერიებითი სახით გატარებისათვის. ძლიერ საინტერესოა, როგორ ესმის სპარსეთის სარდლობას ეს მოგერიებითი სახე ბრძოლისა. როგორცა სჩანს, სპარსელთა ჯარი ორ ნაწილად იყო დაწყობილი. ერთი დიდი ნაწილი აწარმოებს მოგერიებას და ამ მოგერიებითი ბრძოლით ჰკრავს ქართველების მთელ ძალას. ამ მოგერიებას სპარსელები აწარმოებენ ევროპიული წესით. მაგრამ მათ სარდლობას არა სწამს მხოლოდ მარტო მოგერიება; მას სურს ბრძოლის და თვით ომის ბედის გადაწყვეტაც; ამისათვის მას გამზადებული ჰყავს სამანევრო ნაწილი. ალბად ცხენოსანი, რომელიც მოულოდნელად გაჩნდება მოწინააღმდეგის ზურგში. მაშინ როდესაც მთელი მისი ჯარი სულ მთლიანად ჩაებმება ბრძოლაში სპარსთა გამაგრებულ ბანაკის ასაღებად და თავისუფალი მაშველი აღარ ეყოლება. ეს უკვე აზიური მანევრი გახლავს და ცხადჰყოფს სპრსეთის სარდლობის შეუდარებლივ მაღალ დონეს მაშინდელ ევროპის სარდლობის ღირსებასთან შედარებით.

როგორ აწარმოებდა ბრძოლას ევროპის იმ-დროინდელი სარდლობა? იგი ბრძოლის მთელ სიმძიმეს მხოლოდ ცეცხლის ძალაზე ამყარებდა. ეს მაშინ, როდესაც ეს ცეცხლის იარაღი ძლიერ მარტივი და სუსტი იყო. აი ამ ცეცხლის გამოყენებისათვის ევროპის სარდლობა ყველაფერზე იღებს ხელს: მას არც ცხენოსანი ნაწილების ჭენებითი იერიში სწამდა და არც საერთოდ მანევრი (ხერხი). ორი მებრძოლი მხარე ეწყობოდა მუდამ ერთი მეორეს წინ, რომ ცეცხლი განუწყვეტლივ ეწარმოებინათ, ერთეულები ეწყობოდენ ძლიერ ღრმად, ათ რამოდენიმე მწკრივად ერთი მეორის უკან. პირველი

მწკრივი სცლიდა თოფს და გარბოდა უკან, რომ თვითონ გაეტენა თოფი, ხოლო შემდეგ მწკრივისათვის მიეცა საშუალება თოფის გასროლისა. ცეცხლი — ეს ის არითმეტიკული ელემენტი იყო ბრძოლისა, რომლის გათვლაც წინ და წინვე შეიძლებოდა.

დღეს, როდესაც ცეცხლის მძვინვარების საშუალებებმა თავისი სიძლიერე პირდაპირ კულმინაციურ სიმაღლემდე მიიყვანეს, მაინც ურყეველ სიცხადით სჩანს, რომ ცეცხლი — ეს მხოლოდ ბრძოლის ერთი ნაწილია. მეორე ნაწილი ეს მოძრაობაა, ეს მანევრია. დღესაც არ შეგვიძლია, რომ ცეცხლს გამონაკლისი უპირატესობა მივანიჭოთ. პირიქით: დაახლოვებით ყველგან ტეხნიკა თანაბარ სიმაღლეზე სდგას, და იქ, სადაც ბრძოლის უსულო ნაწილი თანაბარ ღირსების იარაღს შეხვდება, იქ ბრძოლის ბედს მუდამ მხოლოდ ამ ბრძოლის სულიერი ელემენტი გადასწყვეტს — ეს მანევრია და მოძრაობაა. მანევრი კი ეს სარდალია, მისი პირადი ღირსებაა, ეს პირდაპირ მისი ფოტოგრაფიული სურათია. ევროპის სარდლობას ის მემკვიდრეობითი სენი სჭირდა, რომ მას არასდროს არ სურდა ბრძოლის ბედის ისეთ არა მათემატიკურად გაუთვალისწინებელ ელემენტზე დამყარება, როგორც ეს სარდლის ღირსება არის. აი ამისათვის იგი ბრძოლის მთელ სიმძიმეს მხოლოდ შუბლიდან წარმოებულ ცეცხლის ძალაზე ამყარებდა.

სპარსთა სარდლობას არ აკმაყოფილებს ასეთი სახით წარმოებული ბრძოლა. ამ წესით იგი აწარმოებს მარტო მოგერიებას და იმასაც მხოლოდ იმდენად, რომ შუბლიდან ბრძოლით შეჰკრას ქართველების ლაშქარი. ბრძოლის ბედს კი სწყვეტს სამანევროდ გამზადებული თავრიზელთა ნაწილი, რომელიც ზურგიდან ეკვეთება თითქმის უკვე გამარჯვებულ ქართველებს. ყველა ეს ერთად აღებული საუცხოვო შეზავებაა პატარა ფრაგმენტებით გამოყენებულ მაშინდელ მოგერიების ევროპიულ ტაქტიკურ წყების და აზიურ სტილის მანევრისა. მთლიანად ეს აზიური სტილის მოძრავ ბრძოლას წარმოადგენს, რომლის სტილიც დიდი განზომვით ევროპის სარდლებს შორის პირველად ნაპოლეონმა განახორციელა. საიდან იცნობენ სპარსელები ამ წყებას? აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ შახ აბაზი რამოდენიმე ომს აწარმოებდა ინდოეთში პორტუგალელებთან და ამ ომებში მას ეხმარებოდა თავის ინსტრუქტორებით ინგლისი, რომელიც უკვე გამოსული იყო მსოფლო სარბიელზე და დიდ მეტოქეობას აწარმოებდა ისპანელებთან და პორტუგალელებთან.

რა ხარისხი გამოიჩინა ევროპიულ წყობამ ქართველებთან ბრძოლაში? მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი: ბოლოს, როგორც სჩანს, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მძლავრი გამოჩნდა. ალბად ვერ გაუძლო ქართველთა „გაქცეულ“ ე. ი. სირბილით წარმოებულ იერიშებს. რასაკვირველია, ცხენოსანი ჯარიც იერიშებს მხოლოდ ჭენებით მიიტანდა. (როგორცა სჩანს თვით გამაგრებული ბანაკი საერთო წყების ნაწილი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჯარის უმეტესი ნაწილი ველზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი). ეს წყება მოგერიების იმდენად სუსტი გამოდგა, რომ მან ვერ გაუძლო ქართველების შეტევას იმდენ ხანს მაინც, რომ სპარსელების ნაწილს, რომელიც ქართველებს ზურგიდან უვლიდა, თავის ეფექტი მოეხდინა. სანამ ეს შემომვლელი ნაწილი თავის შთაბეჭდილებითი შედეგს მიაღწევდა, ქართველებმა უკვე აიღეს სპარსელების ბანაკი. ეს ზურგიდან შემომვლელი ნაწილი არც ისე ძლიერი უნდა ყოფილიყო, ზურგში გამოსვლით მას სრულიად უნდა მოესპო ქართველთ ლაშქარი. მან ქართველების დევნაც კი ვერ მოახერხა და ვერ შესძლო გამარჯვების ტაქტიკურ შედეგების სრული გამოყენება და მოწურვა. როგორც ლექსის შინაარსიდან სჩანს, ქართველთ ლაშქარს, დიდი ზარალით დაუხევია, მაგრამ მაინც მოუხერხებია ბრძოლის ველის კრებულით დატოვება და თითქმის წყების შერჩენაც: „აწ უყურე ქსანზედ მოსულთ. თუცა რაზომ გარდავლინა“. ამას სხვა წყაროებიც აღნიშნავენ.

ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში მოყვანილი იყო ვარიანტი, ვითომც ქართველ-სპარსთა ბრძოლის დროს შემთხვევით, ამ წუთებში ბრძოლის ველზე გამოსულიყოს სპარსეთიდან მომავალი ახალი დამოუკიდებელი ლაშქარი, შემოევლოს ფრთიდან და ბრძოლა მას მოეგოს. კი, ასეთი მოვლენა ისტორიას რაიმოდენიმე ახსოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს შეუძლებლად გამოიყურება და ეს შემდეგი მოსაზრებებით:

1. სპარსელების ახალი ლაშქარი რომ მოსულიყო, იგი უშუალოდ დაეხმარებოდა სპარსთა სულთ-მობრძავ ბანაკს და მონაწილეობას იმავე ბრძოლის ველზე მიიღებდა. ქართველების შემოვლას ასეთი დიდი სიღრმით არ დაიწყებდა. ქართველები კი თავიდანვე დაინახავდენ ამ ახალ ლაშქრის ბრძოლის ველზე გამოსვლას, რის გამოც. მიუხედავად მტრის სიმრავლისა, მაინც ეფექტი ნაკლები იქნებოდა. და მტრის ახალ ნაწილის მოსვლას ქართველები მხოლოდ მთელი უკანა სპის მოსპობით არ იგრძნობდენ.

2. ეს ახალი დამოუკიდებელი ლაშქარი იმდენად ძლიერი იქნებოდა, რომ ქართველები ბრძოლის ველს კრებულად ვეღარ დასტოვებდენ და მთელი ლაშქარი ბრძოლის ველზევე იქნებოდა მოსპობილი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბრძოლის სურათიდან სჩანს, რომ ზურგიდან შემომვლელი ნაწილი არც ისე ძლიერი იყო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი ბრძოლის ველზე მდგომ ჯარის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენდა, რომ მისი მანევრი დაიწყო საერთო ბრძოლასთან ერთად ან კიდევ უფრო ადრეც და, რომ იგი მართული იყო ერთ, საერთო უფროსის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება მაშინდელ მოკლე დროს წარმოებულ ბრძოლაში.

დავუბრუნდეთ ერთხელ კიდევ ქართველების ბანაკს და გადავავლოთ თვალი მის მთლიან სურათს.

ვინ იყო ბრძოლის პასუხისმგებელი სარდალი? არა სჩანს. მართალი უნდა იყოს ის ვარიანტი, რომ დიდმა მოურავმა ბრძოლის სარდლობა მხოლოდ მის გათავებისას მიიღო. რომ მას მთავარ სარდლად არავინ არ გულისხმობდა, ეს სჩანს იქიდანაც, რომ თათბირზე მან თავისი აზრი ძლიერ მორცხვად გამოსთქვა, შემდეგ ეს აზრი სხვებმა ძლიერ ადვილად გააბათილეს. როგორც სჩანს, საakaძე მართლა კარგად იცნობდა სპარსეთის სარდლობის მოქმედების დებულებებს და როგორც მაღალხარისხოვან სარდალს, მას მოწინააღმდეგის დამარცხება მისი საკუთარი ხერხითვე სურდა. ბოლოს და ბოლოს სპარსელებმა ბრძოლა თითქმის სულ საakaძის გეგმის თანახმად გაითამაშეს. ქართველებმა, რიცხვობრივ სუსტ მხარემ, ასეთი მთავარი უპირატესობანი, როგორც რიცხვის სრული გამოყენება და მოქმედების მოულოდნელობა თავიდანვე ძლიერ მოუსაზრებლივ შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. გიორგი საakaძე რომ ყოფილიყო მთავარსარდალი, როგორც ეს მის სურვილიდან სჩანდა, ამ წარმატებებს არ გაუშვებდა ხელიდან. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ საakaძე თავიდანვე უბრალო ჯარისკაცის დანიშნულებისათვის ემზადება და ბრძოლის მართველობაზე არა ფიქრობს. კი, იმ დროს მთავარსარდალს შეეძლო ბრძოლაში პირად მონაწილეობის მიღება. მეფე ერეკლემ აზატ ხანთან ბრძოლის დროს და შემდეგ ასპინძის ბრძოლაში თვითონ მოჰკლა აზატ ხანი და კოხტა ბელადი. მაგრამ ეს ხდებოდა ბრძოლის კრიზისის შემდეგ, როდესაც ბრძოლის გადასატეხად და მის გასათავებლად მთავარსარდალს უკანასკნელი იერიში მიჰქონდა. აქ მას შეეძლო პირადი მონაწილეობა მიეღო, ეს საჭიროც იყო, რომ ყოველ მხრივ, როგორც რიცხვით, ისე მორალური ანთებით ძლიერი ყოფილიყო ეს უკანასკნელი კვეთება. ქართველი მეფეები, როგორც ისეთი სარდლები, რომელთაც მუდამ პატარა ჯარი ჰყავდათ, აი ამ კვეთების გასაძრიელებლად პირად არსებას აგდებდენ სასწორზე. აქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დაიბადა ტრადიცია ჩვენი სარდლების პირადი ბრძოლისა, რომელმაც ვახტანგ გორგასლანიდან ერეკლე მეფემდე მოაღწია, ე. ი. გასტანა იქამდე, სანამ ეს ტეხნიკურად შესაძლებელი იყო. დღევანდელი სარდალი ამ ფუფუნებას უკვე მოკლებულია.

დავუბრუნდეთ გიორგი სააკაძეს. იგი ემზადება არა შემთხვევითი ბრძოლისათვის, არამედ მთელი ბრძოლის განმავლობაში უბრალო მეომარის როლისათვის. არ იხურავს მუზარადს, რომ სპარსელებმა ადვილად იცნონ და ამით დასცეს ზარი.

აქ ხაზი უნდა გავუსვათ სარდლის შერჩევის დებულებას. რა გააკეთა სააკაძემ, როგორც უბრალო მებრძოლმა. ათი სპარსელი მეტი მოჰკლა თუ ნაკლები, ამას ბრძოლის ბედისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, როგორც მთავარსარდალს, როგორც ბრძოლის მსვლელობა გვიჩვენებს, მას თითქმის ნამდვილად შეეძლო ბრძოლის მოგება და საქართველოს სამუდამოდ განთავისუფლება. ამავე დროს სხვა სულ უბრალო მებრძოლს წალდით ხელში, იქნებ სააკაძეზე შეუდარებლივ მეტიც დაეხოცა სპარსელები. ბრძოლის და ომის ბედი უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, რომ ყველა საფეხურის სარდლობა სათანადო პიროვნებათა ხელში იმყოფებოდეს. სარდლობის ასეთი შერჩევა ძლიერ ძნელი საქმეა. ამის ყველაზე კარგ მაგალითს ნაპოლეონის სარდლობა იძლევა.

ნაპოლეონი, როგორც უბრალო ჯარისკაცი, როგორც დაბალი და სუსტი აგებულობის, იმ დროს მაინც და მაინც დიდ ღირებულებას ვერ გამოიჩენდა, როგორც ბრიგადის ან დივიზიის უფროსი იქნებოდა საშუალო, ან ცოტა უკეთესი და თავისი პირადი ღირსებით ვერც ერთი ბრძოლის ბედს ვერ გადასწყვეტდა. მაგრამ, როგორც დამოუკიდებელი ბრძოლის მწარმოებელმა და მთავარსარდალმა მთელ ევროპას თავზე შიშის ზარი დასცა. მისი მარშლების უმეტესი ნაწილი, რომლებისაც ერთ დროს ევროპას ეშინოდა, როგორც სარდლები საუცხოვონი იყვნენ, მაგრამ, როგორც მომქმედნი პირად გამბედაობის საფეხურზე კარგ მთავარსარდლის ხელ-ქვეით (ე. ი. როგორც მეორე ხარისხოვანი სარდლები). ამ მარშლების უმრავლესობა, როგორც: ნეი, სულტი, ლანე, მაკდონალდი, ბერტიერი, მურატი, როგორც დამოუკიდებელი ბრძოლის სარდლები არ იყვნენ ძლიერი, აშკარად სუსტობდენ და მათი როლი თავდებოდა იქ, სადაც იწყებოდა დამოუკიდებელი სარდლის მოვალეობა. ამ მხრივ, ჩამოთვლილ მარშლებზე შეუდარებლივ მაღლა იდგენ, როგორც დამოუკიდებელი ბრძოლის სარდლები, მათ მიერ ამდენჯერ უწაყლოდ დამარცხებულნი: ბლუხერი, დიდი მთავარი კარლოსი, შვარცენბერგი და სხვა. ნაპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონის სასახელო მარშლების მთელ კრებულიდან სულ მხოლოდ ორმა პირმა აიწია მთავარსარდლის საფეხურამდე. აი ერთი ხაზი სარდლობის თვისებისაც. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ მხრივ საუცხოოდ იყო შერჩეული ნაპოლეონის სარდლობა*), ხოლო ამის იდეალურ წინაუკმო სურათს მარაბდის ბრძოლის ქართული სარდლობა წარმოადგენს. ეს აშკარად სჩანს თათბირზე, როდესაც ნამდვილი სარდლის ღირსების პიროვნების აზრი ვერ ესმით დაბალი ხარისხის შემსრულებლებს და მის გეგმას, თავიანთი აზრით, ძლიერ იოლად აბათილებენ. ამის შემდეგ მათ ბევრი ცდა აღარ დასჭირდათ ამ მოვლენის დამღუპველ, მაგრამ ბუნებრივ შედეგისათვის.

დღეს სარდლობის თვისებებს ერთი ჩვენი დროის განსაკუთრებული მოთხოვნილება დაემატა. მეცხრამეტე საუკუნის შუამდე მთავარსარდალის უშუალო ხელქვეითებამდე პირადი ვაჟკაცობა იყო საკმარისი. დღეს ბრძოლის ველზე პირადი ვაჟკაცობა უკვე თითქმის ათასეულის უფროსის საფეხურზე თავდება და აქედან ზევით უკვე სულ სხვა სახის გამბედაობაა საჭირო. ეს სამოქალაქო გამბედაობა და პასუხისგების თავის თავზე მთელის სიდინჯით და შეგნებით აღებაა. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ეს გამბედაობა უფრო ძნელი და იშვიათი ყოფილა, ვიდრე ძველი სიკვდილის შეუპოვრობის ვაჟკაცობა.

დასასრულ, კიდევ ერთ გარემოებას სჭირია ხაზის გასმა: წინა წერილში უკვე იყო აღნიშნული, რომ ძალთა განწყობილება არ იყო უიმედოდ და მოწინააღმდეგეთა რიცხოვნობაში არ იყო დიდი განსხვავება. ლექსიდან სჩანს, რომ ბრძოლაში დახოცილ იქმნენ 14.000 სპარსელი და 9.900 ქართველი (დაახლოვებით 10.000). ეს ცნობები დაახლოვებით ეთანხმებიან ამ ბრძოლის ყველა სტატისტიკურ ცნობებს. ვხედავთ, რომ გამარჯვებულთ უფრო მეტი ზარალი აქვთ, ვიდრე დამარცხებულთ და ეს იმ დროს, როდესაც ბრძოლა ხელჩართვის მანძილზე სწარმოებდა, როდესაც დახოცილთა პროცენტი უფრო მეტი იყო ხოლმე, ვიდრე ახლანდელ ბრძოლებში და, როდესაც დამარცხებულის დევნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე დღეს. ეს გარემოება კიდევ ერთი ზედმეტი მაჩვენებელია იმის, რომ შემომვლელი ნაწილი ძლიერ პატარა იყო, რომ მას სრულებით ვერ შეეძლო გა-

---

*) ნაპოლეონმა ამ დებულებას პირველად უღალატა 1812 წ., როდესაც სარდლობა დინასტიური თვალსაზრისით დანიშნა, ე. ი. ძმები და სიძე. შედეგი ცნობილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვების სრული ტაქტიკური გამოყენება და მან ვერ შესძლო, არამც თუ ქართველების ჯარის ბრძოლის ველზედვე მოსპობა, არამედ რიგიანი დევნაც კი. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ ქართველები ამ ბრძოლას უსარდლოდ აწარმოებდენ და ბუნების წესით, მის კოლექტიურ ხელმძღვანელობას, კრიტიკულ მომენტში დააკლდა საპასუხისმგებლო გარდაწყვეტილების მბრძანებელი პიროვნება და ამის სისრულეში მომყვანი სარდალი. აქ ამ წუთებში ვერავითარი თათბირი ვერ შეიკრიბებოდა ახალი მდგომარეობის საშველ რეცეპტის მოსანახავად. — აქ პიროვნება იყო საჭირო.

რაც შეეხება ზარალის განზომვას, უმეტეს შემთხვევებში ბრძოლის გათავების წუთებში ორთავე მებრძოლ მხარეს თანაბარი ზარალი აქვთ ხოლმე დაჭრილ - დახოცილთა პროცენტულ და უშუალო აღრიცხვითაც; ძლიერ ხშირად გამარჯვებულ მხარეს უფრო მეტი ზარალი აქვს ხოლმე. მაგალითად, კრწანისის ბრძოლის დროს, რომლის გაგრძელებაც მეორე დღეს ქართველებისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო, სპარსელების ზარალი ქართველთა ზარალს, დაახლოებით ოთხ-ხუთჯერ აღემატებოდა. მაგრამ, როდესაც ერთ - ერთი მხარის სარდალი თავს დამარცხებულად იგრძნობს და ბრძოლის ველიდან დაიძვრება. აი ამ წუთიდან, მოწინააღმდეგის დევნის დროს იმკის გამარჯვებული თავის უპირატესობის ნაყოფს. ამ დევნით აყენებს იგი მოწინააღმდეგეს უმეტეს ზარალს და თუ ღირსეულად იქმნა ხელ მძღვანილი, სპობს კიდევაც მას. აი ამ დევნის დროს არის საჭირო ჯარის და სარდლის უდიდეს ენერგიის და გამძლეობის გამოჩენა. ვხედავთ, რომ ასეთი მოქმედება სრულიად აღემატებოდა მარაბდის ბრძოლის სპარსელთა ჯარის შემძლებლობას. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მაშინ, როდესაც ქართველებმა დაამარცხეს თავის შეტევით სპარსელების ჯარის მთავარი ნაწილი, ბრძოლის ბედი სრულიად გადაატრიალა, შედარებით სუსტ ნაწილის ზურგში გამოსვლის ეფექტმა.

რა გამოცდილება გამომდინარეობს ჩვენთვის ამ ბრძოლის გარშემო წარმოებული მუშაობიდან.

1. სახელმწიფოს აუცილებლივ უნდა მოეპოვებოდეს მარტივი, გარკვეული და ურყევი წესი სარდლობის მოწყობისა, რომელიც გარკვევით უნდა აყალიბებდეს ბრძოლის და ომის წარმოების პასუხისმგებელ პიროვნებას. ხოლო ვისაც ეს პასუხისგება აწვება კისერზე, მას უნდა მიეცეს სრული უფლება ამ საქმის წინდაწინვე მომზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების და ამისათვის მთელ სახელმწიფოს ყოველ გვარ საშუალებების გამოყენებისა.

2. სახელმწიფოს უნდა მოეპოვებოდეს ზუსტი წესი სარდლობის შერჩევისა. ეს ძლიერ ძნელი საკითხია და ამის უტყუარ და სრულიად დამაკმაყოფილებელ საშუალებას ვერ იძლევა ვერც მხედრების უფროსობით და ვერც ამორჩევითი წარჩინება.

3. საჭიროა მთელი ერის და მხედრობის ისეთი მჭიდრო თანამუშაობა, რომ მთელი ერი იცნობდეს თავის სარდლობას და ჰქონდეს მისი ისეთი ნდობა, რომ გაჭირვების წუთებში სახელმწიფო ნერვიულობამ არ გაიტაცოს. თუ ერმა ვერ მოახერხა ისეთი მხედრობის აღზრდა, რომ მას დინჯი გულით ენდობოდეს, ეს უკვე თვით ერის ნაკლულოვანებაა და არა მისი მხედრობისა. აი ამ მიზნით მივმართავთ ხოლმე ქართულ საზოგადოებას, რომ მან მჭიდრო თანამუშაობა აწარმოოს ხოლმე თავის მხედრობასთან.

აქ მოსჩანს კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება საქართველოს მომავალ სარდლობისა. ავიღოთ მაგალითად გერმანელთა შვიდი ლაშქარი, რომელნიც 1914 წელს დასავლეთის ფრონტზე იბრძოდენ. თითქმის ყველა მათგანი უფრო დიდი იყო, ვიდრე ის ჯარი, რომელსაც საქართველო გამოიყვანს ომის დროს. მაგრამ, მაშინ, როდესაც გერმანელთა ამ დიდ ლაშქრების უფროსნი ფრონტის უფროსებიც კი არ იყვნენ და ჯარის მერვედ ნაწილის მეორე ხარისხის საფეხურის სარდლებს წარმოადგენდენ, ჩვენი, ამ ლაშქრებზე უფრო პატარა ჯარის უფროსი, სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი იქნება. ეს უკვე ძლიერ დიდი განსხვავებაა და სულ სხვაგვარ მოვალეობებს აკისრებს ჩვენ სარდლობას. გარდა ამისა, დიდ სახელმწიფოს მრავალ მილიონიან ჯარში დივიზიის, კორპუსის და ხშირად ამაზე დიდი ერთეულის უფროსიც კი, თავისი მუშაობის საფეხურით ჯერ კიდევ არ ეხება საერთო სახელმწიფოებრივ ვითარებას. ჩვენში კი, ათასეულის უფროსის ზევით, ყველა ოფიცერი უკვე სახელმწიფოებრივ კატეგორიებით უნდა აზროვნებდეს. ყველა ეს მოითხოვს ერთ საგანს: მხედრობის სათანადო განათლებას და მომზადებას ჯერ ისევ მშიდობიან დროში. ეს განათლება უნდა იყოს ღრმა, დამყარებული მკვიდრ ნიადაგზე და მტკიცე უსახელო მუშაობის უნარიან ხასიათზე. აქ არ შეიძლება ფონის, ჩვენში ჩვეულებრივ, ზერელა მჭექარე ეფექტებით გასვლა. მხედრობას ისეთი მკაცრი სახით უყენებს ცხოვრება გამოცდას, რომ თუ მისი მომზადება მოკლებულია სერიოზულ ნიადაგს, მისი ერი უბედურებას ვერ ასცდება. სათანადო მხედრობის გამომუშავება კი, ეს მთელი ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების და ამისათვის მთელ სახელმწიფოს ყოველ გვარ საშუალებების გამოყენებისა.

2. სახელმწიფოს უნდა მოეპოვებოდეს ზუსტი წესი სარდლობის შერჩევისა. ეს ძლიერ ძნელი საკითხია და ამის უტყუარ და სრულიად დამაკმაყოფილებელ საშუალებას ვერ იძლევა ვერც მხედრების უფროსობით და ვერც ამორჩევითი წარჩინება.

3. საჭიროა მთელი ერის და მხედრობის ისეთი მჭიდრო თანამუშაობა, რომ მთელი ერი იცნობდეს თავის სარდლობას და ჰქონდეს მისი ისეთი ნდობა, რომ გაჭირვების წუთებში სახელმწიფო ნერვიულობამ არ გაიტაცოს. თუ ერმა ვერ მოახერხა ისეთი მხედრობის აღზრდა, რომ მას დინჯი გულით ენდობოდეს, ეს უკვე თვით ერის ნაკლულოვანებაა და არა მისი მხედრობისა. აი ამ მიზნით მივმართავთ ხოლმე ქართულ საზოგადოებას, რომ მან მჭიდრო თანამუშაობა აწარმოოს ხოლმე თავის მხედრობასთან.

აქ მოსჩანს კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება საქართველოს მომავალ სარდლობისა. ავიღოთ მაგალითად გერმანელთა შვიდი ლაშქარი, რომელნიც 1914 წელს დასავლეთის ფრონტზე იბრძოდენ. თითქმის ყველა მათგანი უფრო დიდი იყო, ვიდრე ის ჯარი, რომელსაც საქართველო გამოიყვანს ომის დროს. მაგრამ, მაშინ, როდესაც გერმანელთა ამ დიდ ლაშქრების უფროსნი ფრონტის უფროსებიც კი არ იყვნენ და ჯარის მერვედ ნაწილის მეორე ხარისხის საფეხურის სარდლებს წარმოადგენდენ, ჩვენი, ამ ლაშქრებზე უფრო პატარა ჯარის უფროსი, სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი იქნება. ეს უკვე ძლიერ დიდი განსხვავებაა და სულ სხვაგვარ მოვალეობებს აკისრებს ჩვენ სარდლობას. გარდა ამისა, დიდ სახელმწიფოს მრავალ მილიონიან ჯარში დივიზიის, კორპუსის და ხშირად ამაზე დიდი ერთეულის უფროსიც კი, თავისი მუშაობის საფეხურით ჯერ კიდევ არ ეხება საერთო სახელმწიფოებრივ ვითარებას. ჩვენში კი, ათასეულის უფროსის ზევით, ყველა ოფიცერი უკვე სახელმწიფოებრივ კატეგორიებით უნდა აზროვნებდეს. ყველა ეს მოითხოვს ერთ საგანს: მხედრობის სათანადო განათლებას და მომზადებას ჯერ ისევ მშიდობიან დროში. ეს განათლება უნდა იყოს ღრმა, დამყარებული მკვიდრ ნიადაგზე და მტკიცე უსახელო მუშაობის უნარიან ხასიათზე. აქ არ შეიძლება ფონის, ჩვენში ჩვეულებრივ, ზერელა მჭექარე ეფექტებით გასვლა. მხედრობას ისეთი მკაცრი სახით უყენებს ცხოვრება გამოცდას, რომ თუ მისი მომზადება მოკლებულია სერიოზულ ნიადაგს, მისი ერი უბედურებას ვერ ასცდება. სათანადო მხედრობის გამომუშავება კი, ეს მთელი ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ორგანიზაციაც სოციალურ და სამოქალაქო ცხოვრების განვითარებასთან ერთად განიცდის ევოლუციას.

ქართული სამხედრო წყობის განვითარებისათვის ეს ხანა ფრიად საინტერესოა, რათგან თვით პოლიტიკური ძლიერება, რომელიც იყო შედეგი შიგნით ეროვნული გაერთიანებისა და გარეშე მტერთაგან სამუდამო განთავისუფლებისა, ქართველთა ძლევამოსილი ხმლით იქმნა მოპოებული. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში, როდესაც საქართველოს მიწაზე 60—100 ათასი ჯარისკაცი სიატემატიურ ვარჯიშობაში იყო, იქ გარკვეული სამხედრო წყობის ფორმები შექმნილიყვენ. არ შეიძლება, ამ დროს სამხედრო საქმეთა მაღალი შემეცნება არ განვითარებულიყო. რა ვუყოთ, რომ ყველა ის, მაშინ არ იწერებოდა, ისე როგორც დღეს; ან და თუ რამე დაიწერა, ჩვენამდე ვერ მოაღწია. ხოლო დიდ ქართველ სარდალთა გადახდილ ბრძოლებში, ნიჭიერი მხედარი უთუოდ ამოიკითხავს მათ მაღალ სამხედრო ხელოვნებას.

ვინც ჩვენს ქრონიკებში ძუნწად შემონახულ ბრძოლათა ნიმუშებს თვალს გადაავლებს და მათ შეადარებს დიდ მსოფლიო მხედართა: დარიუსის, ალექსანდრე მაკედონელის, თემურ ლენგის, ნაპოლეონის და სხვათა ბრძოლებს, დარწმუნდება ქართველი მხედრობის დიდ ოსტატობაში. ქართველები ამასთანავე მარტო ცოდნითა და გამოცდილებით კი არ იყვენ დიდი სტრატეგნი, არამედ ეს მათ სტიქიაშიც იყო, და ამას მათი ისეთი მოწინააღმდეგენი, როგორც სპარსელები და მონღოლები, ღირსეულადაც აფასებდენ.

მეთორმეტე საუკუნის საქართველომ თუ პოლიტიკურად გაერთიანებული ფეოდალური მონარქია შექმნა და განავითარა მაღალი ეროვნული კულტურა, ქართულ ინდივიდუალურ სამხედრო გენიასაც გარკვეული ორგანიზაციული სახე მისცა და სახელმწიფოს უმაღლეს ადმინისტრატიულ სისტემაში თავისი ადგილი განუკუთვნა.

დღეს დღეობით ძნელია ამ ორგანიზაციის სრული სურათის აღდგენა. მომავალში კი ჩვენი ისტორიის ცოდნით აღჭურვილი ქართველი მხედრობა ალბად შესძლებს მის ღირსეულ შესწავლას.

1. სამხედრო ადმინისტრაცია.

ამირსპასალარი. სამხედრო ადმინისტრაციის სათავეში სდგას სამხედრო მინისტრი ანუ ამირსპასალარი (შესდგება არაბ-სპარსული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვებისაგან და ნიშნავს მხედართ - მთავარს)*) ამირსპასალარის კომპეტენციაზედ ფართოდ უნდა შევჩერდეთ, რათგან იმ დროის მინისტრთა შორის კომპეტენციათა განაწილება ის არ იყო, რაც დღეს.

გარდა ამისა მისი ფართოდ გაცნობა წარმოდგენას მოგვცემს სამხედრო უწყების როლზედ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში.

თამარის გამეფების პირველ ხანებში მთავრობა ოთხი ვაზირისაგან შესდგებოდა. მერე მან ეს რიცხვი გაზარდა ექვსამდე. ექვსი წევრისაგან შემდგარი სამინისტრო იყოფოდა ორად. პირველ კატეგორიაში შედიოდენ: მწიგნობართ უხუცესი (პირველი მინისტრი). ათაბაგი (სახელმწიფო მოხელეთა მინისტრი). ამირსპასალარი (სამხ. მინისტრი) და მანდატურთ უხუცესი (შინაგან საქ. მინისტრი). მეორე კათეგორიაში იყვენ: მეჭურჭლეთ უხუცესი (ფინანსთა მინისტრი) დ სახლთ უხუცესი (კარის მინისტრი). ვაზირთა პირველი კატეგორია პრივილეგიებით სარგებლობდა. მეორე კათეგორიის ორი მინისტრი, რუსუდანის მეფობამდე, მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიან წევრებად არც კი ითვლებოდენ. აქედან სჩანს, რომ **ამირსპასალარი შედის პრივილეგიურ მინისტრთა კათეგორიაში**. ქვემოდ კი ჩვენ ვნახავთ, რომ მეორე წყების მინისტრთა უფლებამდე აყვანილი იყო ამირსპასალარის თანაშემწე ამირახორი.

ამირსპასალარის ფუნქცია ჩნდება საქართველოს გაერთიანების დროს, რაც სრულიად ბუნებრივი იყო. როგორც აღვნიშნეთ, მის ძირითად ფუნქციას სამხედრო მინისტრის უფლებები შეადგენდენ. (აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი განმარტება მთლიანად არ უდგება ძველ მაგ. ფუნქციებს, რათგან მაშინ ფუნქციათა განაწილება ცოტა განსხვავებული იყო. მაგ. დღევანდელი თვალსაზრისით, ზოგიერთი სამხედრო ფუნქციები მაშინ სხვა მინისტრთა კომპეტენციაში შედიოდენ და პირიქით. ასე რომ, როდესაც ფუნქციათა დღევანდელ სახელებს მივაკუთვნებთ მაშინდელ თანამდებობათ, ეს მხოლოდ მიახლოვებითი განმსაზღვრელია). დავითის და გიორგის შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ამირსპასალარი იღებს მთავარსარდლის უფლებასაც. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ჯარს ყოველთვის მეფეები

---

*) არაბების უწინ იხმარებოდა მხოლოდ სპარსული სიტყვა „სპასპეტი". შემდეგ საუკუნეებში კი ახალთან ერთად ძველი ტერმინიც რჩება ხმარებაში. მაგ. ყველა ძველ ტექსტებსა და ვეფხისტყაოსანშიაც ორივე ტერმინი ერთი და იგივე ცნების აღსანიშნავად იხმარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარსარდლობდენ; მაშასადამე, სანამ ქალი გამეფდებოდა, ამ ფუნქციას მეფეები ატარებდენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეფე ომში არ გავიდოდა, მაშინ აუცილებლად ამირსპასალარი მთავარსარდლობდა. ხოლო მეფესთან ის ითვლებოდა მთავარსარდლის მოადგილედ. მაგ. ბოლოსტიკის ბრძოლაში მთავარსარდლობდა დავით სოსლანი, ხოლო ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი სარდლობდა მოწინავე ჯარს. თამარის დროს სპარსეთზედ ლაშქრობის დროს და რუსუდანის ჯალალ ედინთან და მერე მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლებში კი ქართველ ჯარებს ამირსპასალარები მთავარსარდლობდენ. ეს იყო ომის დროს. მშვიდობიანობის დროს კი ამირსპასალარი ჯარის წრთვნასა და მოწყობას ემსახურებოდა. მაგ. ვეფხის ტყაოსნითგანაც ვიცით, რომ ავთანდილი, როგორც სპასპეტი ანუ ამირსპასალარი გაპარვის წინ თავის თანაშემწეს შერმადინს უბარებს: **"ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი ჰპატრონობდი"-ო (155)*).**

მაშ ამისპასალარი იყო ჯერ სამხედრო მინისტრი და მერე მთავარსარდალიც. თამარის დავით სოსლანზედ ჯვარის დაწერის შემდეგ მთავარსარდლის უფლებას მექანიკურად ატარებს დავითი და ზოგიერთ ბრძოლებში კიდეც მთავარსარდლობს. მაგრამ ეს უფლება ამირსპასალარს მაინც რჩება.

ამ დროს მთელი სახმედრო საქმიანობა იმყოფება ამირსპასალარის ხელში. იგივე ითვლება უმაღლეს სამხედრო საბჭოს თავჯდომარედ. ამირსპასალარივე ხელმძღვანელობს ღენერალურ შტაბს. (თუმცა, როგორც ამას მხედრები გამოარკვევენ, ეს ფუნქცია უფრო, მის თანაშემწის, **ამირახორის**, კომპეტენციას შეადგენდა.) სამხედრო საბჭო შესდგებოდა მხოლოდ უმაღლესი სარდლობისაგან, რომლის მოწვევა მხოლოდ ამირსპასალარის თაოსნობით ხდებოდა. როდესაც დარბაზი (უმაღლესი სახელმწიფო საბჭო) ომს გადასწყვეტდა, მეორე დღესვე ამირსპასალარი იწვევდა სამხედრო საბჭოს და იწყებოდა სამხედრო ოპერაციების გეგმების შედგენა.

მთავრობის მოვალეობანი სწყდებოდენ ომის დადგენის დღითგან ზავამდე. ამ პერიოდში საქმის სრული ბატონ-პატრონი იყო ამირსპასალარი. მას შეეძლო საბჭოც არ მოეწვია და პირდაპირ გაეცა სამოქმედო განკარგულებანი. მაგრამ ეს იშვიათი იყო. და პირიქით

---

*) ვეფხის ტყაოსანის სტროფების რიცხვი ყველგან აღნიშნული მაქვს დ. კარიჭაშვილის გამოცემის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მნიშვნელოვან ოპერაციების დროს, თვით ომის პროცესშიაც, ყველაფერს ის სწყვეტდა სამხედრო საბჭოს დახმარებით.

ასე მოიქცა მაგ. ტარიელიც მაშინ, როდესაც მას ხატაველებმა ჯაშუში მოუგზავნეს. ის პასუხს არ აძლევს, სანამ საკითხს საბჭოში არ გამოარკვევს: „გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ ვივაზირენით"-ო (409). (აქ ვაზირად ტარიელი საბჭოს წევრს გულისხმობს, ხლო ვაზირობად — ბჭობას. ეს სიტყვები ასეთი ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარებოდა) და როდესაც მოხუცმა გამოცდილმა მხედარმა აუხსნა ტარიელს ხატაველთა ფარისევლური განზრახვა, დასძენს: „მეფეთა ესე თათბირი, ვეზირთა ნავაზირები"-ო (411) და ამის შემდეგ ის გადადის მოქმედებაზედ.

თვით ვაზირთა ანუ მინისტრთა საბჭოშიც, სამხედრო საქმეებზედ პირველი სიტყვა ამირსპასალარს ეკუთვნოდა.

ამირსპასალარი ადგენს ომის გეგმას, ის ნიშნავს სარდლებს. იგივე აწყობს ჯარებს. მისი უმაღლესი ბრძანებით სწარმოებს მთელი ბრძოლა. არც ერთ სარდალს არ შეეძლო მის დაუკითხავად რაიმე ნაბიჯის გადადგმა. სარდალი თავისუფალი იყო ბრძოლის პროცესში. მას შემდეგ, როცა ამირსპასალარისაგან ის მიიღებდა გარკვეულ ბრძანებას.

ერთის თვალის გადავლებითაც სჩანს, რომ იმდროინდელი სამხედრო სისტემა აგებული იყო იშვიათი იერარქიის პრინციპზედ. და კოლექტიური თანამშრომლობა თავსდებოდა მის ფარგლებში. საინტერესოა, რომ ეს მოვლენა დაახასიათებს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებასაც. და მგონია, ქართველთა ერთ უდიდეს ღირსებას უნდა შეადგენდეს ამგვარი შეთავსება, იერარქიისა და „ერთიანობის" პრინციპებით მოქმედება. მაშასადამე, სამხედრო ორგანიზაციაც საუკეთესო ინკარნაციას წარმოადგენს ქართველთა პოლიტიკურ და იურიდიულ შემეცნებისა.

ქართულ ჯარში არა - ჩვეულებრივი დისციპლინაც სუფევდა. საილუსტრაციოდ ერთ შემთხვევას დავასახელებ:

სპარსეთზედ ლაშქრობის დროს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი მოწინავე ჯარის („წინამბრძოლნი" სარდლად („მხედართ მთავრად") ნიშნავს თაყაიდინ თმოგველს (წესისამებრ მოწინავეობა ყოველთვის მესხებს ეკუთვნოდათ). თ. თმოგველს ქართველთა ურიცხვი ლაშქრიდან მხოლოდ 500 რჩეული მხედარი მიჰყავს. მთავარსარდლის ბრძანებით მას სალაშქრო მიდამოები მხოლოდ უნდა დაეზვერა. შებმის უფლება კი არა ჰქონდა მთავარსარდლის სპეციალური ბრძანების მიღებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმოგველი თავისი ცხენოსანი რაზმით შეიჭრა შიგნით სპარსეთში. სპარსელები მას არსად წინააღმდეგობას არ უწევენ. პირიქით, იმალებიან ტყეებსა და ციხე-სიმაგრეებში. გათამამდა ქართველი სარდალი; ის მთავარ ბანაკიდან ძალიან შორს არის. ახალი ბრძანების მიღებას დიდი დრო სჭირია. გადასწყვეტს და შეებმის სპარსელებს. აქ სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული. მთავარ ბანაკში ელიან ცნობას. მთავარსარდალი შეძრწუნებულია ცნობის დაგვიანების გამო. დაიძრება ჯარი. და როდესაც ის შეეყრება თმოგველის რაზმს, ნახავს საოცარ სურათს: მთელი მიდამოები აღვსილია მკვდრებით, ხოლო იქ ქართველს ვერც ერთს ვერ ნახულობს. **თაყ. თმოგველი, ამ ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, მაინც იღებს დატუქსვას ამირსპასალარისაგან, მის ნებადაურთველად შებმის გამო.** ეს ხდება ცნობილი სარდლის მიმართ და ისეთი შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ, რომელიც იქცა თავად და ბოლოდ ამ დიდი ლაშქრობისა.

ამირსპასალარს სამხედრო საქმიანობის სიმბოლოდ ხმალი ჰქონდა ყოველთვის. დარბაზობის დროსაც ის ყოველთვის ხმალ-შემორტყმული იყო.

მეფის კურთხევის დროსაც ამირსპასალარს უპირველესი როლი ჰქონდა მინიჭებული (იხ. ივ. ჯავახიშვილის „სამართლის ისტორია", წიგნი მეორე ანდა „მეფის კარის გარიგება".). მას ეკავა ორ ხელში მეფის ხმალი და როცა მეფე საეკლესიო ცერემონიის შემდეგ საკურთხევლითგან ჩამოვიდოდა, მას ხმალს ამირსპასალარი შემოარტყავდა. ვინაითგან მეფე იმავე დროს მთავარსარდლად ითვლებოდა, ამიტომ მეფის კურთხევის დროს ხმალი თვით თამარსაც შემოარტყეს*).

გარდა სამხედრო საქმიანობისა, ამირსპასალარი ხშირად გარეშე საქმეთა მინისტრის ფუნქციებსაც ასრულებს. მაგ. ტარიელი თვითონ უგზავნის ხატაველთა მეფეს ყოველგვარ ნოტებს. როცა მან თაღლითობა გაუგო, თვითაც დიპლომატიას ხმარობს: „სიტყვა ტკბილი შე-

---

*) საინტერესოა, რომ სპარსეთის შახის კურთხევის დროსაც, 4 სავასალო სამეფოთგან, ხმალის მეფისადმი შემორტყმა ქართველი მეფის მოვალეობა იყო და ხშირად შეერთებული ჯარების მთავარ სარდლებადაც ქართველი მეფეები ითვლებოდენ. როდესაც აღა-მაჰმად ხანი გეირგეინს იკურთხებს, ის იწვევს ირაკლი მეფეს. ირაკლიმ კი უარი შეუთვალა. და ეს ერთი მიზეზთაგანი იყო, რომ ის გაბრაზდა საქართველოზედ, რათგან აღნიშნული ტრადიციის შესრულების გარეშე ხალხი მას არ სცნობდა შახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთვალეო“.

მეფე უცხო სახელმწიფოთა ელჩებსაც ამირსპასალარის თანადასწრებით იღებს. ასე მოხდა რუქანდინთან ომის გამოცხადების წინაც.

ამირსპასალარი შინაური საქმეების უფლებებითაც სარგებლობდა. მაგ. მეფეს მის დაუკითხავად არ შეეძლო მამულების გაცემა იჯარით თუ გაწყალობება.

ამირსპასალარი ხშირად რამდენიმე მინისტრის როლსაც ასრულებს. მაგ. გიორგი მესამის დროს ივანე ორბელი იყო მანდატურთ უხუცესი და ამირსპასალარი. ასევე რუსუდანის დროს ივანე მხარგრძელი იყო ათაბაგი და ამირსპასალარი ტარიელიც ერთ და იმავე დროს ეწოდება ამირსპასალარად და ამირბარადაც (საზღვაო მინისტრი). **„თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“**.

ასეთია ზოგადად ამირსპასალარის მოვალეობანი.

სპასალარები. თუ ამირსპასალარი სამხედრო მინისტრისა და მთავარსარდალის როლს ასრულებს, ცხადია, ორივე ხაზით მას თავისი უფროსი ქვეშევრდომებიც ეყოლებოდენ. იერარქიის მეორე საფეხურზედ ითვლებოდენ **სპასალარები** (სპარსულად მხედართ მთავარი).

ამ დროის მეფის ტიტული: „მეფეთა მეფე“, „შვიდთავე სამეფოთა“, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა“ და სხ. რეალური ცნების გამომხატველია.

„შვიდი სამეფო“ ტრადიციულად დარჩა ადმინისტრატიულ ერთეულებადაც, რათგან ამდროინდელი საქართველო მოწყობილი იყო ფართო ადმინისტრატიული დეცენტრალიზაციის ნიადაგზედ (ვეფხის ტყაოსანის "ინდოეთიც“ შვიდ სამეფოსაგან შესდგებოდა!). ასევე უნდა ვიგულისხმოთ სამხედრო ადმინისტრაციის თვალსაზრისითაც. მაშ თვითეულ ამ შვიდ სამეფოთაგანში ამირსპასალარს უნდა ჰყოლოდა დადგენილი თითო სპასალარი. თვით სიტყვა „ამირსპასალარიც“ გვიჩვენებს „სპასალარის“ არსებობას. მართლაც, საისტორიო წყაროებში არა ერთხელ იხსენიებიან სპასალარები მრავლობითი რიცხვით. და მათაც დიდი პატივი ჰქონიათ მინიჭებული. მაგ. გიორგი მესამემ თამარი მეფედ დასვა: „თანადგომითა პატრიარქთა და ყოველთა ეპისკოპოზთა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა, **სპასპეტთა და სპასალართა**“ (ქართ. ცხ. ბროსსეს გამ. გვ. 274). კერძოდ ცალკე თემთა სპასალართაგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთის ცნობა გვაქვს ეს არის სამცხის სპასალარი. (როგორც მახსოვს, ზარზმის მონასტრის სამხრეთის კედელზედ უნდა იყოს სურათი და წარწერა:

„სარგის ჯაყელი — სპასალარი სამცხისა“). თუმცა სხვა თემთა სპასალარების დასახელება ისტორიულ წყაროებში არა სჩანან, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ყოველ თემს თავისი სპასალარი უნდა ჰყოლოდა, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებოდენ ამირსპასალარს. სპასალარებსაც უნდა ჰყოლოდათ თავიანთი ქვეშევრდომი მოხელენი.

ამირახორი. მეფის კურთხევის დროს ამირსპასალარი მეფეს მარჯვნივ მიყვება ხმალ-შემორტყმული. ხოლო ამირსპასალარს, აგრედვე ხმალ-შემორტყმულნი, მიყვებიან **ამირახორი და მეაბჯრეთ უხუცესი.**

„მეფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია: **„ამირახორი ვაზირია ამირ სპასალარისა“-ო.** ეს რომ დღევანდელი ენით გადავთარგმნოთ, გამოვა, რომ ამირახორი ყოფილა მთავარი სამხედრო შტაბის უფროსი. მაგრამ მისი მოვალეობებითგან სჩანს, რომ დღევანდელი სახელი მთლიანად არც **ამირახორს** უდგება. საზოგადოდ კი ის ამირსპასალარის უშუალო თანაშემწედ ითვლება და მთელი სამხედრო უწყება მის შემდეგ ამირახორს ემორჩილება.

ამგვარად, ამირახორი, სამხედრო იერარქიაში, ამირსპასალარის შემდეგ, მეორე პირად ითვლება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის შედიოდა ვაზირთა საბჭოში და სარგებლობდა იმავე უფლებებით, როგორც ზემოდ-აღნიშნული მეორე კათეგორიის მინისტრები: მეჭურჭლეთ უხუცესი და მსახურთ უხუცესი. აქეთგან ცხადია, თუ სამხედრო უწყებას როგორი ადგილი ეკავა მთავრობის უმაღლეს ადმინისტრაციაში.

დარბაზობის დროს ამირსპასალარსავით ისიც ხმალ-შემორტყმული იყო. ხოლო ვაზირობის დროს მას ჰქონდა მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება და არა გადამწყვეტი. სიტყვის თქმაც მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ მას რამეს შეეკითხებოდენ ან მოსთხოვდენ აზრის გამოთქმას.

დარბაზობის დროს ამირახორსაც ზურგით ამალა ახლდა. როცა ის დაჯდებოდა, ხმალს ამალის უფროსს გადასცემდა, ის კი ყელზედ ჩამოიკიდებდა. ვინც ამ დროინდელ ლიტერატურას თვალს გადაავლებს, დარწმუნდება, რომ ჩვენი სამოქალაქო ცხოვრების განვითარებასთან, სამხედრო წყობაც, მისი მთელი რიგი ცერემონიებით, საკმაოდ გართულებულ სისტემას წარმოადენდა.

მეაბჯრეთ-უხუცესი. ამირახორის პირველი მოხელე იყო მეაბჯრეთ-უხუცესი. მას კი ვაზირობის დროს (მინისტრთა საბჭოში) დასწრების უფლება არა ჰქონდა. მაგრამ ვაზირები დაიბარებდენ ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმე ხშირად და გამოჰკითხავდენ თავისი საქმის მდგომარეობაზედ. ისიც ხმალ-შემორტყმული დაჰყვებოდა ამირახორსა და ამირსპასალარს.

მეაბჯრენი. მეაბჯრეთ-უხუცესს ემორჩილებოდენ წვრილი მეაბჯრეები. ამირსპასალარს მეფის კურთხევის დროს ყოველთვის თან ახლდა რამდენიმე მეაბჯრე. დარბაზობის დროსაც ამირახორს უკან უდგენ მეაბჯრენი, ვერცხლის ჯაჭვ-ჩაცმულნი. თითქმის ყველა სარდალს ჰყოლია თავისი მეაბჯრენი. როგორც ვეფხის ტყაოსნიდან ირკვევა, ისინი უნდა ყოფილიყვენ მაღალ მეთაურთა იარაღის მტვირთველნი. ისინი ბრძოლის ან ნადირობის დროს თავიანთ უფროსს მიართმევდენ ხოლმე იარაღებს.

მაგ. როდესაც ავთანდილი შეხვდა სამ მონადირე მეფეთ, ძმებს, უკანასკნელნი ეუბნებიან: **„ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენი“-ო** (200); ავთანდილ-როსტევანის ნადირობის დროსაც მეფემ: **„უბრძნა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა, მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა“.** (74).

მეჯინიბეთ-უხუცესი. ამირახორსვე ემორჩილებოდა მეჯინიბეთ უხუცესი, რომელსაც თავის მხრივ ჰყავდა მრავალი წვრილი მეჯინიბენი.

ჩუხჩი. ამირჩქარი. მერმეთ-უხუცესი. წყაროებში გვხვდება აღნიშნული თანამდებობანიც. ისინი, სამხედრო თათბირის დროს, სანამ ომი დაიწყებოდა, ჯარზედ კარგად წინ იყვენ წასულნი. შესაძლებელია ისინი იყვენ დამზვერავი ნაწილების და სხვა ტოპოგრაფიული ცნობების შემკრებ ერთეულთა ხელმძღვანელები ან და ყარაულების. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული სხვა და სხვა სახელები, მათ სხვა და სხვა ფუნქციებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ვეფხის ტყაოსნითგანაც სჩანს, რომ მზვერავები და ყარაულებიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობდენ მაშინდელი ომის დროს. ხატაველებთან ომის დროს პირველად ტარიელი 300 კაცით დაწინაურდა. მტერს ეცოტავა და შემოუტია. ტარიელმა უხმო თავის ჯარს. ჯარი დაიძრა და წამოვიდა საშველად. ამას კი ხატაველების დარაჯი შეიტყობს და ურჩევს თავის ჯარს უკან დახევას: „საღამო ჟამს გაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან: ნუღარა დგათ, წავედითო... მოვა მტერი საშინელი“ (434)*)

---

*) ისტორიკოსის სიტყვით ბასიანის ომის წინ: „ნებიერად მდგომნი იყვნეს და არა უდგათ **დარაჯანი** სულტანსა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარდახნის უხუცესი. ამირახორს და მეაბჯრეთ-უხუცესს ექვემდებარებოდა დაწესებულება „ზარდახანა" (სპარს. იარაღის საწყობი), იარაღისა და სამხედრო მოკაზმულობის საწყობი. მის გამგეს კი ეწოდებოდა **ზარდახნის უხუცესი.** აქ ინახებოდა: „ჯაჭვი, მუზაოადი, ხრმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, სრულად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი აკაზმულობით, რაც ზედაბი და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და მასთან ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამანი ორნივე თავ-გადაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა" (ივ. ჯავახიშვილის ქართ. სამ. ისტ. წიგნი მეორე, ნაწილი ა. გვ. 155). აქვე მომყავს იარაღთა ის სია, რომელსაც ხმარობდენ ქართველები **ვახუშტის** ცნობით: "ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნდა ჯავშანი, საფთანი, პოდოდივნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ხმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშვილ-ისარნი. არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათვის, ქეიბური მხეცთათვის, ხარჩა და ქიბურჯი წურილთა ნადირთათვის, და სამუდამოდ აქუნდათ. ხოლო კაპარჭ-ისარი, რომელ არს საყალნო, ომს ბრძოლასა შინა". (ვახუშტის გეოგრაფია. ბროსსეს გამ. გვ. 14)

ზარდახანა, სადაც 40—50 ათასი რეგულიარული ჯარის იარაღი და მოკაზმულობა ინახებოდა, საკმაოდ დიდი დაწესებულება უნდა ყოფილიყო ამიტომ მას თავისი ადმინისტრაციაც ჰყავდა. მათგან უმთავრესნი იყვენ: **ზარდახნის მოლარე, ზარდახნის მეჯინიბე, მისრატულთ-უხუცესი, და ზარდახნის მწიგნობარი.** უკანასკნელი იყო ანგარიშების მწარმოებელი და ის ექვემდებარებოდა მწიგნობართ-უხუცესს. ზარდახნის ყველა საქმეები წერილობით აღინუსხებოდა. ხდებოდა წლიური ანგარიშების შედგენა, რომელსაც ამოწმებდა სათანადო სარევიზიო კომისია. ყველა ამ აქტებს კი ინახავდენ არქივში. თვითეულ დაწესებულებას და ზარდახანასაც ჰქონდა თავისი არქივი, რომელსაც „გოდორი" ეწოდებოდა, მის მოხელეს კი „მეგოდრე".

ქართული ჯარის შემადგენლობა

ჯარი ორი ნაწილისაგან შესდგებოდა: „ქვეითნი ლაშქარნი" და „მხედარნი ლაშქარნი". სიტყვა „მხედარი" ძველად ცხენოსანს ნიშნავდა (თუმცა „ცხენოსანიც" იხმარებოდა), მაგრამ შემდეგში, ვინაითგან ქართულ ჯარს უმთავრესად ცხენოსანი შეადგენდა, ამიტომ ეს სიტყვა იქცა ჯარის ზოგადი სახელის აღმნიშვნელად .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციების მიხედვითაც ჯარი ორად იყოფოდა: 1) ქალაქისა და ციხეების დამცველნი „მეციხოვნენი“ და 2) მეფე—ამირსპასალარის დამცველი და მოლაშქრე ჯარი.

მთელი საქართველოს ლაშქარი შესდგებოდა ოთხი ჯგუფისაგან:

1. **„სამეფოსა სპანი“**. ეს იყო ქართული ჯარის ის ელემენტი, რომელიც ომის დროს იკრიბებოდა მთელ საქართველოს ტერიტორიაზედ. ის იყო ერთგვარი საპატრონ-ყმო ჯარი, შეკრებილი ყველა თემებში ადგილობრივ მეთაურთა ხელმძღვანელობით. დავით აღმაშენებელმა ჯარის ეს ნაწილი ფრიად გაზარდა რიცხვით, შემოიღო მათი პერიოდული წრთვნა და მებრძოლთა შორის საუკეთესო ელემენტად აქცია.

„წყობად განმავალნი“. ეს იყო რეგულიარული ჯარი, რომელიც აგრედვე დავით აღმაშენებელმა შეადგინა 1118 წელს ყივჩაყთაგან. რომელიც შესდგებოდა 40,000 კაცისაგან და რომელნიც მეფემ „განასრულა ცხენებითა და საჭურველითა“ და „დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინა სპასალრნი დ მმართველნი“. თამარის დროს ეს რეგულიარული ჯარი უფრო მატულობს.

მესამე უწყების ქართული ჯარისას შეადგენდენ კავკასიის მთიულები, რომელნიც მოხალისედ ჩამოდიოდენ ყოველი ომის დროს და „სამსახურად“ შედიოდენ ქართულ ჯარში. მათ ხშირად თვით მთიულთა მთავრები უგზავნიდენ ხოლმე ქართველ მეფეებს.

„მონა-სპა“ — ეს იყო სამეფო გვარდია. ის დააარსა დავით აღმაშენებელმა „ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“.

ქართული ჯარის რიცხვი.

სხვა და სხვა დროის წყაროებში შემონახული ზოგიერთი ცნობები ქართული ჯარის რაოდენობაზედ, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მათი რაოდენობის ზოგადი რიცხვი.

თუმცა ამ სფეროში ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ შედარებითი მეთოდით და სახელმწიფოს საერთო ვითარებათა გათვალისწინებით, ამ საკითხის ზედმიწევნითი გამორკვევაც შესაძლებელი ხდება.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ უკვე გაერთიანებულ საქართველოს (ამ დროს მხოლოდ ტფილისი იყო არაბების ხელში, თუმცა მათ ყოველივე ძალა და გავლენა დაკარგული ჰქონდათ.) .დავით აღმაშენებელი უქმნის რეგულიარულ ჯარს, რომელიც შესდგებოდა 40,000 ცხენოსანისაგან. ამას უნდა დაემატოს მეფის გვარდია, 5,000 ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოსანისაგან შემდგარი. ეს უკვე ნაღდი ცნობებია. მას უკვე ჰყავდა 45,000 ცხენოსანი რეგულიარული ჯარი. **ვახუშტის** სიტყვით, დავით აღმაშენებელის რეგულიარული ჯარი 60,000 ყოფილა (იხ. მისი გეოგრაფია. გვ. 14).

არაფერი ვიცით ზემოაღნიშნულ, პირველ წყების შესახებ ვიცით მხოლოდ, რომ ის ჯარი დავით აღმაშენებელმა გაზარდა. და ის ფაქტი, რომ მათ ის პერიოდულად სწრთვნიდა, გვაგულისხმებინებს, რომ ისინი ალრიცხვაზედ უნდა ყოფილიყვენ, რაც მობილიზაციის საქმეს გააადვილებდა.

რიცხვის შესახებ, თუ მთელ საქართველოში რამდენი იკრიბებოდა, უშუალო ცნობები არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ **ანისის** აღების წინ აღმაშენებელს თან ახლდა მხოლოდ 60,000 ქართველი მეომარი (იხ. ქ. ცხ. გვ. 252); აგრედვე გვაქვს ორი ცნობა 1221 წლის დიდგორის ომზედ; ერთი ცნობით დავით აღმაშენებელს **ელლაზის** შეერთებული ჯარების 600,000 წინააღმდეგ ჰყოლია 60,000 კაცი. მეორე ცნობით 800,000 წინააღმდეგ 80,000. საერთო შესაძლებლობათა და ანგარიშის მიხედვით, თუ პირველი არ არის მცირე, არც მეორე გვეჩვენება გადაჭარბებული. ხოლო თუ მას აღნიშნული რეგულიარული ჯარის 45,000 გამოვაკლებთ, მივიღებთ 25—35 ათასს, რაც მთელი საქართველოსათვის დიდად არ ჩაითვლება, რათგან აქ უნდა ვიგულისხმოთ მოხალისეებიც. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ როდესაც დავითს 60— ათასი კაცი ფრონტზედ გაჰყავს, ქალაქების და ციხეების დამცველებად ხომ უნდა დაეტოვა განსაზღვრული ნაწილი ჯარებისა. მაშინ როდესაც დიდგორთან ბრძოლა თამაშდებოდა, დიდი ნაწილი სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი რჩებოდა ღია. და იმდროინდელი საერთო მდგომარეობაც გვაფიქრებინებს, რომ ერთი მოზრდილი ნაწილი ჯარებისა ფრონტის გარეშეც იქმნებოდა. ამგვარად დავით აღმაშენებელის დროს ქართული ჯარის რიცხვი საშუალოდ უნდა ვივარაუდოთ — 60 — 100,000-მდე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: რომ დავით აღმაშენებელის დროს საქართველო, როგორც რიცხვობრივად, ისე ეკონომიურად შედარებით სუსტი იყო. ამიტომ მის შემდეგ უფრო მეტის ვამოყვანა ხდება შესაძლებელი; მაგ. გიორგი მესამე და თამარის დროს, ჯარის, გამოყვანის გაორკეცებული შესაძლებლობა უნდა ვიგულისხმოთ. ამ რიცხვს უნდა მიემატოს სავასალო სახანოების ჯარებიც.

აი კიდევ ზოგიერთი მაგალითები.

გიორგი ლაშამ, მონღოლთა პირველი შემოსევის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მოკლე ხანში 90,000 მხედარი გამოიყვანა და მტერი სასტიკად დაამარცხა. ხოლო მეორე წელსვე, ივანე მხარგრძელი და რუსუდანი რომის პაპას ჰპირდებიან (ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის დროს) სირია—პალესტინის ექსპედიციისათვის 40,000 ცხენოსანის გაგზავნას.

როდესაც 1225 წელს ჯალალ-ედინი 140,000 კაცით შემოესია საქართველოს, რუსუდან დედოფალმა მის წინააღმდეგ 70,000 კაცი გაგზავნა.

1258 წ., როდესაც მონღოლებმა იმპერიაში საყოველთაო აღწერა მოაწყვეს, ქართველებს დააკისრეს 90,000 კაცის გამოყვანა; და ქვემოდ ვნახავთ, რომ ეს სრულიად თავისუფალ შესაძლებლობას ემყარებოდა.

მონღოლების აღწერის მიხედვით, ჯერ ჯალალ-ედინის, მერე მონღოლების მიერ საკმარისად განადგურებულ საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი 5—6 მილიონს აღემატებოდა. თამარის და გიორგის დროს, ამ ანგარიშით, თავისუფლად შეეძლოთ გამოეყვანათ 200,000 მეტიც. მაგრამ ასეთი რიცხვი არა სჩანს. ამიტომ ვფიქრობთ, საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, ისინი ჯარის რიცხვით ისე არ იყვენ დაინტერესებული, როგორც ხარისხით: შეიარაღებით, გაწრთვნით და ერთგულობით. ეს აშკარად სჩანს, როგორც დავითის, ისე დანარჩენ მეფეთა მოქმედებიდან.

ეს მოსაზრება შეიძლება შემდეგითაც დავასაბუთოთ. მონღოლებმა რომ 90,000 კაცის გამოყვანა დააკისრეს ქართველებს, ეს ასეთი წესით უნდა მომხდარიყო. ცხრა სრული მიწის მქონე ოჯახს უნდა მიეცა ერთი კაცი. ამ წესით მთელ საქართველოზე მოდიოდა აღნიშნული რიცხვის ლაშქარი. ოჯახზედ საშუალოდ რომ 4—5 სული ვიანგარიშოთ, მივიღებთ 36—45 მცხოვრებზედ ერთ ჯარისკაცს. ჩვენს დროში 10 მცხოვრებზედ ადვილად შეიძლება ერთი კაცის გამოყვანა. თუ ძველ პირობებს ჯარის გამოყვანისა გაორკეცებული სიძნელით წარმოვიდგენთ, მაინც გამოვა, რომ მათ ორჯერ მეტი შესაძლებლობა ჰქონია, ვიდრე აღნიშნული ჯარის რიცხვი. გვახსოვდეს, რომ ზემოაღნიშნული ბეგარა ეხება **მხოლოდ სრული მიწის მქონე ოჯახებს**. ამ ფაქტის აღნიშვნა გულისხმობს, რომ შეიძლება ცოტა, მაგრამ მაინც, მცირე მიწის მქონენიც იყვენ. აქვე არ შედიოდა ჩვენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამღვდელოება. თავადაზნაურობაც აღნიშნულ განსაზღვრაში იგულისხმებოდა თუ არა, ეს არ ვიცით.

ყველა ზემო-ნათქვამს და ჩვენს მიერ მონღოლთა აღწერის მაგალითით ნაანგარიშევს დაგვიდასტურებს სხვა საუკუნეთა მაგალითე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. მაშინ, როდესაც საქართველოს უფრო დიდი გასაჭირები ადგა; ეკონომიურად, კულტურულად და მოსახლეობის რიცხვითაც გაცილებით დაცემული იყო, თურმე მას ამ დროს უფრო მეტი ჯარი გამოჰყავდა.

ჩვენამდე მოაღწია მე-15 ს. რამოდენიმე დოკუმენტმა, რომელნიც აღნიშნულ საკითხზე ძვირფას ცნობას გვაწვდიან. ამ დროს დაიბადა იდეა ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ჯვაროსნობის მოწყობის. ქართველი მეფე - მთავრები პირველ მოწოდებაზედვე იღებენ მონაწილეობას. სამცხის მთავარი ყვარყვარე ბურგუნდიის მთავრისადმი მიწერილ წერილში ჰპირდება 20,000 ცხენოსანის გამოყვანას; ქართლის მეფე გიორგი — 40,000 კაცს; მათი მესამე მოკავშირე, სამეგრელოს მთავარი — 20,000 კაცს. (მ. თამარაშვილის ისტ. კათ. ქარ; შორის; გვ; 59-

აღნიშნულ რიცხვში არ შედის გურიის ჯარი, რომელიც ამ დროს დამოუკიდებელ სამთავროდ იყო და გიორგი მეფეს აღარ ემორჩილებოდა. ასე რომ გურიაზედაც თუ 10,000 კაცს ვიანგარიშებთ, მივიღებთ 90,000*).

ეს კი ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს სამეფო დაშლილია და მონღოლთა ბატონობის შემდეგ საკმაოდ ჩამოქვეითებული.

მე-18 საუკუნის დასაწყისშიაც, როდესაც ქართლ-კახეთს შახ-აბაზის და ოსმალთა მრავალგზისი აოხრებანი თავს გადახდილი ჰქონდათ, 1722 წელს ქართლის მეფეს ვახტანგ მეექვსეს, პეტრე დიდთან სამხედრო კავშირის დროს გამოჰყავს 40,000 მეომარი. ახლაც, თუ ქართლის სამეფოს მთელ საქართველოს ერთ მესამედად ვიანგარიშებთ, ამ საუკუნეშიაც ისევ ზემოხსენებულ რიცხვს მივიღებთ.

ყველა ამას რომ ვადარებთ მე-12 საუკუნის ჯარების საშუალო რიცხვს, ზემოდ-აღნიშნული დებულების სიმართლე ჩვენთვის უდავო ხდება.

ამგვარად, გაერთიანებულ საქართველოს დიდი სამხედრო ოპერაციებისათვის დაახლოებით 100,000-მდე მხედარი გამოჰყავდა. თუ

---

*) წერილებში სამეგრელოს ჯარის რიცხვი დასახელებული არ არის, ხოლო დასახელებულია ქართველთა მოკავშირეების, სომხეთის მთავრის და ტრაპიზონის მეფის ოც-ოცი ათასი კაცი. ყველასი ერთად კი უდრიდა 120,000. ამას თუ გამოვაკლებთ დასახელებულ რიცხვებს, სამეგრელოზე დაგვრჩება 20,000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავითვალისწინებთ მათ გაწრთვნას და კარგად შეიარაღებას, იმასაც რომ დაახლოებით 80 პროცენტი ცხენოსანი იყო, რასაც ძველ ბრძოლებში განსაკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა, არ გაგვიკვირდება, რომ ამ რიცხვის ჯარით ასე შესანიშნავად იცავდენ ქვეყანას: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, და ისპირიდან დარიალამდე.

ომი.

ომისა და ზავის საკითხი. ომისა და ზავის საკითხები ჯარს არ ეკითხება. ის სწყდება დარბაზის მიერ. საბჭო რომ ომს გადასწყვეტს, მერე მეფე სათანადო ნოტით უცხადებს მოპირდაპირეს ომს. ომის დროსაც. რაც კი ზავს ეხება, ისიც მეფისა და საბჭოს საქმეა. მაგ. როდესაც ჯალალ-ედინმა დაამარცხა ქართველი ჯარები, მან მოლაპარაკება გამართა ავაგ ამირსპასალართან. ჯალალ-ედინმა მას წინადადება მისცა სამხედრო კავშირის შექმნაზე მონღოლების წინააღმდეგ. ქართველმა მთავარსარდალმა კი ასეთი პასუხი მისცა: „ვაუწყებ საქმესა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთაო“ (იხ. ჟამთააღმწერელი). ამ საკითხებს არც მეფე სწყვეტდა მარტო. მაგ. ბაგრატ მესამემ რომ გაიმარჯვა შარვან-შაჰზედ, უკანასკნელმა ზავის წინადადება მისცა, ცხადია საგრძნობი დათმობებით. მაგრამ მეფემ დადებითი პასუხი არ მისცა, საბჭოს დაუკითხავად. საბჭოში კი „სიბრძნითა გამოარჩიეს და უმჯობესად აწვიეს ზავი“.

არა მარტო ომის გამოცხადებას, არამედ ყოველ მნიშვნელოვან ლაშქრობას წინ უსწრებდა დარბაზის ბჭობა. იმ წუთითგან, როდესაც დარბაზი დაასკვნიდა ომს ან ლაშქრობას, ამიერითგან სალაშქრო გეგმის შედგენა და მთელი დანარჩენი საქმიანობა სარდლობის ხელთ იყო. მეფე მათ მოქმედებაში მხოლოდ მაშინ ერეოდა, თუ ის პირადად მთავარსარდლობდა ჯარს. თუ არა, მთელ ომის პროცესში ამირსპასალარი იყო აბსოლუტურად თავისუფალი; ზავამდე მის საქმეში ვერავინ გაერეოდა.

აქვე გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ქართველთა ლაშქრობაზედ აღვნიშნოთ შემდეგი. როდესაც გიორგი მესამემ ზავი ჩამოაგდო, მხედრობისათვის ეს მოსაბეზრებელი შეიქმნა, ამიტომ მეფეს თხოვნით მიმართეს: **„არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“**-ო (ქ. ცხ. 271). ჩვენმა ისტორიკოსებმა ასეთი ცნობით დაასკვნეს, თითქოს ლაშქრობის ერთად - ერთი მიზანი იყოს რბევა და ცარცვა-გლეჯა; და კიდევ მეტი: ზოგიერთებიც ასეთ აზრებზედ დამყარებით აცხადებენ, თითქოს საქართველოს ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ხანა ამ ფაქტორზედ ყოფილიყოს დამყარებული. სამწუხაროდ, აქ უადგილოა ამ საკითხზედ შევჩერდეთ. ხოლო ვიტყვით, რომ ლაშქრობებს თავისი გარკვეული **სამხედრო მიზნები** ჰქონდა. აღნიშნულ სიტყვებშიაც მხედრები ამას უფრო ადვილად ამოიკითხავენ. **ეს იყო ჯარის გავარჯიშება და მასთან ერთად მტრისადმი მისი ძლიერების დამტკიცება, რათა მტერი მორალურად გატეხილი ჰყოლოდათ.** ამ აზრს ამტკიცებს მეორე მსგავსი ცნობა, რომელიც შემონახული აქვს თამარის ისტორიკოსს. თამარის დროსაც ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა, ვარამ გაგელმა და სხვა უმაღლეს სარდლობამ ასე მიმართა დედოფალს: **"აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არ ცუდად ვაუქმედ სპანი თქვენნი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი,** არამედ აღვამხედროთ ერაყს. **..რათა ცნან ყოველთა სპათა აღმარავლებისათჳ ძალი და სიმხნე ჩვენი"** (ქ ცხ. თამ. ცხ.); ეს მოთხოვნა უსწრებდა წინ ცნობილ სპარსეთზედ დიდ ლაშქრობას, რაც განმარტებას აღარ საჭიროებს..

მობილიზაცია. როდესაც დარბაზი ომის გამოცხადებას დაადგენდა, მაშინვე იწყებოდა მობილიზაცია. თამარის ისტორიკოსით — „წვევა ლაშქრისა" ანუ „სპათა", ასევე ვეფხის ტყაოსანით:

„ვუბრძანე **წვევა ლაშქართა გავგზავნე მარზაპანია,**
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი, მოკრბეს ინდოთა სპანია".

წვევის ბრძანება იწერებოდა ქაღალდზე მეფის სახელით. მას ასრულებდა მანდატურთ-უხუცესი, ხოლო პრაქტიკული შესრულებისათვის არსებობდა სპეციალური აპარატი თავისი პერსონალით ვინც კისრულობდა საჩქაროდ პროვინციებში მოგზაურობას და ადგილობრივ ჯარის უფროსებისადმი გამოცხადებას. ესენი იყვენ „ლაშქარის მწვეველნი", რომელთა მიერაც ყოველ თემში იგზავნებოდენ „შიკრიკნი და მალე მსრბოლნი". მობილიზაცია სისწრაფით ხდებოდა. ამას ადასტურებს ომის თითქმის ყველა შემთხვევა. მაგ. ბასიანის ომის წინ „ბრძანება და წიგნები ჰქროდა და მალე-მსრბოლთა ცოტათა დღეთა შინა მალე შემოკრიბეს, ვითარცა ვეფხნი სიკისკასითა და ვითარცა ლომნი გულითა" (თამ. ცხ).

ვეფხის ტყაოსანშიაც ტარიელი ამბობს: —

„ფიცხლა მოვიდეს არ ექმნათ მათ შინა ხანდაზმულობა" (389).

სამობილიზაციო ბრძანებაში აღნიშნული იყო დრო, „პაემანი", თუ როდის და ვინ სად უნდა შეკრებილიყო („ლაშქართ შეყრა").

აღლუმი. როდესაც დამთავრდებოდა „ლაშქართ შეყრა", ის გადიოდა აღლუმზედ და ზეიმს იხდიდა ლაშქრობის წინ. აქ მეფე, ამირსპასალარისა და სხვა დიდებულთა თანადასწრებით, დაათვალიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა ლაშქარს (სპათა განხვ"). მაგ., როდესაც სპარსეთზედ ლაშქრობის წინ ტფილისში შეიყარა ქართველი ჯარი, თამარმა „**განახვნა სპანი მისნი და იხილა აბჯრითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენკეთილობა...**" და სხ;

ტარიელიც ამბობს: —

„აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯრისა ხვარაზმულობა" (389).

აღლუმის შემდეგ, თუ თვით მეფე არ მიდიოდა ომში, დროშას ამირსპასალარს გადასცემდა. თამარმა სპარსეთში ლაშქრობის წინ „**მოიღო დროშა სვიანად ხმარებული გიორგისინი და დავითიანი და შეევედრა მასვე ვარძიის ღმრთის მშობელსა დროშა და ლაშქარი დალოცა... და მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა**";

ჯალალ-ედინის წინააღმდეგ გალაშქრების წინაც, რუსუდანმა „**მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა**", რომელიც იყო ამავე დროს ამირსპასალარი.

"აღვმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა,
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა".

ამის შემდეგ კი მეფისა და დიდებულების, ერისა და სამღვდელოების ლოცვა-კურთხევით ჯარი მიემგზავრებოდა ომში.

თათბირი ომის წინ. ომის წინ ყველა რჩეული სარდლები იკრიბებოდენ და იმართებოდა სამხედრო თათბირი: თუ რა გზით და როგორ ეწარმოებინათ ომი, როგორ დაეწყოთ ჯარები და ვინ რა ნაწილის უფროსად ყოფილიყო დანიშნული. ქართველი ჯარის სამხედრო თათბირის ერთ საუკეთესო სურათს იძლევა რუსთაველი ვეფხის ტყაოსანში. ეს იყო ტარიელ—ავთანდილ—ფრიდონის თათბირი ქაჯეთის ციხეზედ იერიშის მიტანის წინ.

ლაშქრის დაწყობა. ლაშქრის დაწყობას ჩვენში გარკვეული წესები უნდა ჰქონოდა, რათგან ჩვენი მტერი მუდმივ სამხრეთითგან მოდიოდა და საქართველოს ძირითადი სტრატეგიული ხაზი ყოველთვის ერთი იქნებოდა, ამიტომ საგულისხმოა აქაც ერთი უცვლელი წესის შექმნა. ვახუშტი შემდეგს გადმოგვცემს: „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია, ოთხ სადროშოდ განყოფილი. რამეთუ წინა-მბრძოლნი იყუნეს თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხენი და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა და რომელნი ეპყრათ: ხოლო მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი სულიად ლიხთ იქათი, აფხაზეთ-ჯიქითურთ: ხოლო მემარცხენე მიმსვლელ-მცემელნი სულიად ჰერ-კახნი: ხოლო მეფისა ალმის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მბრყობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ებყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელიც ანუ სხვა რიგად მიიყვანიან, ვითარ ამჯობინოს მეფე ანუ სპასალარი" (იხ. გეოგრაფია; გვ. 34).

ეს ცნობა ეხება სწორედ გაერთიანებულ საქართველოს. მთელ საქართველოს ოთხ დროშად განყოფის პრინციპი უსათუოდ ეთნოგრაფიულ პრინციპზედ არის წარმოშობილი. ჩვენ ვიცით, რომ საქართველო გაერთიანების უწინ, სწორედ აღნიშნულ ეთნიურ ერთეულებად იყო ჩამოყალიბებული; სამეფონი: ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის (დასავლ. საქ.), ქართლის და კახეთის. მაგრამ ამ დანაწილებამ შეინარჩუნა სტრატეგიული პრინციპიც, რათგან თვით საქართველოს ოთხ სამეფოდ ჩამოყალიბება იმ ფორმით, როგორც აღვნიშნეთ, შედეგი იყო გეოგრაფიული მდგომარეობისა და იმ დროს მტრებთან დამოკიდებულების რომ სტრატეგიულადაც ის მისაღები იყო, ამას თვით სურათი ამტკიცებს. მტერი სამხრეთითგან მოდის და სრულიად ბუნებრივია, რომ პირველი საზღვარზედ მდგომი ეთნიური ერთეული იქცეს მოწინავე ელემენტად. პირით სამხრეთისაკენ მიმართული დასავლეთ საქართველოს ჯარისათვის ასევე ბუნებრივია მისი **მემარჯვენეობა**, ისევე როგორც ქართლის ჯარის ცენტრში დგომა და ჰერ-კახთა **მემარცხენედ**.

მაგრამ რომ ქართველი მხედრობა ჯარის დაწყობის დროს უმთავრესად სტრატეგიის პრინციპიდან გამოდიოდა, ამის უდავო ცნობაც არის. ამ მხრივ ქართლის და კახეთის ნაწილები დიდ განსხვავებას არ შეიცავენ და მათი ერთ მხარეს მოქცევა თავისუფლად შეიძლება. მაშ უმთავრესი დანაწილება რჩება სამი. ვახუშტიც ხომ ამოწმებს: „გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვად რიგად მიიყვანიან"-ო. მაგრამ უფრო კარგი საბუთია თვით გადახდილი ომები. აქეთგან კი გამოირკვევა, რომ თუმცა ქართველი მხედრობა მოქმედებს სტრატეგიის პრინციპებით, მაგრამ მას ხშირად თან ხვდება თემობრივი პრინციპიც. რაც წესად იყო ქცეული. მაგ. შამქორის ომის წინ „განაწყვეს რაზმი წესისამებრ ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა" (ქ. ც., 306); ხოლო ბოლოსტიკეს ბრძოლაში, რომელსაც მთავარსარდლობდა დავით სოსლანი, ჯარი სამად ეწყობა. მოწინავე, მესხთა ჯარი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ამირსპასალარი, და ივანე და შალვა ახალციხელები. მემარცხენე, თვით დავით სოსლანის მეთაურობით და მემარჯვენე ლიხთ-იმერეთის სარდლების მეთაურობით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ დროს უფრო სამად ანაწილებდენ ჯარს. ოთხ სადროშოს წესი, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო მეტად ეთნოგრაფიულ პრინციპს შეიცავს, დამახასიათებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ყოფილიყო უფრო გაერთიანების პირველი ხანებისათვის და მერე დაცემის ხანისათვის. ის განსაკუთრებით დაცული იყო მაგალ. ერეკლე მეორეს დროს ქართლ-კახეთის სამეფოში. ყოველ შემთხვევაში ამ მნიშვნელოვანი საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სპეციალისტ მხედრების საქმეა.

როგორც ვახუშტიც ბრძანებს, ომის დროს სხვა გვარ დაწყობასაც ჰქონდა ხოლმე ადგილი „ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი". მაგ. როდესაც იკონიის სულთანი ყაისდინი წამოვიდა დიდძალი ჯარით*) მონღოლ-ქართველთა შეერთებული ლაშქარის წინააღმდეგ მონღოლთა მთავარსარდალმა ბრძანა: აღმოსავლეთში წესია, კარგი ჯარის მარჯვენა ფრთაზედ დაყენება, ამიტომ, რომ ჩვენი ჯარის რჩეული ნაწილი მათ რჩეულს დაემთხვას, ჩვენ ის მარცხნივ უნდა დავაყენოთო. ასეც მოიქცენ და მტერი დაამარცხეს.

ტარიელიც ამბობს:

„მუნ მივმართე **მკლავ მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგება**".

ეს და კიდევ სხვა საკითხები, რომელნიც უფრო სამხედრო ტაქტიკას ეკუთვნიან, მათი დაფასებაც აგრედვე სპეციალისტების საქმეა.

გარდა ამ დიდი დაწყობის, ჯარების დაწყობა სულ მცირე ერთეულებშიც ხდებოდა. მაგ. ტარიელს მოწინავე რაზმად მიჰყავს 300 მხედარი და დიდ ნაწილს უკან სტოვებს. და როცა ის იძულებული ხდება ამ მცირე ჯარით ომი დაიწყოს, დასძენს:

„რაზმი დავაწყვე, მივმართე, წაველ დიდითა სწრაფითა" (426).

ზავი. როდესაც ომი თავდება, გამარჯვებული მთავარსარდალი მეფეს მახარობელს აახლებდა ეს სურათი ვეფხის ტყაოსანშიაც არის აღწერილი. მაგ. ტარიელი ხატაველებზედ გამარჯვებას მეფეს ასე ატყობინებდა:

„მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფითა ტყვიანად" (448).

ქაჯეთის ციხეზედ გამარჯვების შემდეგ კი ტარიელმა:

„ზღვათა მეფისა წინაშე გაჰგზავნა მახარობელი,

შესთვალა: „მოველ ტარიელ მტერთა მძლე, მასვრით მსპობელი" (1404).

ჯარის დაბრუნება და ზეიმი. მახარობლის შემდეგ ძლევამოსილი ლაშქარი სატახტო ქალაქში შემოდის. მეფე, ერი და ბერი სიხა-

---

*) ეს ჯარი რიცხვით 400,000 იყო და მთავარსარდლებად ჰყავდა ორი ქართველი, დარდან შერვაშიძე და ფარადავლა (ჯაყელი), შალვა ახალციხელის შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულითა და ზეიმით ეგებება მას. მთავარსარდალი ჯერ დარბაზში წარსდგება უმაღლესი მხედრობით. დარბაზს სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს ომზე. ნადავლის ერთ თვალსაჩინო ნაწილს ძღვნად დარბაზს მიართმევს. სხვას ჯარს გაუნაწილებს და მერე ხდება „ლაწქართ გაყრა". აი მაგალითები:

შამქორის ომიდან გამარჯვებული ლაშქარი რომ დაბრუნდა, „და ვითარცა მოეახლნეს, მიეგებებოდა მათ თამარცა... მოიკითხავდა თვითეულთა, ვითარცა შვილთა... მოვიდეს ქალაქსა სრასა სამეუფოსასა, აღივსნეს ყოველნი ველნი გარემო ტფილისისანი" და სხ. (თ. ცხ.)

ეს გრანდიოზული სურათი, თუნდაც ერთი კალმის მოსმით შესანიშნავად აქვს გადმოცემული რუსთაველს:

როცა ხატაველებზედ გამარჯვებული ტარიელი ბრუნდება, ხალხის შეხვედრას ასე გადმოგვცემს:

„ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი,
ომ გარდახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი;
ფერ-მიხდილ გვარად ვშვენოდი ვარდი ცრემლითა ნაბანი,
ვინცა მიჭვრეტდის, ბნდებოდის: მართალ არს არ კატაბანი" (463).

დარბაზი კი ასე ხვდება:

„შევეკაზმე, დარბაზს მიველ, დამხვდა ჯარი ავაზისა,
შავარდენით სავსე იყო სრულად არე დარბაზისა,
მეფე ქვე ჯდა შეკაზმული, შვენებითა მსგვასი მზისა,
გაეხარნეს მისვლა ჩემი ტურფისა და ლამაზისა" (459).

დარბაზობის შემდეგ ხდება მთავარსარდლის მიღება სასახლეში, სადაც მეფე და დედოფალი იღებენ როგორც შვილს:

"ნაომარსა დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება,
დედოფალი საჯდომითგან ადგა წინა მომეგება,
ვითა შვილი გარდამკოცნა ვარდი ღაწვი დამილება" (466).

ამის შემდეგ კი „შეიქმნა პურობა ნადიმისა შესატყვისი მის ჟამისა (თამ. ცხ.):

„შეიქმნა სმა და პურობა მსგავსი მათისა ძალისა,
სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა;
ჯამი და ჭიქა ყოველი ფირუზისა და ლალისა,
არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალისა" (468).

სამხედრო უწყების დამოკიდებულება სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

სამხედრო უწყება საკმაოდ ახლო იდგა ცხოვრების სხვა დარგებთან და მისი მონაწილეც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისეთი საქმეც კი, როგოც მამულების იჯარით გაცემა ან გაწყალობება, მხოლოდ ამირსპასალარის დაკითხვით ხდებოდა.

ამავე მოსაზრებით, მაშინდელი ვითარება მოითხოვდა, რომ გზების გაყვანა, არხების, ხიდეთა აგება და სხ. უთუოდ სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით მომხდარიყო, რათა მხედრობას სცოდნოდა მისი ბრძოლის ასპარეზის ტოპოგრაფიული ვითარება. მართალია, **ტოპოგრაფია**, როგორც სამხედრო დისციპლინა, მაშინ უთუოდ არ არსებობდა, მაგრამ ბრძოლა და სინამდვილე ამოქმედებდა მხედრობას ისე, როგორც თანამედროვე, თეორიულად გაწრთვნილ მხედრობას.

იმაზედ აღარას ვამბობთ, რომ ყველა ციხე-კოშკებისა და სიმაგრეების აშენებაშიც ამირსპასალარის გეგმით უნდა ეხელმძღვანელათ. ასეთ სიმაგრეებს თუ კი რომელიმე ქვეყანაში თავდაცვითი მიზნები ჰქონიათ, ეს ყველაზედ მეტად საქართველოზედ ითქმის. ამიტომ არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზედ დარჩენილი ციხე-სიმაგრეები იშვიათის სტრატეგიული ანგარიშით არიან აგებულნი, რასაც დღევანდელი სპეციალისტებიც განცვიფრებაში მოჰყავს.

გარდა ეკონომიურ და სააღმშენებლო სინამდვილისა, მაშინდელი მხედრობა ახლოს თანამშრომლობს სახელმწიფოს წარმომადგენლობასთან და ერევა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

ზემოდ უკვე აღვნიშნეთ ტარიელის მაგალითი. ომის დროს ამირსპასალარი ასრულებს საგარეო საქმეთა მინისტრის როლსაც. ის არის უცხო სახელმწიფოთა და თავის მეფეთა შორის საშუალო პირი. მეფეს ელჩების მიღებისას თან ახლავს ამირსპასალარი. როდესაც თამარს ეახლა რუქნადინის ელჩი და მეტად უზრდელი წერილი მიართვა, იქვე მდგომმა ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა ეს ველარ მოითმინა, „დაუხეთქნა ხელთა", და ძირს დასცა. იმდროინდელი ქართული სისხლის სამართლის წესით, მეფის პირში შეურაცხყოფელი ჯერ ენის და მერე თავის მოკვეთით ისჯებოდა. საერთაშორისო საკალდებულო წესების თანახმად, სჩანს, ეს სასჯელი უცხოეთის წარმომადგენელზედ არ ვრცელდებოდა. ამირსპასალარმაც, ეტყობა, გარტყმით იჯერა გული და მიწაზედ დაცემული ელჩი თვითონვე წამოაყენა ფეხზედ.

პოლიტიკურ რეფორმების დროსაც მხედრობა გარკვეულ როლს ასრულებს. და საინტერესოა, რომ ჩვენი მხედრობა ყოველთვის პროგრესიული აზროვნების გამომხატველი იყო.

დავით აღმაშენებელმა თავისი დიდი რეფორმები ამ გზით ჩააცარა. ჩვენ ვიცით, რომ მის გაბედულ რეფორმებს მაშინდელი პრი-

ვილეგიური წოდება წინ გადაეღობა და მოითხოვდა წოდებრივ პრივილეგიების შენარჩუნებას (რაც თამარის დროსაც ხდება), მას ამისათვის მოკვლაც დაუპირეს. მეფემ კი შექმნა რეგულიარული ჯარი და გარეშე მტრის დამარცხებასთან შიგნითაც წესიერება დაამყარა.

ყუთლუ - არსლანი (თამარის ფინანსთა მინისტრი), რომელიც თამარის დროს კონსტიტუციონალურ მოძრაობას მეთაურობს და მეფეს ახალი პოლიტიკური რეფორმის გეგმას უდგენს, თავის ძლიერ პარტიაში უმთავრესად მხედრობას ემყარებოდა. როდესაც თამარმა ის შეიპყრო, მხედრობამ მაშინათვე ულტიმატუმი წარუდგინა მეფეს და მოითხოვა ყუთლუ-არსლანის განთავისუფლება. მეფე კი იძულებული იყო ის შეესრულებინა და საქმე დიპლომატიური გზით მოეგვარებინა.

ამგვარად, მე-12 საუკუნის ქართული სარდლობის როლი მარტო სამხედრო საქმიანობით არ ამოიწურებოდა. ის ეხებოდა ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებსაც და ყველგან გარკვეული კვალიც აქვს დატოვებული.

ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხის შეგნებაში, ჯარში სამსახური მოვალეობასთან ერთად, საპატიო საქმედაც იქცა. მაგ. დამნაშავეს, ბოროტმომქმედს არ ჰქონდა უფლება ჯარში ემსახურა. ეს კი მას მექანიკურად მოქალაქობრივ უფლებას ართმევდა, რათგან ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი მტკიცებით **„საქართველოს მცხოვრებთა ძირითად მოქალაქობრივ უფლებად მიჩნეული ყოფილა ერთი „მამულის“ სრული მფლობელობის უფლება, შემდეგ „ლაშქართა შიგან ყოფნის“ და სამსახურის უფლება“**.

ეს ფაქტიც მოწმობს, რომ მე-12 საუკუნის აღორძინებულ საქართველოს ქართველთა სამხედრო ძლიერება რაიმე ეპიზოდურ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ის ყოველთვის იყო ორგანიული ნაწილი ქართველთა, ხოლო ამ პერიოდში მან მაღალი გამოხატულება მოიპოვა.

ალ. მანველიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხენი*).

თავი პირველი

ძვირფასო ქართველო რაინდო შენ გიძღვნი

ვ. უ — ძე

ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოგზაურობას. ამ დარგს თუ მისდევს ადამიანი თავის სამშობლოში — მას ეცნობა და მეტად იყვარებს; მხოლოდ თუ უცხო ქვეყნებში — ვითარდება გონებრივად და ფიზიკურად. აქ , რა თქმა უნდა, არა მაქვს მხედველობაში ერის აყრა და ყიალი, არამედ სპეციალური გეგმით მოგზაურობა სათითაოდ ან ჯგუფად. ძველ დროში ერებს კარგად ესმოდათ მოზაურობის მნიშვნელობა და ვიცნობთ კულტურულ ერებს, როგორც მოგზაურთ. მოგზაური ერები იყვნენ განვითარებული, ხოლო ერთ ადგილზე მჯდომნი კი — ყრუნი და განუვითარებელნი. როგორც ვიცით ისტორიიდან, მოგზაურობდენ რომაელები, ბერძნები, ჰინდოები, ჩინელები და სხვ. ვიცით აგრეთვე, რომ ეს ერები იყვნენ ძლიერნი, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივადაც. მოგზაურობას ეწეოდენ სხვა და სხვა საშუალებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორი პირობები ჰქონდა ამა თუ იმ ერს. ბერძნები ნავსა და იალქანს ხმარობდენ; ჰინდუ — აქლემს მიმართავდა; რომაელები ყოველნაირ საშუალებას,

ზედმეტია აქ მოვიყვანო მაგალითები იმისა, თუ როგორი სარგებლობა აქვს ერისათვის მოგზურობას, — ეს ყოველი მკითხველისათვის გასაგებია.

ბერძნები უძველეს დროიდან ბატონობდენ შავი ზღვის ნაპირებ-

---

*) ეს წერილი ვრცლად დამუშავებულ თემას წარმოადგენს; ტეხნიკურ პირობების გამო, იძულებული ვართ წერილი რამდენიმე ნაწილად გავყოთ. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე და ამ ზღვის მდინარეების კალაპოტებსაც მიჰყვებოდენ. ყველამ კარგად ვიცით იაზონის მოგზაურობა მდინარე ფაზისის აღმართ. — ოქროს ვერძისა და მედეას ისტორია. ბერძნებმა მიაღწიეს აგრეთვე აზოვის ზღვის ნაპირებს, მაგრამ ნაპირებს შორს არ მოშორდენ, რადგან ისინი მხოლოდ მდინარის გზით მიემგზავრებოდენ.

ჰინდუმ ფეხდაფეხობა და აქლემი შეაერთა.

რომაელმა კი ფეხდაფეხობასა და აქლემს ვირი და ნავ-იალქანი დაუმატა და ქვეყანა დაიპყრო.

ყოველივე ამ საშუალებით მოგზაურობას აბრკოლებს სხვა და სხვა ბუნებრივი მოვლენა; ეს კარგად შეიგნეს ჩინელებმა და უძველეს დროიდან შეითვისეს ცხენის მნიშვნელობა და მისი ვარგისობა. არ არის ისეთი ცხოველი, როგორიც არის ცხენი მოგზაურობისათვის. არ შედრკება და არ შეჩერდება იგი; არც ამინდის უვარგისობის, ყინვა-ქარის და სიცხის დროს; ივლის ერგულად ადამიანთან, სანამ არ დაეცემა. ერებმა [illegible] ცხენის კერპი შეიქმნეს, იგი შეიყვარეს და გაიგეს მისი კეთილობა, გაუსწრეს სხვა ერებს კულტურულად. რომის კეისრებმა კარგად იცოდენ ეს და მიმართეს გეზი აზიის უდაბნოებისაკენ, რადგან აქ იყო ბუდე და სათავე დიდებული ცხენებისა. რომაელებს ვხედავთ ბატონ-პატრონად ამ უდაბნურ ცხენთა სამშობლოსა და აკვნისა; ცხენებს მიერეკებიან უდაბნოდან რომისაკენ. პირველი რომაული ცხენი იულიანე კეისარმა შეჰქმნა. უდაბნური ვაყით გალური ცხენები გადააჯვარადინა და მიიღო უკეთესი ჯიშის ცხენები, რომელნიც რომაელ ჯარებს დიდ სამსახურს უწევდენ. ეს ხომ ძველი ისტორიის საბუთია, ხოლო თუ თვალს გადავავლებთ ახლო ხანას, დავინახავთ, რომ რომაელ კეისრის მაგალითით ინგლისმა ისარგებლა. დღეს უდავოდ ინგლისი პირველი მხარეა ცხენების მოშენების მხრივ (რა თქმა უნდა, ცხენის ვარგისობით და არა სიმრავლით). ინგლისმა პირველობა დაიჭირა ამ საქმეში; აღსანიშნავია, რომ ეს მოხდა არა განგებ, არამედ შემთხვევით და მოულოდნელად, (რაზედაც შემდეგ ვილაპარაკებთ). აქ კი ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ერები, ცხენის მოყვარულნი, ყოველ მხრივ უსწრებენ სხვა ერებს.

არაბების ხსენება დღეს არ იქნებოდა, რომ მაჰმადს თავის მოძღვრებაში ცხენის კულტი მაღლად არ დაეყენებინა; ერთი სიტყვით, ყოველი კულტურული ადამიანი ცხენს აფასებს და ესმის მისი მნიშვნელობა. ზემო-მოყვანილს ამტკიცებენ შემდეგი აზრები: —

ტუსენელი (ფრანგი) ამბობს: „ცხენის ისტორია კაცობრიობის ისტორიაა“-ო. ინგლისელი ამბობს: „ყველაზე უდიდესი აღმოჩენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის მიერ ცხენია"-ო. პოლონელები იტყვიან: „თუ რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა, — მაიმუნს მაშინ დაერქვა ადამიანი, როცა ცხენი შეკაზმა და ზედ შეჯდაო". ქართული ნათქვამი კი ასეთია: „კარგი ცხენი, კარგი ხმალი, კარგი ჩოხა და ნაბადი, რას ინატრებს უკეთესსა, კაცი მისებრ დანაბადი" („დიმიტრი თავდადებული).

ჩემი პირადი აზრი კი ასეთია ცხენის შესახებ: თუ რომ ძველი დროის მსოფლიო სასწაულთა რიცხვი შვიდია ესე იგი 1. არტემი დიდის ეფესის ტაძარი, 2. სემირამიდის ჩამოკიდებული ბაღები, 3. ოლიმპიის ზეუსის ქანდაკება, 4. კალიკორნიის პანთეონი (მავზოლე), 5. როდოსის ვეებერთლა, 6. ალექსანდრიის ზღვის კანდელი, მერვედ უკამათოდ ცხენს ვთვლი.

უზარმაზარი ზღვები და ოკეანები დაიპყრეს დიდებულად მოწყობილ ჯავშნიანმა გემებმა და ხომალდებმა, რომელნიც 40 ნაკვანძს გარბიან ერთი საათის განმავლობაში და მიაქროლებენ უზარმაზარ ზარბაზნებს. ჰაერი დაიპყრო თვითმფრინავმა, რომელიც მიჰქრის ევროპიდან ამერიკაში და წინაუკმოდ 400 კილომეტრიანი სიჩქარით; მას მიაქვს უზარმაზარი ყუმბარები, რომლის ჩამოგდება ანადგურებს საუკუნოებით შენებულ ქალაქებსა და სოფლებს.

ევროპა დასერილია რკინის გზის ლიანდაგებით, რომლებზედაც გარბიან მოუსვენრად მატარებლები... რა ლამაზია თვითმავალი, რომელიც ქალაქების ალესილ ქუჩებზე მისრიალებს! რამდენი სიმდიდრე, სიჩქარე, თავისუფლება და დროის მოგება! რამდენი საშუალება გვაქვს მოგზაურობისა და სწრაფად ყოველგვარი საქმის მოგვარებისა! მხოლოდ დაგვრჩა ერთი რამ, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა და უწევს ადამიანს, მისი მსახური და ჭირვარამში ერთგული — ცხენი აქ, რა თქმა უნდა, არ მსურს შევადარო ცხენი ზემოხსენებულ მანქანებს; მსურს მხოლოდ ნათელვყო მისი როლი და დანიშნულება სამხედრო თვალსაზრისით

ბევრი იყო ცდა ცხენი მანქანით შეეცვალათ; ომის დროს (1914 — 1918 წ.) მრავალ შემთხვევაში ეს მოახერხეს და ნაწილობრივ შესცვალეს კიდეც. მხოლოდ სრულებით ამის ქმნა შეუძლებელი გახდა; ამნაირად ცხენს თავისი ადგილი მაინც არ დაუკარგავს. საბჭოთა რუსეთის ცდები სრული მოტორიზაციის მისაღწევად, ცხოვრების ყოველ დარგში, უნაყოფოდ ჩატარდა; რუსეთი იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ ცხენის მოზენებაზედ ეზრუნა. სხვა სახელმწიფოებში ეს საკითხი სხვაგვარადაა.

ინგლისი ძლიერ ავრცელებს მანქანებს, მაგრამ იმავე დროს დიდ ყურადღებას აქცევს ცხენების მოშენებასაც. ინგლისი საერთოდ თანაბრად ეკიდება, როგორც მანქანებს, ისე ცხენების მოშენების საკითხს. საფრანგეთიც ინგლისის მაგალითს მისდევს; გერმანელებმა კი ამ საქმეში ერთგვარი უგულობა გამოიჩინეს და ჩამორჩენ ზემოხსენებულთ, მაგრამ ომის შემდეგ მათაც მიმართეს აჩქარებულ ზომებს და ცხენის მოშენების საკითხი მაღლად დააყენეს. დიდი ომის დროს გერმანელებს ჰყავდათ მრავალი ჯიშის ცხენები, რომელთაც ჯგუფებად ჰყოფდენ; ერთი ჯიშის ცხენები მძიმე ზარბაზნებში შეაბეს, მეორე ჯიშის — მსუბუქ ზარბაზნებში; შემდეგი სხვა და სხვა საბარგულებში და სპეციალური ჯიშის ცხენები კი ცხენოსან ჯარს მიუვლინეს. (რომელნიც სხვათა შორის, ძალიან დიდი ძვალ-ხორცის იყვნენ). თუ წავიკითხავთ დიდი სარდლისა და სპასპეტის ლუდენდორფის დღიურს, დავინახავთ, თუ როგორ სწყევლის იგი დიდი ცხენების ჯიშებს. ტანი დიდი, ხორცი ბევრი, მუცელი გაბერილი და ჯანღონე კი მცირე.. ომის ვაივაგლახი ვერ აიტანეს მათ და მრავლად იხოცებოდენო; იმოდენი თივა-ქერი არ მოიპოვებოდა და ფოთოლით და კარტოფილით ვკვებავდითო, — ამბობს ლუდენდორფი. აქედან დასკვნა გამომდინარეობს, რომ ყოველმა ერმა, ცხენის ჯიში თავის მოთხოვნილების მიხედვით უნდა ამოირჩიოს. ინგლისი და საფრანგეთი ადრე მივიდენ ამ დასკვნამდე და გაასწრეს კიდევაც ყველას.

გერმანეთმა დღეს გამოიცვალა ცხენოსანი ჯარის ტაქტიკა და ამასთან ერთად ცხენის ჯიშის მოშენების გეზიც. გერმანული ძველი ანდაზა ამბობს: "ანდერეს პულვერ, ანდერე ტაკტიკ" ე. ი. ახალი თოფის წამალი, ახალი ტაქტიკა; გენერალ ბრანტმა კი ეს ანდაზა ასე გადააკეთა: „ახალი ტაქტიკა შეიქმნება ახალი ცხენის ჯიშითო" და თანახმად ხსენებული ნათქვამისა საჩქაროდ უდგება ახალი შიჯის ცხენის მოშენებას.

ცხენის მოშენების მხრივ ქვემოდ-მოყვანილ სახელმწიფოებს რიგრიგობით შემდეგი ადგილები უკავიათ: —

1-ლი — ინგლისი. 2. საფრანგეთი, 3. პოლონეთი, 4. გერმანეთი, 5. იტალია, 6. ავსტრია, 7. ჩეხოსლოვაკია, 8. რუმინეთი, 9; ოსმალეთი და 10. საბჭოთა რუსეთი.

რასაკვირველია, აქ მოყვანილი თანდათანობა მოცემულია ხარისხის და არა ცხენთა რიცხვის მიხედვით.

როგორც დამტკიცდა, საუკეთესო და ყოველი მხრივ მოსახმარი ცხენი არის ინგლისური ჯიშის ე. წ. ფულბლადი ანუ „სავსე სისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის“ ცხენი, რომელიც წარმოიშვა ადგილობრივ ინგლისური სისხლის ფაშატებისა და აღმოსავლეთის (არაბული) ვაყებისაგან*)

სხვა და სხვა ერი სხვა და სხვა თვალით უყურებს ცხენის ვარგისობას; ხშირია მოვლენა, როდესაც ამბობენ, რომ ცხენი პატარა არისო; მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ცხენის ფასი დამოკიდებულია მის ვარგისობაზე და არა სიდიდეზე; პატარა ცხენი საერთოდ ძალიან გამძლეა და მარდი, ხოლო დიდი — მძიმე და ტლანქი. რა თქმა უნდა, ინგლისური ცხენი ყოველ ქვეყანაში არ იქნება გამოსადეგი; საჭიროა ადგილობრივ ჯიშს ინგლისური სისხლი შეერთვას და მივიღებთ საკუთარ ჯიშს, რომელიც დიდი ვარგისობის და გამოსადეგი იქნება. ასეთი ცხენი (ადგილობრივი) ომის ვარამსაც აიტანს და მიწის სამუშაოდაც გამოდგება. შემდეგში ქრონოლოგიური წყობით ავწერ ყოველი ცხენის წარმოშობის ისტორიას და ყოველი ქვეყნის და ერის შეხედულებას ამ საკითხზე; აქ კი მინდა დამახასიათებელი ნიმუში და მაგალითი მოვიყვანო ჩვენი დროის საქართველოს ცხოვრებიდან. როდესაც საქართველოში გერმანელების ჯარი ჩამოვიდა 1918 წ. ღენერალი კრესი ფონ კრესენშტაინის სარდლობით, საქართველომ იყიდა რამდენიმე ასეული ცხენი. ეს ცხენები 3—4 წელი ომში იმყოფებოდენ, ბებერი და ულონო და ომითაც დაქანცული იყვნენ; საქართველოს ჯარს ცხენები არ ჰყავდა, ვინაიდან რუსეთმა მობილიზაციის დროს საქართველოდან 12,000 ცხენი გაიყვანა და მხარე თითქმის უცხენოდ დარჩა. ეს დიდი ტანის ცხენები, გერმანული ცხენები სამი თვის განმავლობაში დაიხოცენ. აქ უნებლიედ ისმება საკითხი — რატომ? აი მიზეზი: — ცხენის ჯიში შექმნილი გერმანეთში კარგია გერმანეთისათვის, ხოლო საქართველოსათვის კი არა, რადგან ნიადაგი, ჰავა, ალერდი და სასმელ-საჭმელი სხვანაირია ჩვენში. ამის გარდა ცხენს შესაფერი მოვლა უნდა და არა ისეთი, როგორც ეს იყო ჩვენში**).

---

*) ინგლისური „ფულბლად“ სავსე სისხლის, ხოლო არაბული — წმინდა სისხლის.

**) ავტორი საერთოდ მართალია, მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში, გერმანულ ცხენების სწრაფი განადგურების მიზეზები ცუდი მოვლით აიხსნება, (რასაც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი). მოვიგონოთ, რომ გერმენული ცხენები დაიხოცენ საქართველოში ქართველების და არა გერმანელების ხელში. ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ის ბედი, რომელიც ეწვია ინგლისურ ცხენებს; ეს ცხენებიც დაიღუპენ ქართველების და არა ინგლისელების ხელში. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო ქონებას, ცხენის სიმდიდრე საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში შემდეგი იყო: —

სამეგრელოში — 400
აფხაზეთში — 300
გურიაში — 200
აჭარაში — 200
იმერეთში — 800
რაჭაში — 600
ქართლში — 150
კახეთში — 200

ესე იგი მთელ საქართველოში (აღწერის მიხედვით) იყო 2850 ცხენი. **აქ რა თქმა უნდა მხედველობაში ვიღებთ ომში გამოსადეგ მასალას,** როგორც საუნაგრესა, აგრეთვე შესაბამს და საჩალანდროსა, რომელიც მეტად საჭირო და გამოსადეგია ჩვენ მთა-გორიან ადგილებში. ზემომოყვანილი რიცხვი გამოხატავს მხოლოდ საომრად გამოსადეგ ცხენების სიმრავლეს (4—10-წლიან ჰასაკის ცხენებს) ე. ი. იმ მასალას, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით გაისინჯება. დიდი მოთხოვნილების დროს, თუ ცხენებს ჩამოვართმევთ წყალტუბოს მედელჟნეებს, სხვა და სხვა მეეტლეებს და შევკრებთ რაჭა-სვირის მეჩალანდრე მოხუც ცხენებს და ჯორებს, რა თქმა უნდა, ეს რიცხვი გაიზრდება 3500-მდე, მაგრამ ეს რიცხვი ხომ ქართველ მხედრობის მოთხოვნილებას ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებს. ეს საკითხი სათანადო ადგილზე უნდა იყოს დასმული თავისუფალ საქართველოში, ვინაიდან უცხენოდ ვერას ვიქმთ ჩვენს უგზოო მიდამოებში.

დღეს ყოველი ერი მიეცა შეიარაღების ჯირითს, ვინ ვის გაასწრებს იარაღის სისრულით და ვარგისობით; აქ უნდა ითქვას; რომ მიუხედავად ტექნიკის დიდი წარმატებისა, ცხენს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სათანადო ადგილი არ დაუკარგავს და ამ საკითხს დღესაც ყოველ დაწინაურებულ სახელმწიფოში დიდ ყურადღებას აქცევენ. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, როგორც ეს აღვნიშნეთ, ცხენთა სიმრავლის მხრივ, ვიმყოფებით მართლაც რომ უნუგეშო მდგომარეობაში.

შეიძლება თუ არა უცხენოდ ომობა ჩვენში? პასუხის გაცემა ადვილია — არა! ავიღოთ სამხრეთი, აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ სამხრეთის ასპარეზი და დავინახავთ კრგდ ცხენის უცილებელ საჭიროებას. უკანასკნელ დროს საქართველოში ცხენების რიცხვი მართალია არ იყო დიდი, მაგრამ ესეც არ გამოგვიყენებია. დღეს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტორიზაციით მოცულ საბჭოთა საქართველოში 500 ცხენსაც ვერ მოჰკრიბავთ.

ეხლა შევუდგეთ საქართველოს საუკეთესო ხანას ცხენის მხრივ. როდის იყო ძალიან მაღლა დაყენებული საქართველოში ცხენის კულტი? — რა თქმა უნდა, რომ დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის ხანებში. დიდძალ ცხენოსან ჯარმა შეჰქმნა ახალი ტაქტიკა, ახალი ერა და ძლიერი და აღორძინებული საქართველო. ისტორიული საბუთია, რომ ყივჩაღთა ცხენოსანი ჯარი დავითმა მზითვად მიიღო. თამარის დროს ცხენოსანი ჯარი მეტად გამრავლდა; ხოლო შემდეგში ზაზა ფინასკენტელი ციციშვილის სიკვდილის შემდეგ და საერთოდ ცხენოსნობა, როგორც ცხენის კულტის გამომხატველი, მიექანება დაღმართით და გრძელდება ჩვენ დრომდე.

თავი მეორე.

ცხენის ადგილი ცხოველთა შორის.

ჩვენ მიერ ცნობილი შინაური ცხენი ეკუთვნის ცხოველთა იმ ერთ ჩლიქიან ჯგუფს, რომელთა რიცხვიც ძალიან მცირეა და რომელნიც მცენარით იკვებებიან. ცხოველთა ეს პატარა ოჯახი სამ ნაწილად იყოფება: —

ა. სამი ჯგუფი ე. წ. ჰიპპოტიგრიდების ესე იგი ღვედიანი ცხენები (სრულებით გარეული), რომელნიც ცხელ ქვეყნებში იმყოფებიან (ქუაგა, დაუვი, ზებრა).

ბ. ხუთი ჯგუფი ვირების (სახედარი), ცოტად მოშინაურებული:

ა. აფრიკის უდაბნოს ვირი — აზინუს აფრიკანუს,

ბ. აზული კულანი — აზინუს ონაგერ,

გ. აზული კოანგი — აზინუს პალიოელონ,

დ. შინაური ვირი — აზინუს დომესტიკუს,

ე. აზული ნახევარ-ვირი — აზინუს ჰემიონუს.

გ. ცხენი შინაური — ექუუს კაბელუუს, რომელიც იმყოფება თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე, როგორც ცხელ, აგრეთვე ცივ ქვეყნებში. აზიის გარეული „ტარპანი“ ან ამერიკის „ციმარონი“ მიღებულია, როგორც შინაური ცხენი, მაგრამ შემდეგში გაგარეულებული.

ცხენი ბუნებამ განასხვავა სხვა ცხოველთაგან სისწრაფით და ამიტომ იგი სხვა ტოტს შეადგენს მათ შორის.

არც ერთი ჩლიქიანი ცხოველი სისწრაფით თავს არ იჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენს აქვს მხოლოდ ერთი კუჭი, არა აქვს თავის სამკაული (რქები), ისე როგორც სხვა ჩლიქიან ცხოველებს და არა აქვს ზედმეტი შიგნეული, რომელიც უშლის მიხვრა-მოხვრას სხვა ცხოველთ. დიდი ხანია, რაც სხვა და სხვა ერებმა იცნეს ცხენის ვარგისობა და მისი სისწრაფე და დაიწყეს მისი გამოყენება.

ძველ რომში ცნობილი იყო დოღი ყველაზე უსწრაფესი ერთ-ჩლიქიანი ცხოველის — ცხენის და ფრინველებში უნელეს მფრინავის — სირაქლემის შორის.

ეს დოღი ყოველთვის თავდებოდა ცხენის გამარჯვებით; დოღი ცხენსა და სირაქლემას შორის ხშირი იყო, მაგრამ ყველაზე ხშირად იმართებოდა გარეულ ვირსა და სირაქლემას შორის; ამ შემთხვევაშიც სირაქლემა უკან რჩებოდა.

როგორც არქეოლოგია ამტკიცებს, ცხენს წინად 5 ჩლიქი ჰქონია, შემდეგ სამი და დროთა განმავლობაში ერთ ჩლიქზე გადასულა. როდესაც ადამიანი წარმოიშვა, მან მაშინვე შეიგნო ცხენის სარგებლიანობა და მოისურვა მისი გამოყენება; მოითვინიერა და დაიმეგობრა იგი და ცხენიც დღემდე მისი განუყრელი მეგობარია. არქეოლოგია ამტკიცებს, რომ უკვე ყინულის ხანის წინად ცხენი ადამიანის განუყრელი მეგობარი ყოფილა. ცხენს დიდი თმა ჰქონია და ძაღლის სიდიდის ყოფილა. როგორც ზემოდ ვსთქვით, არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ცხენთ-მოყვარე ერები ძალიან მაღლა მდგარან ინტელექტუალურად, იმ ერებთან შედარებით, რომელთაც ცხენის კულტი არა ჰქონიათ.

დარვინი, ბუნების დიდი მცოდნე, ცხენთა სხვა და სხვა ფერობას მიაწერს იმ მოვლენას, რომ დღევანდელ ცხენთა წინაპრები ღვედიანები ყოფილან (როგორც მაგ. ზებრა), ისე როგორც კატის ჯიშის წარმომადგენლები. ჯორა-ცხენი (ან კვიცის მიერ იმის პირველი ფერის შეცვლა) ხომ ერთი საბუთთაგანია დარვინის თეორიისა!

ძველ საქართველოში ძვირად ფასობდა ლურჯი ფერის ცხენი, რომელსაც მუხლის კუნთზე, ბეჭზე, ბაყვზე და კისერზე ობობა ჰქონდა; ამაში ცხენის მუხლმარდობის და ძალღონის ნიშანს ხედავდენ. ზემოხსენებულ მოვლენათა დამამტკიცებელი მაგალითებია ზებრი და ვირი; აქ აშკარად ვხედავთ ამ მოვლენას, ე. წ. ატავიზმუს; ცხენებში ეს მოვლენა მაშინ მოსჩანს, როდესაც ლურჯი, თეთრი, ჯორა ან კაჭური ფერების არიან.

ქვის ხანის არქეოლოგია მრავალ საბუთებს გვაძლევს იმისას, თუ სხვა და სხვა ერები ცხენს რამდენად აფასებდენ. ამის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი აღმოჩენა აქვთ შვეიცარიის არქეოლოგებს, რომელთაც შვეიცარიაში მოახდინეს დიდი კვლევა.

თავი მესამე

ცხენი ისტორიულ ხანაში.

თუ რომ არქეოლოგიიდან ისტორიაში გადავალთ, საწინააღმდეგო დებულებას იქაც ვერ დავინახავთ. ველს — ვილიამსი ამბობს, რომ უძველეს ერთა (როგორც ჩინელები და მონღოლები არიან) ძველ საფლავებში მრავალი საბუთები ინახება იმის დამამტკიცებელი, რომ ცხენი ამ ერებს ძალიან ჰყვარებიათ, სცოდნიათ მისი წრთვნა და მოხმარება. საფლავებში, ადამიანებთან ერთად, ბევრჯერ უპოვიათ ცხენის ჩონჩხი, რაც ამტკიცებს მისდამი დიდს სიყვარულსო. სემიტის მოდგმის ერებშიც ვხადავთ ბევრჯერ ცხენს, როროგც ადამიანის განუყრელ მეგობარს. ძველი ეგვიპტე დაპყრობილ იქმნა სემიტის ჩამომავალი ერის მიერ, რომელსაც „ჰიქსოსები" ერქვათ; მათმა მბრძანებელმა, რომელიც მე-17 დინასტიას ეკუთვნოდა, განკარგულება გასცა ცხენოსნობისა და შებმის დაწყების შესახებ. მეთვრამეტე დინასტიაში კი ამას ვერ ვხედავთ, ვერც იეროგლიფებში და ვერც სურათებში. ცხენოსნობა გადაგვარდა, რადგან ერის სისხლში ცხენისადმი სიყვარული არ შერჩენილა. იდუმიელები განთქმულ ცხენოსნებად ითვლებოდენ. ბაბილონელები ნახევარ მილიონიან ცხენოსან ჯარს ჰგზავნიან სხვა და სხვა მიმართულებით. ფინიკიელები, რომელთა ძლიერებაც ზღვაზე ლეგენდარულია, ვერასოდეს ვერ მიაღწევდენ მას, თუ რომ ცხენოსნობისათვის ყურადღება არ მიექციათო, ამბობს ისტორიკოსი.

არიული ერები პირველ დღიდანვე ხომ ცხენოსნები არიან! მათ დასტოვეს სამშობლო ჰინდუყუში და ბრინჯაოს იარაღითა და ცხენის წყალობით დაიპყრეს ჰინდუ აღმოსავლეთით, ხოლო ცელტები, გერმანელები და სლოვიანები გაემგზავრენ დასავლეთით და გაიფანტენ ევროპის მიწაწყალზე. ამ ერებმა ცხენის ქება და კულტი მაღლა დააყენეს, რაც იობის სიმღერებშიც კი აღნიშნულია.

ის ერები, რომელნიც ირანის ახლოს სცხოვრობდენ, კარგად იყვნენ გაცნობილნი ცხენოსნობას და ოთხად შებმას; მათ ძლიერ უყვარდათ ეს ხელობა (ქრ. წინ).

ნიზეა ხომ ცნობილია როგორც საუკეთესო ცხენების აკვანი. სახელმწიფოს ჰყავდა საკუთარი ცხენები.

მედეას ხომ ჰაყვდა პატარა, მაგრამ საუკეთესო ცხენები! ასურელები ხელიდან არ უშვებდენ კაპადოკიურ ცხენებს.

კვიროს მეფემ პირველი ფოსტა ცხენისა შეჰქმნა. რაც შეეხება ჰინდოში მცხოვრებ ერებს — ვერ ამრავლებენ ისინი ცხენებს ნოტიო ჰავის გამო და თუ ჰინდო ცხენების მხრივ მაინც მაღალ საფეხურზე იდგა, ეს იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებიდან მოჰყავდათ.

პელაზგები ხმელთა-შუა-ზღვის ნაპირებზე ორ ნაწილად გაიყვნენ; ერთი ნაწილი ბერძნებისა და მეორე ე. წ. ლათინებისა დასახლდენ ამ ზღვის ნაპირებზე. ბერძნები მოგზაურობას მისდევდენ ნავიალქანის საშუალებით, მაგრამ ცხენი უყვარდათ, რასაც ხშირად ვხედავთ მათ ლექსებში, სადაც უმღერიან ცხენ-კაცებს, არიონს, ნეპტუნს და სხ. მოვიგონოთ ძველი ტროიის გართობანი, როდესაც დიდი დღესასწაულები იმართებოდა. ცხენდაცხენ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ცხენსა და ცხენოსანს დიდათ აჯილდოვებდენ. დიდი მეომარი ალექსანდრე იმიტომ იყო უძლეველი, რომ დიდი მნიშვნელობა და ძალღონე ჰქონდა მის ცხენოსან ჯარს, რომელიც იჯდა თესალურ, ეფითაურულ, თრაკიულ, პელოპონესის, ეპირის და არ გასულ ცხენებზე და არა იმიტომ, რომ ბერძნები არაჩვეულებრივი მეომარნი იყვნენ. რომი ხომ ურყევლად და გადაწყვეტით მიდის ქვეყნის დასაპყრობად? იგი ეყრდნობა ძლევამოსილ ქვეითი ლეგიონებს, მაგრამ უცხენოდ საქმის დაგვირგვინება ეძნელება და ამიტომაც ჰქმნის ე. წ. ცხენოსან გვარდიას (კოლერეს), რომელიც შემდეგში რესპუბლიკის დროს გარდაქმნილია „ექუიტებად" (ეკუუს — ცხენი) ე. ი. ცხენოსნებად. რომის გამარჯვებებში უმთავრეს როლს „ექუიტები" ასრულებენ. ეს ცხენოსნები იერიშის დროს სადავეს ლაგამს ხსნიდენ ცხენებს, რათა მათი სიჩქარე არ დაებრკოლებინათო — ამბობს ისტორიკოსი.

რომაელთა კეისრების დროს უმთავრესი გართობის საგანი ცხენოსნობა იყო. თვით ნერონი ხომ დიდი მოყვარე იყო ცხენით შებმულ კვადრიგისა. რომი თავს უყრიდა მსოფლიოში განთქმულ კარგ ჯიშის ცხენებს. პონონიის, დაკიის და თრაციის ცხენები მიჰყავდათ რომში. კაპადოკია, სირია, ეგვიპტე, ნუმიდია, ლიბია, მაურიტანია და ბოლოს კი იბერიის (ივერია) ცხენთა ქონება ხომ სულ რომის საკუთრება იყო და მხოლოდ ამ ქვეყნებს შეეძლოთ იმ რიცხვის ცხენების შეგროვება, რაც რომს სჭირდებოდა. კეისრებს თავიანთი საკუთარი ჯოგები ჰყავდათ (გრეტ დომინიკუს). ვირგილიუსის „გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგიკა"-დან მრავალი ტაეპი გვისწავლია ზეპირად ცხენის ხოტბისა და ცხენოსანის ქებისა. ეს ტაეპები უკვდავია დღესაც. კელტების ცხენები ვალიაში პავის გავლენით დამცირდენ და გადაგვარდენ, მაგრამ ომებში მათ დიდ სამსახურს უწევდენ. ალებ-მიცემობაში და მოგზაურობის დროს ამ ჯიშის ცხენებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ; კეისრები აქებდენ ძლიერ ამ ცხენებს მიუხედავად იმისა, რომ მცირენი არიან. გერმანელები, რომელთა ცხენები აგრეთვე მცირენი არიან, ვიდრე კელტებისა და სისწრაფე ნაკლები აქვთ, ამ ცხენებს ხმარობენ მხოლოდ მოძრაობისათვის, რათა სწრაფად მივიდენ ომის ასპარეზზე, ხოლო ომს კი აწარმოებენ ფეხდაფეხ. გერმანელები კელტებს დასცინოდენ, რადგან კელტები უნაგირის მსგავს ბალიშებს ატარებდენ ცხენის ზურგზე (უნაგირი მაშინ არ იცოდენ).

რაც შეეხება სლოვიანებს — მათ ფართო მიწა - წყალზე, რომელიც სამი ზღვით იყო შმოზღუდული (შავი, ადრიატიკის და ბალტიის ზღვებით) მრავალი ცხენი მოეპოვებოდა. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ სლოვიანები ბატონ-პატრონი კარპატებში, მაღალ მთაზე იჯდა , და ცხენებს სამ ზღვაში აბანავებდაო.

ამ ერებს ძლიერ მაღლა აჰყავთ ცხენის კულტი.

ქართული ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ქვეყნის მფლობელი ე. ი. ღმერთი) ყოველ დღე შემოუვლის ხოლმე თავის სამყაროს თეთრ ცხენზეო. ქართული თეთრი გიორგიც ხომ თეთრ ცხენზე ზის. ყოველი ავადმყოფობა (იმერეთში) მცხოვრებთა შორის (სოფლებში) განიკურნება თეთრ ცხენზე ლოცვით. შელოცვები ვის არ გაგვიგონია? ეს თვალნაკრავიო, წყლიდან ამოყოლილიო, ანაყოლიო და სხ. თეთრი ცხენი და შავი ნახშირი, ხალხური გადმოცემით, ჰკურნავს ადამიანსო.

სლავიანური მოდგმის ერებმა, ე. წ. დაკებმა, გეტებმა, სვევებმა, დიებმა და სხ. თავიანთი ორპირიან ხმლების და ცხენოსან ჯარის წყალობით; რომთან ერთად, ჩრდილოეთ აფრიკის მიდამოები დაიპყრეს, აქ სახელმწიფო დააარსეს და იბატონეს 534 წლამდე, როდესაც ეს სახელმწიფო ბელიზარის მიერ დაპყრობილი იქმნაო, —ამბობს გრაფი ჩაპსკი.

დნეპრის აღმოსავლეთით დიდი მიდამოები ეჭირათ მონღოლთა სხვა და სხვა ტომებს, რომელთაც ცხენი უყვარდათ და იცოდენ კარგად მისი ხედნა და წრთვნა. ცნობილია ისტორიაში სახელმწიფო „კრასუს" მეფისა, სადაც ცხენის ხედნა პატიოსნურ და დიდ ხელობად ითვლებოდა ცხენები აღმოსავლეთით მოდიოდენ; ამ სახელმწიფოს წყალობით სლავიანებმა ჯიში გაამაგრეს და ირანის ცხენთა

ჯიშის წყალობით კარგი ცხენები მოაშენეს. ამ ჯიშის ცხენებზე მჯდომი ჯარი, შიშის ზარს სცემდა რომაელების ლეგიონებს დიდი კრიტიკული და გარდამტეხი მოვლენები იშლებიან ერთა დიდი მოგზაურ-გადასახლების ხანებში, როდესაც ერთიანად ხელოვნება და განვითარება განსაცდელში ვარდება. ამ ხანებში ევროპის ტყეები ივსება უპატრონო ცხენებით, რომელნიც გარეულდებიან. საშუალო საუკუნოების ისტორია ამ ცხენებს უწოდებს „ეკვიეერუს" ან და „ეკვუუს სილვესტრის"*).

კაცობრიობა ძძიმე პირობებიდან გამოდის მაშინ, როდესაც აღმოსავლეთით მსოფლიო ასპარეზზე ჩნდება ჰარუნ-ალ-ხაშიდი, ხოლო დასავლეთით კარლოს დიდი. ჰორიზონტზე ორი დიდი სახელმწიფო ჩნდება, რომელთაგან ერთი სწავლას და ვაჭრობას მისდევს, მეორე კი კანონმდებლობას. ორივე სახელმწიფო გართულია სარწმუნოებრივ ბრძოლებში.

ამ ხანების ცხენდაცხენ ჯიბრ-თამაში და ცხენისადმი სიყვარული ცნობილია.

მაჰმადის მოძღვრებამ აღმოსავლეთის ერებს ცხენები შეაყვარა. ამ დროიდან ცხენებისათვის ახალი ხანა იწყება. მაჰმადი პირდება ერებს სააქაოს პატივს, მხოლოდ საიქიოს კი ლამაზ ქალებს და კარგ ცხენებს ყველა მათ, ვინც სიცოცხლისას ცხენს პატივით მოეპყრობა. "ერთი მადლი ცხენისთვის, საიქიოს 10 ცოდვას გამოისყიდისო", ეუბნება მაჰმადი მორწმუნეთ. მაჰმადი ამბობს: „ამ ქვეყნად სამი ბედნიერებაა, რომელიც ყოველ თქვენგანს შეუძლია ჰქონდეს და რომელიც მოიპოვება ქალის გულზე, ცხენის ზურგზე და ჩემი მოძღვრების წიგნებში"-ო.

მაჰმადამდე არაბების ხსენება როგორც ცხენოსნებისა არ იყო არსად. ისინი სპარს-ბერძნების ომის დროს აქლემებზე ისხდენ. ბოლოს და ბოლოს რომს მიჰყავდა აღმოსავლეთიდან ცხენები, მაგრამ არსად არ არის ნათქვამი არაბული ცხენების შესახებ.

ერთი ჯამბაზური სიტყვა მაჰმადისა ხალხს ფეხზე აყენებს. ხალხი მიეშურება ცხენთა ბუდეებისაკენ, უდაბნოში. იპყრობენ „ნიზე-

---

*) პოდოლის გუბერნიაში მე-16 საუკუნეში, 1591 წელს, ქ. ვინნიცის გლეხებს სასამართლომ მიუსაჯა რამოდენიმე დათვი, ტურა, მგელი, მელა, გარეული ღორი, ირემი და 12 ფაშატი ცხენი, რომელთა დახოცვა მათ შეეძლოთ. (ისტორიული საბუთი: „ენციკლოპედია როლნიცტვა" ,ტ. 2, 1786 რ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის“ ველებს; შემდეგ კაპადოკიას — ცხენების ბუდეს და აკვანს.

რამდენიმე ხნის შემდეგ არაბთა მეომარი ჯგუფები საფრანგეთამდე აღწევენ. პუატიეს ველებზე ხვდება მათ კარლოს მარტელის მძიმე ცხენოსანი ჯარი; მაჰმადის მოძღვრებით გათავხედებული არაბები იბრძვიან დიდი გმირობით, მაგრამ მარცხდებიან. არაბების დამარცხება საძირკვლად ედება ძლიერ და დიდ სახელმწიფოს — კარლოს დიდის მონარქიას.

დღევანდელი ნორმანდია ცნობილი იყო ცხენებით. მან სამხრეთის ცხენების ჯიშები შეურია ჩრდილოეთის ჯიშებს, რათა სახელმწიფოში გააერთიანებინა ცხენთა ჯიში და მისი ვარგისობა აემაღლებინა. დიდ რაინდულ ჯარმა ამ ცხენების ჯიშის წყალობით ინგლისი დაიპყრო.

სტამბოლის დაპყრობა თურქების მიერ ახალ გზას ხსნის ცხენების გადმოყვანისათვის აზიიდან ევროპაში.

ხშირი ომები პოლონეთისა და ჯუნგრეთისა თურქებთან საშუალებას აძლევენ ამ სახელმწიფოებს აავსონ თავიანთი ადგილ-მამული საუკეთესო აღმოსავლური ცხენებით. გარდა ამისა სხვა ქვეყნებიც, როგორც ინგლისი, საფრანგეთი, ისპანეთი, იტალია და გერმანეთი ვაჭრობას აწარმოებენ აღმოსავლეთთან და იქიდან ცხენები მოჰყავთ თავთავიანთ ჯოგების გასაუმჯობესებლად. აღმოსავლეთიდან მოდის ევროპაში მრავალი კარგი ცხენი; ამ მიზეზის გამო ძნელია დღეს ევროპის მიწაზე ისეთი ცხენის ნახვა, რომლის ძარღვებში არ იყოს ორიენტალური სისხლი. ევროპიელ ცხენთა ისტორიაზე და ვარგისობაზე ბაასი თითქმის სრულიად ამოვსწურეთ.

გავჩერდეთ ახლა საქართველოზე, რომლის ისტორია და საკითხები ყველაზე მეტად გვაინტერესებს. ვინაიდან არა მაქვს დასამტკიცებელი მასალა ცხენისადმი სიყვარულისა იმ ერების შორის, რომელნიც ტიგრისა და ეფრატის ნაპირებზე სცხოვრობდენ, (ჩვენი წინაპარნი) — ამ ხანას არ შევეხები. დავიწყოთ იქიდან, როდესაც ჩვენი წინაპრები აჭარა-ახალციხის მთებს მოადგენ. კაპადოკია ხომ ახლოს იყო და იქიდან დიდ-ძალი ცხენები მოჰყავდათ საქართველოში. ერთ-ერთ მთავარს, 245 წელში ქრ. წინ, ცხენის დღესასწაული ჰქონია დაკანონებული; იმართებოდა მარულა და ღიმ-ყანაო. ისეთი ლამაზი ყოფილა თურმე ეს ცხენოსნური გართობა, რომ ყანა უღიმოდა ამ სილამაზეს და აქედან წარმოშვებულა სიტყვა „ღიმ-ყანა ანუ ყანის ღიმილი. ასეთი თამაში — გართობანი —ხშირად იმართებოდა აბასთუმანის და მცხეთის ველებზე. შემდეგში ასეთი თამაშობა იმართებოდა ყოველ სოფელში, მხოლოდ უდიდესი დღესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწაულები ცხენებისა დასავლეთ საქართველოში ყოფილა. იმ აწერაში, რომლითაც ვსარგებლობ, ნაგულისხმები უნდა იყოს იმერეთი და სამეგრელო. შემდეგში ამგვარ გართობებს მეგრელები „არაბაის“ დღეს უწოდებდენ. ხოლო იმერეთის სოფლებში „ლაფშური“ დაურქმევიათ. მთელი 22 საუკუნის განმავლობაში არსებულა ამ დღესასწაულის ტრადიციის განუწყვეტელი ძაფი; თუ საიდგან გადმოიღეს ეს ჩვეულება — ამის შესახებ ნათქვამი არაფერია.

მეხუთე საუკუნეში დიდ გართობად ითვლებოდა ცხენდაცხენ ნადირობა; გორგასლანი დიდი მონადირე და ცხენოსანი ყოფილა.

ქართულ ტომებს მეოთხე საუკუნეში სცოდნიათ ჰუნეგირი (ჰუნე — ცხენი, ბედაური და გირი — სიმძიმე, ან საპალნე; აქედან არის ქართული ჰუნეგირი ანუ უნაგერი — დამახინჯებული).

ომები სპარს-ოსმალებთან დიდ სარგებლობას იძლეოდენ ცხენის მასალის მხრივ. კაპადოკიური, სპარსული, არაბული და თურქული ცხენების სისხლის წყალობით, საქართველოს კარგი ცხენის მასალა ჰყოლია. ცხენების მოშენების მხრივ საქართველოს საუკეთესო ადგილი დაუჭერია ახლო-მახლო ქვეყნებ შორის; მაგრამ ამ ცხენთა ვარგისობა დიდ მაშტაბზე არავის გამოუყენებია. მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე ქართველები დიდ სიყვარულს იჩენენ ცხენისადმი, ხოლო შემდეგში ეს წყეული საუკუნე საქართველოს ისტორიაში სცვლის ქართველების გემოვნებას; ცხენისადმი ტრფობა თან და თან იკარგება და ჩვენ ხანაში კი თავდება რამდენიმე გერმანულ და ინგლისურ ცხენის ყიდვით. დაიკარგა ცხენის სიყვარული, მხოლოდ აღსდგება კი როდისმე ეს საუკეთესო თვისება და ნამდვილი რაინდული ჩვეულება უფალმა უწყის!

უკანასკნელ დროსაც საქართველოში სოფლები მართავდენ ე. წ. მარულას და ეჯახებოდენ ცხენდაცხენ ერთი სოფლის ახალგაზრდები მეორე სოფლისას. მარულა, ჯირითი და სხვა ცხენოსნური გართობანი, ვიცით რომ 15 წლის წინადაც იმართებოდენ საქართველოში. ხალხური ლექსები ცხენზე მეგრულად და იმერულად მრავალი გამიგონია. სამეგრელოში ხომ ყოველი მწყემსი მღეროდა ე. წ. ვარაი და ვარადას. რასაც პატარა ბავშები არაბულ ცხენს უმღერიან; მათ გაგება ჰქონიათ, თუ რა არის ე. წ. არაბა? გავიხსენოთ დავით აღმაშენებელის და თამარის დრო. ზოთა რუსთაველი ხომ განსაკუთრებით აგვიწერს ცხენდაცხენ ნადირობას როსტევან მეფის და ავთანდილისა, როდესაც ცხენთა მათთა ნატერფალი მზისა შუქს აბნელებს. თამარის დროის დოღები ხომ ცნობილია ყველგან? დღესაც ცხენის ვარგისობას ეგრევე დოღებით სინჯავენ, როგორც თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარის დროს იყო. დოლს, რომელიც ცხენის სიმარდისა და გამძლეობის გამსინჯველია, შოთა ასე უმღერის: — „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა“-ო. აი ნამდვილი მეოცე საუკუნის დოლი მეთორმეტე საუკუნეში!

ერეკლე მეფე ხომ თეთრ, ან ლურჯ არაბულ ცხენზე იჯდა და მხლებლებსაც ასეთ ცხენებზე უნდა ეახლათ. ვის არ ახსოვს ე. წ. „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ — მშვენიერი მოთხრობა, სადაც ერეკლე მიაქანებდა ცხენს და მხლებლებიც თან მისდევდენ.

ქართველ მეფეთა თავლები და ჯოგები დიდი ხარისხის ცხენებს იკალთებენ. გადავხედოთ ქართულ მემატიანეს, საიდანაც სიტყვა სიტყვით მომყავს შემდეგი წერილი(ხოლო ავტორის გვარი არ დარჩა და პირველი ფურცლები აკლია; არ ვიცი რომელი წელია, ან რომელი მეფეა ნახსენები) : —

„თვალხან შეკრბენ ცხენოსანნი, ნაპირსა ფაზისისა, იმერთა და გურ-მეგრელთა. ჯარნი შეკრბენ, ერთისა დროშითა, საცა აღმით მივიდის, ტეხილსა სურამისა ზაზაჲ ფინასკენტელი თვით მივიდის პირითა თვისითა, რამეთუ წინემძღოლა მათთვის. განყო ზაზამან, სამთა დროშათა ჯარნი თუისი, საცა იმერნი კუნტრუშით წერეთელმან ზურაბმან, მთავარმან მათთმან, რხმალ შუბითა ხელში, ყიჟინით მტერს დასიდან მძლაურად დაარტყა. მთაუვარი გურიისა, აღმოსით გაუარდა, რათა შეექმნა ფიცხელი ბრძოლა და შეტყორცნა, ხოლო პირდაპირ მივლის მტერთა სახესა, ზაზა დადიანითურთ“.

აქ ვხედავთ, თუ როგორი იყო მოქმედება, ხოლო ეს დაწვრილებით არ არის მოყვანილი; მაგრამ თუ ავხსნით, შეიძლება ამგვარად გავიგოთ:

ზაზამ ზეკარისაკენ გააგზავნა წერეთელი, იმერეთის ჯარით; აღმოსავლეთით გურიელი წავიდა გურულებით; ხოლო ჯარი დადიანისა ე. ი. მეგრელები, მიეშურენ პირდაპირ და ვინაიდან ამ მხრივ უფრო სახიფათო იყო, ამიტომაც ზაზა გაჰყვა დადიანს. აქ მოყვანილია ქრონიკონი და ერთი ასო არის მხოლოდ მთლად — „ჩ“, რაც ნიშნავ — 1000-ს, ე. ი. ეს ამბავი ათასსა და რომელსამე წელს უნდა ყოფილიყო. ძნელია დამტკიცება იმისა, თუ რომელი ომია, მაგრამ ჩვენი ჯარების ცხენდაცხენ მოქმედების ერთ-ერთ ისტორიულ მაგალითად ეს ამბავიც გამოდგება.

ვ. უ — ძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი მაგალითი

ცხენოსანი ჯარის მოქმედებისა

წარსული წლის „მხედრის“ ერთ-ერთ ნომერში ბ. ღენერალ ჩხეიძის მიერ მოყვანილი იყო ცხენოსანი მასის მოქმედების ორი თვალსაჩინო მაგალითი. ორივე შემთხვევაში ცხენოსანმა ჯარმა გადამჭრელი როლი ითამაშა ომის მსვლელობაზე ოპერაციულ მაშტაბში. ავტორს ამ მაგალითების განხილვიდან გამოჰყავდა დასკვნები ცხენოსანი ჯარის საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენი პირობებისათვის დიდს მნიშვნელობაზედ. ვემხრობი რა სრულიად ამ მხრივ იქ გამოთქმულ აზრებს, მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითიც, სადაც ცხენოსანმა ჯარმა, **ბრწყინვალე შედეგების მიღწევის სრული შესაძლებლობის მიუხედავად, უნაყოფოდ იმოქმედა და ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია**. ეს მაგალითი ღენ. ჩხეიძის მაგალითებთან ერთად ზედმეტი არ არის, ყველა ჩვენგანმა და განსაკუთრებით ცხენოსანი ჯარის სპეციალისტებმა ღრმად ვიქონიოთ მეხსიერებაში. მსგავსივე შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

სახეში მაქვს რუსეთის ცხენოსანი მასის მოქმედება აღმოსავლეთ პრუსეთში 1914 წელს. ამ მასას შეადგენდა 5 და ნახ. ცხენოსანი დივიზია*). დანიშნულება მისი იყო: დაეფარა რუსეთის პირველი

---

*) მოყვანილი 5 და ნახევარი ცხენოსანი დივიზია შეადგენდა ცხენოსან მასის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც რუსულ 1-ლი ლაშქრის შემადგენლობაში შედიოდა. რუსულ მეორე ლაშქარს, რომელმაც აღმოსავლეთ პრუსიას სამხრეთიდან შეუტია, ჰყავდა კიდევ 4 და ნახ. ცხენ. დივ. ამნაირად მთელი მასა რუსულ ცხენოსან ჯარისა შესდგებოდა 10 ცხენ. დივიზიისაგან. აღსანიშნავია, რომ გერმანელების მე-8 ლაშქარში, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიას იცავდა, შედიოდა სულ ერთი (მე18 ცხენ. დივ. ღენ. ფონ ბრედოვისა) ცხენოსანი დივიზია.. ავტორი განიხილავს მხოლოდ რუსულ 1-ლ ლაშქრის ცხენ. ჯარის მოქმედებას. რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრის მობილიზაცია და კონცენტრაცია. იმ მოვლენამ, რომ რუსები გერმანელების მიერ მოელოდენ მობილიზაციის ჩქარ ჩატარებას, აიძულა ეს უკანასკნელნი კონცენტრაციის ხაზი საზღვრებისათვის 90—100 კილომეტრით დაეშორებინათ. ცხენოსანმა ჯარმა ეს სიცალიერე გამოავსო და დაჯგუფდა სამ დაჯგუფებად: ჩრდილოეთით ტაუროგის მიდამოებში — ერთი ბრიგადა, ცენტრში, ვოლკოვისკში, — 4 დივიზია (მათგან ორი ცხენოსანი გვარდიის) და სამხრეთით — სუვალკაში — ერთი გურკოს დივიზია. შუალა ჯგუფს და ყველაზე მოზრდილს უფროსობდა ლენ. ხან ნახიჩევანსკი, რომელსაც სამართლიანად ედება ბრალი ამოდენა მასის უშედეგო მოქმედებისათვის. ცხენოსან ჯარს მობილიზაციისა და კონცენტრაციის დასაცავად ორი საშუალება მოეპოება: **აქტიური და პასიური**. პირველი მუდამ უკეთესია საომედო ძალთა მხრივ უპირატესისთვის; სივრცის მოგებით და მტრის მფარავ ნაწილებსა და მობილიზაციის ცენტრებში დეზორგანიზაციის შეტანით საუკეთესოდ ვეხმარებით ჩვენ ჯარებს — ამავე სახის საქმიანობის წესიერად ჩატარებაში. გაბედული მოქმედება ბოლოს ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა ცხენოსანი ჯარისა. მოყვანილ მაგალითში რუსებს ასეთი მოქმედების სრული საშუალება ჰქონდათ. მათ წინ მტრის მიერ იმავე დანიშნულებად, მხოლოდ **ერთი ცხენოსანი დივიზია იმყოფებოდა**. გერმანელები რუსების მხრივ არც მოელოდენ სხვაგვარ მოქმედებას და დიდათაც დაფიქრებული იყვნენ ამის გამო. ქვევით ვნახავთ, რომ ბედის და რუსების უინიციატივობის წყალობით, იმ ერთმა დივიზიამ, არამც თუ თავი დააღწია მოპირდაპირის რიცხოვან უპირატესობის საფრთხეს, არამედ აქტიურ მოქმედებით შესძლო თავის სარდლობისათვის მობილიზაციის და კონცენტრაციის საჭირო დროს სრული დამკვიდრება. რუსეთის ცხენოსანმა ჯარმა ნაცვლად პირობებისათვის შესაფერ, გადაჭრილი აქტივობისა, პასიური როლი იკისრა, მასის დაძვრა ითაკილა და პატარა თარეშებით მტრის დამფარავ ნაწილების აღმოჩენაში გაერთო. მტრის მობილიზაციას და კონცენტრაციას ცხადია ამით არაფერი ვნებია. ამასობაში დამთავრდა მოქმედების პირველი ეტაპი. 13. — 8. — პირველი ლაშქრის კონცენტრაცია დასრულდა; მისმა უფროსმა, რენენკამფმა წინ სვლა ბრძანა. ბრძანებამ, როგორც ვიცით, საზღვართან ბრძოლამდე მიიყვანა, ოღონდ მოქმედების ამ ეტაპშიც ცხენოსანმა ჯარმა თავის ქვეითი ჯარის მოქმედების პირობები არამც თუ არაფრით შეუმსუბუქა, არამედ სწორ ცნობათა მიწოდებითაც ვერ დაეხმარა მას.

ცხენოსანი ჯარის პირველი შეხლა პილკალესთან მოხდა; აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებდა სწორედ ის ერთად-ერთი ცხენ. დივიზია, რომელიც გერმანელებს ჰყავდათ; მისმა უფროსმა ღენ. ფონ ბრედოვმა დაასკვნა თუ არა, რომ აქ რუსების მთელი ცხენოსანი ლაშქარია, პირი იბრუნა და ხიფათს გაუხტა; რუსებს დევნა არც კი უცდიათ, გაუშვეს მტერი და არხეინად პილკალეში დაბანაკდენ. ამას მოჰყვა რუსულ 1-ლ ლაშქრის (ლაშქრისათვის სრულიად მოულოდნელი) გამოსვლა გერმანელების 1-ლ კორპუსზე. კორპუსის უფროსმა (ღენ. ფონ ფრანსუა), მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, სცნა რა მტრის გადაჭარბებითი უპირატესობა, ბრძოლას თავი დაანება და გასხლტა. ოღონდ საით — ეს რუსულ ცხენოსან ჯარს ვერ შეუტყვია მტერი მიდიოდა ჩრდილოეთით, ის კი ეძებდა დასავლეთით. არც ამ მხრივ წარუმართავს მას სწორი ნაბიჯები. გზაში დახვედრილ მეორე ხაზის ქვეითა ბრიგადას დაქვეითებული ბრძოლა გაუმართა და საჩუქრად 45 ოფიცერი, 427 ჯარისკაცი და ამდენივე ცხენის დანაკლისი მიიღო. სწორედ ამ დროს იყო, როდესაც რუსების ერთმა ცხენოსანმა ბრიგადამ მე - 20 კორპუსის ფრთა რომ გააშიშვლა და გერმანელების ცხენოსანი ჯარი შეუშვა; ამ გარემოებამ კორპუსის ზურგში საკმაო ალიაქოთი გამოიწვია. ხანი ნახიჩევანსკი ნაცვლად ღენ. ფრანსუას კორპუსისათვის ზურგიდან დაკვრისა, ლანდვერის ბრიგადას შუბლიდან არტყამდა. 4 ცხენოსანი დივიზიის ზურგიდან დარტყმა მაშინ, როდესაც მასვე კედაროდან მთელი კორპუსი ებრძოდა, ღენ. ფრანსუას ბედს სხვანაირად გადასწყვეტდა. ღენ. ხან ნახიჩევანსკიმ ტრადიციული უინიციატივობით მტერს გასხლტომის საშუალება მისცა და როდესაც ზურგში მოქცეულ გერმანელ ცხენოსან დივიზიას შემოუტრიალდა, უკვე დაგვიანებული იყო; მოძრაობდა ისე დუნეთ და გაუბედავად, რომ გერმანელების დივიზიამ გვერდით ჩაუარა და სამშვიდობოზე გავიდა. რუსულ მე-20 კორპუსის შემდეგ მთელი ლაშქარის ბრძოლის ველზე გაჩენამ, ბოლოს აიძულა ფრანსუას კორპუსი დახევისათვის, მაგრამ სად? ხან ნახიჩევანსკის უმოქმედობით, როგორც მოვიხსენიეთ, ეს გამოურკვეველი დარჩა. გერმანელები მიდიოდენ სამხრეთით ღენ. სამსონოვის გამოსამწყვდევად, ხან ნახიჩევანსკი ისევ დასავლეთით მიიწევდა და თან რენენკამფის ლაშქარს მიათრევდა და ეს იქამდე, ვიდრე სამსონმოვის დამარცხებით, მასაც არ წაერთო სურვილი წინსვლისა. ამნაირად, რუსეთის 5 და ნახევრ. ცხენოსან დივიზიის მონაწილეობა აღმოსავლეთ პრუსიის ბრძოლაში ხან ნახიჩევანსკის გაუბედაობის და გონებრივ სიმძიმის გამო არარად იქცა.

ცხენოსან ჯარს და განსაკუთრებით მის მასებს ძალუძთ ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების წარმატებით წარმოება, ოღონდ უნდა გამოიყენოს მან თავისი დამახასიათებელი თვისებები, განსაკუთრებით კი სიმარდე და გამბედაობა. ეს ორი თვისება დიდ შედეგებს იძლევა უპირატეს მტერზედაც. ჩვენი მაგალითი კი გვიჩვენებს, რომ მასებიც არაფერ შუაშია, თუ კი უფროსი გაუბედავია და ჯარებს თავის თვისების და მიხედვით მოიხმარებს. ერთმა სუსტმა დივიზიამ 5 და ნახევარის წიხაალმდეგ თავისი როლი შეასრულა და ბრძოლებიდანაც გამოვიდა.

ძნელია დღეს გათვალისწინება ყველა იმ შედეგების, რომელიც თან მოჰყვებოდა რუსების მოქმედებას საერთოდ აღმოსავლეთ პრუსიაში, რომ ცხენოსანი მასა აზრიანად დახმარებოდა 1-ლ რუსულ ლაშქარს, მის მიერ ბრძოლების წარმოებისას. ამის სრული შესაძლებლობა, როგორც ვნახეთ, იყო; შესაძლებელია ასეთ შემთხვევაში სამსონოვსაც მარცხი ასცდენოდა; ეს არ მოხდა და ჩვენ, მხედრები, ვიცავთ რა საქართველოს ცხენოსანი ჯარის საჭიროების აღიარებას, ვალდებულნი ვართ ცხენოსანი ჯარის სამაგალითო და სანიმუშო მოქმედების შესწავლასთან ერთად, მისი უარყოფითი მაგალითებიც ვიცოდეთ, რომ კონტრასტიულ დაპირისპირებით, ცხენოსანი ჯარის ღირსება, წარმატებით ხმარების შემთხვევაში, უფრო აშკარა და თვალსაჩინო ვყოთ.

მ. კვა — ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარი № 20

სარჩევი:

1. † გრიგოლ კიკიანი 3

2. † შალვა ფურცელაძე 5

3. სიტყვა წარმოთქმული ბ. **გ. ნაკაშიძის** მიერ 7

4. **ა. ჩხეიძე** — 1921 წლის ომის 15 წლის თავი 9

5. **ნ. მა — ლი** — ემიგრანტობის 15 წლის თავზე 10

6. **აძ ჩხეიძე** — სახელმწიფო თავდაცვის საქმე 29

7. **ვ. ნა — ლი** —„რჩევა ომისა“ შესახებ. I. 50

8. „მარაბდის ომი“ — ლექსი 67

9. **შ. ამირაჯიბი** — მარაბდის ომი 71

10. **ვ. ნა — ლი** — „რჩვა ომისა“ შესახებ. II. 79

11 . **ალ. მანველიშვილი** — მასალები ძველი საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის შესახებ 89

12. **ვ. უ — ძე** — ცხენი 111

13 .**მ. კვა — ლი** — კიდევ ერთი მაგალითი ცხენოსანი ჯარის მოქმედებისა 126

„**მხედარი**“-ს მისამართი: —

M. D. Vatchnadzé

10, Passage des Eaux
Paris XVIe

ეროვნული ბიბლიოთეკა

REVUE MILITAIRE GEORGIENNE

MKEDARI N° 20

1. † Grégoire Kikiani (Nécrologie).

2. † Chalva Pourtséladzé (Nécrologie).

3. Discours prononcé par M. le Dr.-Prof. G. Nakachidzé.

4. **A. Tchéïdzé.** — Quinzième anniversaire de la guerre de 1921.

5. **N. Ma-li.** — Quinze ans d'émigration.

6. **A. Tchkéïdzé.** — La défense de l'Etat.

7. **V. Na-li.** — Autour du « Conseil de Bataille ».

8. La Bataille de Marabda (poésie).

9. **Ch. Amiredjibi.** — L'interprétation de la langue de « la Bataille de Marabda ».

10. **V. Na-li.** — La Bataille de Marabda.

11. — **A. Manvélichuili.** — Matériaux sur l'organisation militaire dans la Géorgie ancienne.

12. **V. Ou-dzé.** — Le Cheval.

13. **M. Kva-li.** — Encore un exemple d'actions de la cavalerie.

Le Gérant : M. Dommange.